= ა. ხახანაშვილი =

სსრკ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук

2०736

= ა. ხახანაშვილი =

ნაშრომი = ნაწერები:

„მოამბე" 1900 წ. N XII	1) [illegible]
„ „ 1898 წ. N I	2) [illegible]
„ „ 1905 წ. N VII	3) [illegible]
„ „ 1900 წ. N III	4) [illegible]
„ „ 1897 წ. N III	5) [illegible]
„ „ 1896 წ. N XI	6) [illegible]
„ „ 1894 წ. N X	7) [illegible]
„ „ 1895 წ. N VII	8) [illegible]

[illegible]
მოამბე 1901 წ. N XII

1900 წ. XII „მოამბე“

მე-XVIII საუკ. ქართული თეორია ლექსთა-წყობისა

მე-XVIII საუკუნე შესანიშნავი ხანაა ქართულ ლიტერატურაში. კათოლიკეთა მისსიონერების გავლენით და რუსეთის სქოლასტიური სწავლა-განათლების წყალობით შეინძრა უწინდელი გონებრივი საზდოს საფუძველნი და დაჰქროლა საქართველოს ახალმა კულტურულმა სიომ. ამ დროის მწერალნი არა კმაყოფილდებიან ძველებური საარაკო მოთხრობებით და გულმოდგინედ ითვისებენ ევროპიელთა მეცნიერულს ცოდნას. ასეთს მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ანტონი კათოლიკოზი თავის ფილოსოფიური თხუზულებებით და ახალ გეგმაზედ მოწყობილი სასწავლებლებით. ანტონ კათოლიკოზის გვერდით მოღვაწეობენ მისი თანამედროვენი, რომელთაც უღვივის იგივე კეთილ-შობილი გრძნობა მამულის სიყვარულის და მის აღორძინებისა. თვითეული მათგანი იკვლევს და იძიებს ან წარსულის მნიშვნელობას აწმყოს გასაუმჯობესებლად, ან არკვევს კანონმდებლობას (მეფე ვახტანგ VI), ან ჰკრეფავს საისტორიო და საგეოგრაფიო მასალას. ამასთანავე ვრცელდება სურვილი დაუმყარდეს ყოველს საზოგადო და სალიტერატურო მოვლენას საფუძველი, აღენიშნოს დსაყრდომი კვერთხი, განიკანონოს მუხლებით კაცის გონების ნაწარმოები.

ამ უკანასკნელის ერთგვარ დარგის—პოეტური ქმნილების—განკანონება მუხლებით იტვირთა მამუკა ბარათაშვილმა, რომლის ლექსთა-სწავლა ჩვენში პირველი თეორიული მოძღვრებაა. იგი მოგვითხრობს, რა მნიშვნელობა აქვს პოეზიას, რა შინაარსს უნდა ემსახუროს მგოსანი, რა აზრით უნდა ამღეროს

იგი თავისს ჩანგს. მამუკა ბარათაშვილი იმ შეხედულობისა არის, რომ მწერლობა და კერძოდ პოეზია საზოგადო კეთილდღეობას უნდა ემსახუროს; პოეზიამ უნდა დაჰგმოს ავი და განადიდოს კეთილი. პოეზიას მხოლოდ დიდაქტიურს, სასწავლო ღირსებას დაუსაკუთრებს და აღიარებს მას ავის და კარგის წარმომშობელ წყაროდ. ამით აიხსნება, რომ მამუკა ბარათაშვილი ერთგვარად აფასებს ნაძალადევს მგოსანსაც, რომელიც სხვის წაბაძვით და სხვათა აზრთა შეცვლით მოქმედებს და იმ მწერალსაც, რომელიც ზესთა შთაბერით აჟღერებს სიმებს. მ. ბარათაშვილი, რაკი ასეთს სასამსახურო როლს უთმობს პოეზიას, ჰქმნის განსაზღრულს ფორმას ლექსთ-წყობისას, რომლის გარეგანი სახის შეცვლით შესაძლოა ლექსთა-წერა. იგი გაგვიმარტებს სხვა და სხვა გვარის ლექსთა-წყობის მოთხოვნილებას, გვიხსნის მათ სახელწოდებას მნიშვნელობას და ასაბუთებს თავისს აზრს მოყვანილი მაგალითებით. ბარათაშვილი ჩამოსთვლის, რამდენ ნაირია ქართულს მწერლობაში ლექსთა-წყობა, რამდენ მარცლოვანია თვითეული მათგანი, რა არის ლექსი, ტაეპი და სხვ.

მამუკა ბარათაშვილის „სწავლა“ ბევრნაირად საყურადღებოა. იმისი მოძღვრება მოგვაგონებს რომაელთა პოეტის გორაციის „პოეტურს ხელოვნებას“ (ars poétique) და საფრანგეთის მწერლობის კანონმდებელს მე-XVII საუკ. ბუალოს, მისი l'art poétique-ით. ჩვენს ბუალოს ერთი ნაკლი აქვს: იგი მხოლოდ ლექსთა-წყობაზედ ლაპარაკობს, ესე იგი ვერსიფიკაციაზედ, იმ დროს, როდესაც საფრანგეთის და რომის ლიტერატურის სათეორიო მუხლების დამყარებელნი განსაზღვრავენ სხვა და სხვა გვარ სალიტერატურო ნაღვაწთა—ეპოსს, ლირიკას და დრამას. მამუკა ბარათაშვილის საქციელი ჩვენ კარგად გვესმის: დრამაზედ არ ჩამოაგდო ბაასი ამ ვახტანგ მეფის თანამედროვემ იმიტომ, რომ საქართველოში იმ დროს ჯერ არ იყო გავრცელებული დრამატიული ნაწერები; რაც შეეხება ეპოსს, იქნება იმან განგებ სიჩუმედ გაიარა, რადგან არ ჰსურდა „თათ-

რული“ გავლენის განმტკიცება, როგორც ზნეობის დამრღვეველი ნაწერებისა.

საყურადღებოა მამუკას მოძღვრება იმითაც, რომ იგი ამკობს ძველი და ახალი პოეტების ნაწერებით, არ ივიწყებს თავის თავსაც და ჩაურთავს რამდენიმე საკუთარი ლექსი.

ჩემის აზრით ასეთი თეორიის გამოქვეყნება საჭიროა იმიტომ, რომ იგი პირველი ცდაა პოეზიის განკანონებაში, თუმცა ეს სიტყვა მას გარეგნობითი ფორმით და ზნეობით შინაარსით აქვს განმარტული. თუმცა ენა ცოტა მძიმეა და ადგილ-ადგილ გაუგებარიც, მაინც ვბედავ მკითხველს გადავცე ხელ-უხლებლად მამუკას მთელი „სწავლა ლექსთა-თქმისა“. ამას აქვს გარდა ისტორიული მნიშვნელობისა პედაგოგიურიც, რადგანაც ჩვენს სასწავლებლებში შეიტანეს „სიტყვიერების თეორიის“ სწავლა. მამუკას მოძღვრება ამ საკითხის ისტორიულად გასათვალისწინებლად უსარგებლო არ იქნება.

ა. ხახანაშვილი

სწავლა ლექსთა თქმისა, დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ჭაშნიკისა, პოვნილი მამუკას ბარათაშვილისა მიერ ძველთა ნათქვამთაგან.

ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში ამისთვის ამ სოფლის საქმის ცდა კაცისათვის ყოველივე ამაზედ არის სიკვდილის უკან მოიგონებდეს და ეს ამისგანაც იქნება, რომ თუ კარგს იტყვი სიტყვას სიმარჯვითა და ცოდნის ძალითა სულიერის ცოდნითა და სამხედროს ცოდნით, მთქმელი მოიგონება და მსმენი ისწავლის. ღ~თის ქება დიდება კარგები ითქმის, რომ სულის სარგებელი იყოს ამითი, რომ რაც საგალობელი და იამბიკონია, ისიც ერთი რიგი ლექსობა არი, მაგრამ თუცა ავზედ თქვა, ურიგოდ თქვა ქებისა და მოგონების ნაცვლად, საძრახავი და საგმობელი იქნება და ცოდვაც მძიმე, რომ კაცი ცოდვაზე აღძრავს და ავს ასწავლის, როგორც რუსთველს ცოლ-ქრმობის სიყვარულზე უთქვამს

და სხვა მრავალი საღმრთოდ საერო სწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი მეფეს უბძანებია, ის გამოაცხადებს, მაგრამ ზოგი-ერთს მელექსეს იმისი წიგნი ცუდს საშიეროთ გაუსინჯავს და რომელსამე სა~ღთო წერილი სამეძაოდ გაულექსავს სხვას მრავალთ დედაკაცთ ტრფიალებისათვის თაორის ზღაპრები გაულექსავს მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურავოდ. აწ რადგან ლექსობისაგან ესენი და სხვა მრავალი რამ გამოვა, ამისთვის ეს სწავლა დავწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს, რადგან ამდენი კარგიცა და ავიც გამოვა. მაშ მართებს კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს, თუ საშიერო ლექსი უნდა ღ~თის საშიერო ეკკლესიასა წმინდათა როგორც რუსთველს უთქვამს მას ერთს მიჯნურობასა.(?) ანუ, მიჯნურობა არის ტურფა და თუ ქალის ამიერობაზე გინდა ცოლ-ქმრობის სიყვარულზედა თქვა და იმას გზებზე როგორც პავლე დიდი მოციქული ისწავლება და რუსთველი ცოლ-ქმრობის სიყვარულს ისწავლება და აქებს და ფატმანის მრუშებას სძაგებს და იტყვის კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ნაცი, ან კაი იგავები მოიყვანე და იმაზედ თქვი ან კაი სწავლის ამბებით კაი ამბები გალექსე ან ომსა და ფალავნების ამაზედ თქვი, ამისთვის, რომ კაცს გაგულოვნება ომს მოანდომებს და იარაღის ჯმარებას ასწავლის და რჯულისა და მეფისა და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია.

აწ ესე ვთქვათ ლექსი მრავალ ჯმა არის, მაგრამ ჩვენს ენაზე სხვას ჯმით მართალს მოლექსეს არავის უთქვამს, ამისთვის ვინც კაი მოლექსე უოფილან ამბები გაულექსავთ და ამბის გალექსვის რიგი თქმა შაირად ჩახრუხაული, თუცა წინა მთქმელებს ადგილ-ადგილ გმელი შაირი და გმელ ჩახრუხაული ჩაურევიათ. მაგრამ სპარსის მოშაირეთში ეს უკადრისი არის, ამისთვის რომ ის ამბავი სულ ერთი რიგი კმა უნდა იყოს, სხვა კმები სხვის რიგისათვის არის, რომელსაც თვითეულად ამას ქვემო გამოაცხადებ.

გმელ შეწყობილი გინა მდინარი და შეწყობილი კაის სწავლის იგავებისთვინ არის, რომ როგორც ამ შაირშა მეფეს უბძანებია იგავით.

უნდა მიგვანდეს ეკალსა ყმა ახალნორჩი რგულებსა,
ბერი ბამბასა გაქონდესთ ითბოდენ იმით გულებისა,
არ სტაცურსა გველსა გავს, იჩემებს მის უსულებისა
ვერც ხუთის მოგვცემს ვერც შხამსა სარგოსა და დასაწულულებსა-

ამ გვარი იგავები ამ კმას უფრო გეწყობა:

წყობილი მრავალი მუსლი ამისთვის არი რომ ერთი იგავიან ამბავი რომ ერთმანეთზე მძლად მობმული იყოს და შაირი სადა წყობილში არ გაემართებოდეს წყობილის მრავალ მუსლით უნდა თქვა რამითონს სტრაქონითაც გემართოს იმდონად თქვა ურიგო არ არი.

გრძლედი შაირი სამგეთი ამისთვის კარგია, ერთი საქმე რომ გასალექსავად გინდოდეს სტრიქონში არ იმართებოდეს ასე თქმა შეემატება და რომ თქვა კარგია. რვეულიც აგრევ თუ ერთი ამბავი ოთხს სტრიქონში არ მოდიოდეს წყობილი რჩებოდეს ამაზე რომ თქვა უფრო გაწყობილი იქნება. იამბიკო წმიდათ წერილში ბევრია და ვისაცა გინდა იქიდამ შეიტყობ.

შეწყობილიას მრავალი რიგია წყობილიცა ჰქვიან, შერეულიცა ჰქვიან, მრჩობლელიცა ჰქვიან ყველას რიგი, რიგი მოხმარება აქვს.

მაგნაგორული ჩასრუსაული ესეც ამ რიგად მოიხმარება, თუ სხვა კმები რომ ესები უკვდა ამ წიგნში დაიწერა სახელი თავს აწერია, რომელი იმით მიედომება.

მაგრამ ლექსი ორი მუსლი იქნება, რომლისაც შაირის თუ წინა თქმულებს სახელი რომ დამიწერია იმის სულ ბოლოს სტრიქონი და იმაზეითაის კმაზედ რომ თქვა, რომლისაც კმას იტყვი, იმ კმით ლექსი იქნება.

ტეპი (ტაეპი?) ერთს მუსლს ჰქვია, რომლისაც კმასა ბოლოს სტრიქონის კმაზედ იტყვი, იმ კმას ტაეპი იქნება, რომ ესებიც გარჩევით შიგ დაგვიწერია.

პისტიკაური ერთი ამბავი, რომ ორ-მუხლად გინდოდეს სათქმელად ორ-მუსლად არ იმართებოდეს იმის სათქმელად კარგია.

ახლა ვსთქვათ თუ ლექსის როგორ უნდა თქვას, ვისაც უნდა ლექსის თქმა ორია: ერთი თავის აგებულებით ექნება ვაცსა ლექსის გაწყობა, მეორე აგებულობით რომ არა ქონდეს იქნება რომ ლექსი დაიდვას წინ და რამთონათ ლექსი გაიყოფა თითოს სანაცლოდ ისე სიტყვა გააწყოს და თქვას ამ გვარად: «ვარდისა კითხეს

|| მე ზომ ტურფა || რამან შექმნა || თვალად შარად. ||

ამ რითო თითოს მობმულსავით ოთხად სიტყვას გაწყობას და ლექსი იქნება ასეთი გულის-ყურიანი მერმე თავისითაც შეეძლოს თქმა იქნება ულექსოთ ვერა თქვას, მაგრამ ლექსი გაწყობილი ტკბილი იგავიანი უნდა იყოს რომ ორს კმათ გაისინჯებოდეს, როგორც ეს ლექსია.

მას უშმაგო ვინ მაენდოს, ვინ მოყვარე გამყდავნოს

ეს ლექსი საიდუმლოს შენახვასაც ისწავლება მოძღვარ-მოწაფობასაც და საშიყოშიაც მოიხმარება ლექსი მძიმე და გმელი სიტყვა უგემური იქნება და უგვარო სიტყვა რომ ერიოს გააუგემურებს, რაც გვარიანი ენაზე ტკბილათ სათქმელი და მოკლე სიტყვა არის, რომ წინას სიტყვას შემდგომი მისდევდეს და ეწყობოდეს დიად გვარიანი იქნება, როგორც რუსთველის ლექსი მაგრამ ეს ღრამატიკის და რიტორიკის უცოდინარს ცოტათ გაუძნელდება ლექსის ბოლოები ბევრი ასო რომ ერთმანერთის ტოლი იყოს, იმითი არ გეწყობა, ასე უნდა სიტყვა სიტყვას ეწყობოდეს, თვარამ ორი და სამი ასო ეურთვა. ერთმანერთისთანა სათარგმანო ოთხივ რომ ბოლო ერთი იყოს, ასე უნდა ტანი კარგა აძლევდეს, მაგრამ რომელიც სტრიქონი წაიკითხო ვამგონეს გაუჭირდეს, ეს ბოლო სიტყვა წინა სტრიქონა არის თუ უკანისა, მაგრამ სპარსის მოლექსენი ამას მაგთონს არად მიჩნევენ, რაცა ლექსი სავსე და გვარიანი იგავი ბევრად გასასინჯავია, იმას უფრო აქებენ, ამები ყველა ამ წიგნშა დამიწერია და იმითი შეატყობთ, რომელი როგორ ითქმის, იქნება ლექსი გემრიელი და გაწყობილი იყოს, ეს ამბის გაულექსავათ სხვაში არად მოსახმარია, მაგრამ იმაშიაც თუ კაი სწავლის სიტყვა გამოვა და იქ ლექსს არ ავსებს მოლექსეობაში ნავ-

ლებობა არა. ეს შაირი თითო სტრიქონი ოთხად გაიყო, დახედე თითო-თითო ორი სიტყვა შეუწყვია თუ ერთი თუ მეტი, ის მეოთხედი გაჭირება მერმე მეორე მუხლი მოებმის, მერმე მესამე და მერმე მეოთხე. ისიც გასინჯე თავის მუხლი როგორ არი და იმას ქვეითები როგორ არი, აგრევე სტრიქონი თავისა როგორ არი მეორე მესამე და მეოთხე სხვა სიტყვა რომ ასე გასწყო ლექსი იქნება ლექსი ორს სტრიქონსაც, ჰქვიან და ამბავს ერთად გალექსილს და სრულ ლექსის წიგნსაც ყველას ლექსი ჰქვია. ასლა ერთ რიგად ლექსის კმას ეს აჰოვნინებს, როგორც ეს უბრალო სიტყვა ლექს გააკეთებს ამავე წიგნში სწერია თვით სტრიქონი ოთხად გაიჭრება, ზოგი ექვსად, სადაც ესენი გაიჭრების ყველა გაყოფილს ნახავთ, ეს სიტყვა შაირის კმას გააკეთებს.

მიჯნურობა: მიჯნურობა: მიჯნურობა: მიჯნურობა:

ეს ოთხივე შაირის ერთის ტაეპის ხმა არის, ამას სამა სტრიქონი სხვა მიეც ამავე კმის და ამისთანა შაირი იქნება.

შაირი

მე რუსთველი ხელოვნობით ვიქ საქმესა ამადარი
ვის მორჩილობს ჯარი სპათა მისთვის ვხელობ მისთვას მკვდარი
დაუმლურდა მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსით არი
და ანუ მომცეს განკურნება ანუ მიწა მესამარი.

ეს ამიტომ ამისთანას შაირს გააკეთებს ამის პირველი მუხლი და სამი სხვა ტოლ-ტოლი არიან; ეს ერთი სტრიქონი რომ ოთხად იყოფა იმაში სიტყვის მეტ-ნაკლებობა არ არის ოთხავ სწორე არის.

შაირის ლექსი

დაუძლურდი მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსით არი
ანუ მომცეს განკურნება ანუ მიწა მესამარი.

შაირის ტეპი

და ანუ მომცეს განკურნება ანუ მიწა მესამარი

ახლა ეს პირველი მუხლი მეტი მეორე ნაკლები მესამე პირველის ოდენი და მეოთხე კიდევ ნაკლები გძელ შაირის კმას გააკეთებს ეს უბრალო სიტყვა.

მიჯნურთათვისგან: მიჯნურთა: მიჯნურთათვისგან: მიჯნურთა,

გრძელი შაირი

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართვითა მზეობა
სიბრძნე...
ენა გონება...
და ვისაც ეს სრულად...

ამ თვითოს მუხლების მეტ-ნაკლებობით ეს ორივე შაირი სხვა და სხვა კმები შაიქნა

გძელი შაირის ლექსი

ენა გონება დათმობა...
და ვისაც...
გძელი შაირი ტეში
და ვისაც ეს სრულად

ეს ჩახრუხაულიც აგრეთვე პირველი მუხლის ოდენი უნდა თავითა და თითო ოთხივე როგორც ეს სიტყვა.

მიჯნურობას: მიჯნურობას: მაჯნურობას: მიჯნურობას

ამასაც სამი სტრიქონი ამისი ხმისა მიეც და ეს სიტყვა ამისთანას ჩახრუხაულს გააკეთებს როგორიც ეს ჩახრუხაული არის:

ჩახრუხაული

თამარ წყნარი შესაწყნარი, კმა ნარნარი, პირმცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალ-მქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი, რარს ქნარი, არსით მთქნარი, უჩინარი,
და ვარდ-შაბმნარი, შამბალნარი, ღაწვმწყაზარი, შუქ-მფინარი.

ესეც მუხლების მეტ-ნაკლებობით ორად გაიყოფების და ორ-ხმად შეიქმნების

ჩახრუხაულის ლექსი

მისთვის ქნარი რა არს და სხვა
ვარდ შამბნარი შამბალნარი და სხვ.

ჩახრუხაულის ტეპი

ვარდ შამბნარი შამბალნარი და სხვ.

და თუ მეორეს გრძელ ჩახრუხაულის ხმის თქმა გინდოდეს, ისიც უნდა ორსივე მუხლები ტოლ-ტოლი იყოს, მაგრამ ამ ჩახრუხაულის მუხლებისაგან უფრო მეტები უნდა, როგორც ეს სიტყვა

მიჯნურთათვისგან: მიჯნ—საგან: მიჯნურ—გან: მიჯნ—გან

ამასაც სამი სტრიქონი ამავე ხმისა მიეც და ამის მსგავსი ჩახრუხაული იქნება ეს ხმა ასე

გმელი ჩახრუხაული

მოფილასოფნო სიტყვითა არსნო თამარ ვაქებდეთ გულის ხმიერსა
დიონოსისგან ვითენოსითგან სრული ქებანი ამძლეთ მძლიერსა
სოკრატ სიბრნითა სარანგზნითა ვაყენთ ვერავიქთ საწადიერსა
და უმიროზ პლატონ სიტყვა დამატონ თვითვე რა მიხვდენ შესატყვი-
ერსა.

ამაში თუ ყველას შაირსა და ლექსში იგივე როგორ გინდოდესთ, ისე მიეცით

სოკრატ სიბრძნითა...
უმიროზ...

გმელ ჩახჭუხაული ტეპი

და უმიროზ....

ეს თჳთო სტრიქონი ძველი იყო და ეს მთელი ლექსები მეფისავე ბძანებით მე მამუკა ბარათაშვილმა ვთქვი ამას ქვეითი გმების ლექსები სულ ასე ვთქვი და გავარჩივე ძველი-ძველად და ახალი-ახლად სწერია მთქმელი სასელებითურთ ამ ძველის თჳთო სტრიქონისაგან ვიპოვე ეს ახალი და ამ ძველის მთქმელი არ ვიცოდი.

შეწყობილი ძველი

ვანეო | ვანეო | ცოლი | მოიყვანეო |

ახლა ამ შეწყობილის კმაც ოთხად გაიჭრება ერთი სტრიქონი ის სხვები რომ ოთხად იყოფა იმ ალაგს ესეც ოთხად იყოფა მაგრამ პირველი ამისიც მეტი უნდა და მეორე ნაკლები, მესამე პირველის ოდენა და მეოთხე კიდევ ნაკლები ეს სიტყვა ასრე ამისთანას ხმას გააკეთებს.

მიიჯნური მიჯნური მიიჯნური მიჯნური

ამას რომ ექვსი სტრიქონ კიდევ ამავე ხმისა მისცე და მოლექსემ თავისი სახელი ბოლოს შიგ ჩართოს როგორც ამაში სწერია ამისთანას ხმის შეწყობილი იქნება.

აამეო ამეო საყვარელსა რამეო
ასვვითა ენებოს თავი დაანამეო
მიწყივგჭგონე მკურვალედ ოვალი შეინამეო,
მისად თუ ჭყო ესედა აღწერილი სწამეო,
რომ მიიცე სასჯელი ლხინი ათამამეო,
მისგან რასმე რგებასა თვარ-ვის სიტყვა მამეო.
და თუ მამუკას მელექსედ არ იტყვიან ვამეო

შეწყობილის ლექსი

მისგან რასმე...
და თუ მამუკას..

შეწყობილის ტეში

და თუ მამუკას...

მდენარი მგელი

პატარა ქალო თინაო, რასა გადამიდეგ წინაო,

ახლა ამ შეწყობილის ხმა და ამ მდენარის ხმას ეს გაჰყოფს, როგორც ამას და იმას მოემატება მიუკლდება და ეს სიტყვა ამ მდენარის ხმას გააკეთებს:

მიჯნურობისა განია, მიჯნურობისა განი ა

ამასაც ექვსი სტრიქონი ამავე ხმისა მიეც შენი სახელი ბოლოს ნაურთევ, როგორც ამაში სწერია და ამისთანა მდენარის ხმისა იქნება

მდენარი მამუკასი

ჩემსაყვარელო ვინაო, მიწყივ მიდგიხარ წინაო
გონებით შემკრა სურვილმა, აროდეს მომე ლხინაო,
შენთა ასვსთა ჭვრეტამან, ცეცხლ უმეტეს მწვინაო,
ამისთვის ვიქმნე ულხენი უფრორე მომეწყინაო
რომე არ დავთმო მაშ რა ვჰქნა, თუ შენი ჭვრეტა მინაო,
მზე ხარ და დამწვა ნათელმან, მე შენმა ნამა ქმინაო
და თქვეს ლექსი სწეროს მამუკამ კელნი არივინ ჭჭორნაო.

მდენარის შაირი

მზე ხარ და სხვ.
და თქვეს და სხვ.

მდენარი ტაეში

და თქვეს ლექსი და სხვ.

წყობილი მრავალ მუკლი მგელი

ახა იესო იესო საყდარი დაგიგცივეს ო

ახლა ამ წყობილის მრავალ მუკლისა ხმასაც ეს უბრალო სი-ტყვა გაშოვნინებს ვითა ეს სხვანი.

მიჯნური მიჯნურ | მიჯნური | მიჯნური მიჯნურ | მიჯნური.

ამას ცხრა სტრიქონი ამისთანავე ხმისა მოეც შენი სახელი ბოლოს ჩაურთევ და ამისთანა ხმისა იქნება ვითა ეს:

წყობილი მრავალი მუხლი მამუკასი

თუმცა შენია, შენია კარდსარწარყვევნა ჰშენია,
სხვათა განნათობს გაშლილი, გონებას მოულხენია,
მისგან სავსე ხარ ლხინითა, არსით შეგემთხვას სენია,
ტანსა გმოსიეს მშვენვარე, გიდგანალვისა სენია,
ლამაზად იზრდის არაკთა, მჭვრეტელთ არ მოუწყენია,
მისსა რად გმართებს მიჯნურთა, გუშტობა მოუსვენია,
შენსხემზისა სამუდამოდ, ღ̃ის შენთვის მოუსვენია,
მაქვს მისგან მიწყივ ამება, არ ჟამად გარდამვლენია,
და გასმენ და ლხინი კეთილი, რა მზრდელსა განუჩენია,
და მამუკასათვის სიბნელე არ არის განუთენია

წყობილის მრავალ მუკლი ლექსი

ღვას შენდა ლხინი კეთილი, რამზრდელს განუჩენია,
და მამუკასათვის სიბნელე არ არის განაო.

წყობილის მრავალი მუხლის ტაეპი

და მამუკასათვის და სხვ.

გმელედის შაირი სამკვეთი მგელი

პატარასა: სუფთას ქალს: გარე ცეცხლი: ედებოდა: მავსებელი: ჭყავს არვინა.

ახლა ეს გძელედი შაირი სამკვეთის ხმა ამ გვარად გააკეთდება. ისინი სადა ორად გაიჭრება, იმ ალაგს ეს სამად გაიჭრება, სადა ისინი ოთხად გაიჭრება იმ ალაგს, ეს ექვსად გაიჭრება გაჭრილსაც ნახავთ და ეს სიტყვა იმის ხმას გააკეთებს.

მიჯნურობას: მიჯნურობას: მიჯნურობას: მიჯნურობას: მიჯნურობას:
მიჯნურობას.
გაცუნდა ამ სოფელსა არ მიუვეს და არაქსა განეშოროს განაგდოსა,
ჩავარდების გაენიას დუშრეტსა ანაგზებსა, სამუდამოდ არანდოსა,
თავი მკრძალად სული მრთელად შეინახოს, არა ჭუოსა წაწყმედული
არა დროსა,
და იქებიან რომელიცა ეურჩების სიამოვნეს ამ წუთისა ანადოსა.

სამკვეთი შაირი

თავი მკრძალა და და სხვ.
და იქნენიან რომელიცა და სხვ.

ამისი ტეში

იქნებიან რომელიცა და სხვ.

და თუ ლექსის გინა ტეშის თქმა გინდა ამ წერილების რომელისაც გინდოდეს ორი ბოლოს სტრიქონის ხმაზედ თქვი როგორც ჩვენ აქ მოგვიშორკვებია და როგორც ეს ბოლოს სტრიქონები ამბავს გააკეთებს და ლექსი იქნება აგრევე სულ ბოლოს ხმაზედ. ერთი ტაეპი თქვი და ამბავიც გაათაოს და ტეპი იქნება როგორც აქ სწერია.

მე რადგან ესენი შევკრიბე თვით ამათი ხმისთანა ლექსის თქმაც შემეძლო, მაგრამ ესენი უმჯობე იყვნენ ჩემსა და ამისთვის ესენი დავსწერე და ჩემი ნათქვამიც ამათ კახელ ნუ თუ მეც მელექსეთა-თანა არავინ გამაძოთ და ნასოთ თქმულნი მსგავსი ლექსთა ძვე-ლთა ჩემ-მიერ სხვანიცა და უწოდე წიგნსა ამას ჭაშნიკი ლექსთა სახელად გასრულდა მოსკოს წელთა ქრისტეს აქეთ ჩღლა (1731) თვესა ფერვალსა (ბ) 2.

—

სულხან საბა ორბელიანმა ქილილა და მანა გალექსა თუცა რუსთველის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი, იმაში ბევრი ხმა მოიყვანა, ამისთვის რომ სპარსულში მრავალ კმათ იყო და რამთონ კმათაც რამთონ სტრიქონად იმაში იყო ისე თქუა და ამას ქვეით სწერია თითო ხმასა თითო და სახელიც ზედ აწერია.

უცხო

კარგს ქალს ვინ ღირსა მოარჩენს ჭირსა
ზრუნვას მოილხენს ვინ უჭრეტს პირსა
თუმცა შეხვდება ანჩხლსა და მვირსა
ჰქვიან მას უგლიმი გლისპი რცხვინელი
ავგულნა ქალნი საკმილის ალნი
რა გინდ შვენოდეს როგორცა ლალნი
მაშინც არ კარგა ვითა კლდე სალნი
ჰქვიან მას უგლიმი გლისპი სარცხვენელია

. . . . . .

ჩახრუხაული მაგნაკორული

კაცსა ვისმე ბჭობს, მსჯავრისა ბჭობს, ამლქვლენი იყო ცრემლისა მღვრელად,
სხვამ უთხრას ტირრსდ, რადამც ხან მჩივრად, მოლხენა გმართებს ესე თქმულად,
მან თქვა ვაიმე, მაქვს ღარაიმე, სამართლის ქნანი მაჩანს საზჯველულად
და ზარი დამეცა, ზარი-დამეცა, ჵგონებისა გასაკრთომელად.
მოჩივართორთა, მწყვირალთა ღორთა, შორის ვით გაებრჭო ჭკუის მზომელად,
იგ ორნი მტერნი ვითომ ზედ ამტკერნი, ვით გავარჩიო ზედ მამკვდომელად,
რა ქნას მსაჯულმან, ღონე კლანჯულმან, ორთაკირება სიტყვამწყრთომელად,
და ზარი დამეცა, ზარი-დამეცა, ჵგონებისა გასაკრთომელად..

. . . .

ჩახრუხაული შერეული

მოკლული სენად, მოკლული სენად, თუცა მაქვს სისხლთა მჯდომელად,
ვითარავისო, ვითარავისო, მოყვარე დავსთმე გასაწყრომელად,
საფერი მეცა, საფერი მეცა, თავს ქვათავი ქვას დიამაგრი,
რადგან იასე, რადგან იასე, თვითვე შევიქენ ჭირთა მზომელად.
სად არი სული, სად არი სული, ცოდვილის სანანელად თუცა მაგარი
და რამან მანანა, რამან მანანა, არ შეიძლება ვიყო მდომელი.

ჩახრუხაული მჩობლედი

ლალის ბაგენი, გულთა საგენი, ჯიმშედის ბეჭდის თვალთა სადარი,
მის ბეჭდის ღერო თუ დაღერო, ტუჩი უმცროსად და საქადარი,
პირის სახენი, ღრუბლის ვახენი, ორიონისად უწითლე მჩენად,
თმათა დალალნი, ტროფიალთ დალალნი დალსა დასმიდა ზედდა საჩენად
პირმზე ნათელი, ვითა სანთელი, ცეცხლის მსახურთა სათაყვანები,
და მშვილდური წარბი მისგანვე წარბი ისრად წამსგვრავს გექნა ვნებანი

მრჩობლედი ფისტიკაური

სიკეთით ბაღი, სამოთხეს გავდა, თუ არ იმასა, რა შევადარო
მის სამოთხისა ვარდი ქაჯს გვანდა, შვენებით სრული დასაქადარო,
იასამანი ღვინოს ასხემდა, ნარგიზს ფიალა ველთა გჭირა,
ია დამთვრალი მიდგმულიყო ვარდს, მიბრუჟვით ჭირი ეჭირა
ჩარდიონს თმანი მკრზედ გარდეგდო, ღვინოს გეხსნა ნარგიზთა ყური.
და ბულბულთა კმასა ველარ ისმენდა ესრე შესლოდა აშიკთა შური.

შერეული

ერთსახედშუა დღისმზებრ ვითა მზენათლად მჩენარე,
თვალნი ნარგიზად მოსარვით, ნახევარი ულთა მცენარე,
ბირი ბროლ ლალთა უმჯობე, ინანთით გარდაბანილი—
წელიწერწეტი მკერდ ბრტყელი რანახოვლიდეს ზენარე,
გულ-ტკბილი შაქრის უტკბოსი, ბაგე ბალახში ცვარული,
და სხედას ვით ლბილი სხული კელთათვის არ საწყენარი

(ე)?

მრჩობლედი

ჭედ-წრაფი უცხო ოსტატი ჭკუიანი გონიერია,
წყალზედ ქართულად მოხატის, ემა იყო თუნდა ბერია,
გულისა გასანათებლად; თმანი ხუჭუჭი და სახის,
დაჭის სარითა ღლის: კარდსა შრომანთა ურგის მასახის,
მისთან ნახატთა მნახველი თუ გასინჯოდა ცნობითა,
და იგიც მის მსგავსად გაბეცდის, ვერ აჰას გამოცნობითა,

წყობილი

თუცა მსმენელი სწვალას ყურს არა უპყრობს სმენასა,
მმიმესა რად-ღა იტვირთავ, თავსა რად უზამ შენასა,
წესია უთხრა შეჯდომა ბედის ტაიჭთა სმენასა,
გზის შორისაგან განერას: ვანად მივიდეს მენასა,
თუ არ ისმინოს, მიუშვი გლდეზედა გარდაფრენასა,
მაშინ-ღა იცნობს შეიტყობით მისსა გულისა დენასა.

შეწყობილი

ღ́თის მინდობა სჯობს ყოველსა კაჭრობა მეშაკობასა,
რა ეგეთია, რაც მოგეცა, მისს სილამაზე მგობასა
გული მას მტკიცედ მიანდე, ნუ მიზეზემა (?) კობასა,
მენი მდღევარი მოგეცეს, ვით ხელიაში კობასა,
თუცა მოითმენ მოგივა დაეხსენ არა კობასა,
და შენმა ტრფიალმან გამოგლოს კლდოვანე ვფთვა კობასა.

იამბიკო

მრავალთა ყამთა მოგებად თემთა იარეო,
ვაოდენ ზრუნვა უმეტეს გაიზიარეო,
ანჯარის თვალი ალეხად ვერ აღიარეო,
სადაფი მეცელი თუცა და არ მოამშერეო,
და მარგალიტს ვერა აღიხვამს რაზომც მოიმცბიერეო.

იამბიკო

თუცა ღრუბელსა ცვარი ენამა,
ალად გაკდიდეს საქმემ ზენამა,
მაღლად მფრინველი-მოკლის ფრენამა,
ვითა ფარვანა სანთლის ზენამა,
ჭერი შეწვა ვერთქვის ენამა

20736
სსრ მეცნიერებათა აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук

რწგული

ბრძენმან მითხრა სიტყვა ჭირად სიტყვის ძალთა მრგვლდო ხშირად,
ეგრე ბაღი ვნახე მკირად იგავთ ხენი დარგუ სირად,
ვინცა ჭამონ, აქონ ძირად, შენდობა გრქვან შესაწირად,
და მრავალ ხილთა იგდე პირად მჭობის მჭობთა მოვლი მზირად.

შეწყობილი

რაზომ ხმელეთი იარო,
ჩემს მდურავს ვერ ეზიარო,
არა გქნა საუდიარო,
გლეხთ არსად მოკამშიგრო.

ფისტიკაური

ერთი იგივი გახსოვლ· მოყვარისა მცნობთა ბრძენთა ტკბილად ნათქმისა,
საქმე ყოველი კაცისა არაჲს არ თუ კაცი ყოველი საქმისა.

ლექსი

მივარემან მზე მოაწვია,
ორონოსთან დაა აწვია.

მეფისაგე ნათქვამი ეწყმეტელი

რად დავიბადე სოფლით ვიბადე, კაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო,
მეგონა რამე სოფელ რამე კაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო
მიწყუევ სოფლისა აგის მყოფელსა, - - - -
განვცხერ ვიშვებდი ვერ გავიშვებდი, - - - -
მატკბო მაგება არად სარგება, - - - -
შენ ვერ გიცნობდი თუცა მიხმობდი, - - - -
მოხველ ანასდად მიწას მეც ლაფლად, - - - -
მოვშორდი ცოლსა შვილს თანა მყოლსა, - - - -
მოვშორდი ძმასა გამყარე დასა, - - - -
მეგობარს სულთა საყვარელ ტკბილთა. - - - -
ძომკალ მომკვეთე სოფლის მოკვეთე, - - - -
სხვაგან გამგზავნე დამხვდენ მუნ მავნე, - - - -
მუნ გამიკითხეს დამცეს დამწნეხეს, - - - -
რად ენდვე სოფელს ანასდის მყოფელს, - - - -
თუ იქ იხარე აქ კი ხარე, - - - -
დამხვდენ მტარვალნი მწარეთ მტანჯველნი, - - - -
დულხენი მიმყვა მითხრეს ეს სიტყვა - - - -

მეფის ნათქვამი ბოლო ერთი.

მე შევამკევ ცა ქვეყანა ზღვა მთა-ველი ნაყოფი გვარი,
აბრამს უხმე საყვარელად მეთ აღგითქვი თემთა ზღვარი,
განვამდიდრე განვამრავლე, ზეცით ნაყოფი ცვარი,
ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი
შევამრწუნე მეგვიპტელნი რისხვით მივეც დანამწვარი,
აღაშოვოთე სასწაულით მიუვლინე მგალი მყვარი,
განვიყვანე ველთა მათგან უწირველად განაგვარი,
ნაცვლათ ჩემად სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი,
ღამე უძღვ ნათელის სვეტით დღე ღრუბლით ვწუავ იგმოარი,
ზღვა განუპე განვიყვანე მწყურვალთ მივეც კლდის განაღვარი,
არ განუცვდათ სამოსელი განანით ვქმენ გამაძღარი.
ნაცვლათ ჩემთა წყალობათა და სხვ.

შევიყვანე აღთქმის თემსა დაუმკვიდრე მთა და ბარი,
სულ აღვკოცე მტერნი მათნი და დავიდევ მათი ზარი
მეფელნი და წინამიქმელნი მივეც მათი მამაზარი
ნაცვლად ჩემთა სიკეთათა . . . .

კორცი ვიხსენ ქალწულთაგან, ვიქმნე მათი შენამყავარი,
მკვდარნი მათნი აღვადგინე, მკელობელი მათი კარი
სნეულთ მივეც განკურნება, ბრმათა ხილვა ვარქვიეს კარი
და ნაცვლად ჩემთა წყალობათა. . . .

მეფისავე ნათქვამი

შურით აღიასნეს უგბილნი წესი იქმნეს მათის მამისა,
სიკვდილს ზრახავდენ უწესოდ, თუ დრო დაიცენ ჟამისა,
უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ფპირავს ამისა,
და ვაი რა მწარედ იწოდა ჩაწლევნი მაზიამისა

მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხა ყოვლის გვამისა
მღდელი მოძღვრისას მივიდენ გასტანჯველად ვამისა
ბრალი ვერ პოვეს მასზედა ვლავ სცემდენ წამდა-წამისა
და ვაი რა...

მუხრანული

სამკალი გაქვს სამუშაო ძალო, თუ მოიმკი ვეთილსა იქ ძალო,
მოიმკე და შეიკრიბე, ძალო, საუკუნოდ არ წახდების ძალო,
მტერი რომ მზერს დასაწველად ძალო, მას შები გულ-მესისხლედ ძალო,
რა მას დასცემ მოისვენებ, ძალო ორსავ სოფელს სახელს ჰპოებ ძალო.

ვახტანგური

ორი მისი თვალი ორი ჯერანი, ბოლოს მწერველი,
კეკლუცობის ძალით კაცის მწყენელი გულზე მწერელი,
ნახეთ მოყვასნო საყვარელი ჩემი თვალის მკერელი
იმას უცხოდ გავს ის ტურფა და დაუჯერელი
და არა არა ის არ არის მე საყვარელს ვიცნობ მისი მჭერელი.

მეფის ნათქვამი ლექს ამბავი

საწუთროს ბაღი რა ქნდა სცან ალექსნდრეს მეფეო,
იდგა ყვავილი მრავალი სახელის სუნი —
მის ფშვას ალევს ქვეყანა სხვა და სხვა რიგთა —
შვებს ვარდისა მრავალი ფრად გაშლილი შიგა —
სხვანი ლხინისა შრომანი გია ფერადნი —
ყამბახის მსგავსად გაეღო სიუხვის პირი —
სიმდიდრის იასამანს სუნით ავსო —
ჯარი მრავლობასა ყაყაჩო ლილია ხაშხაში —
მ-სავას სუნის ფერისებრ შინა ყმა ბევრი —
მღვიძრობის თვალის ნარგისის სიხშირე იყო —
სიფერადენი ზარდახშნის ინის ყვავილებრ —
სვე სვიანობას სასახლე შიგ იდგა ცამდი —
დოვლათის შადრევანები მაღალი ისრედა —
თავ მაღლობისა ალვანი ღრუბლამდი იდგა —
სიხარულისა არღავანს მრავლად ჰპოებდი —
(?) მტერთ გულის ფერსა სუმბულისა სიმრავლე ქონდა —
კარგთ გულფერისა შაბუჰი იდგა მრავალი —
გოგრის თასთა ამბარი ბუ შიგ გაშლილიყო —
ეს ასე შექნა სოფელმან ახლა რომ ვიტყვი —
ანაზდად ცამან მოღრუბლა ნეფსკვისა გამოჩნდა —
დაზრო ზოგი გაახმო დასცვივდა სრულიად —
სახლთ წვიმა სეტყვით მიეცა ნოტიო დიდი —
გრიგალმა ქარმა იქროლა შემუსრა სრულა —
შადრევანები ნამსხვრევით ალივსო დასქდა —
ალვა ძირითურთ აღმოფხვრა ქარის სიმძაფრემ —
ჩანს უნაყოფოს მინდორად აწ ახლა იგი მეფეო, —
სოფლის სიმუხთლე ასეა რადგან სდევს მიკვირს —
და აწ შენ ამისთვის რათა სწუხარ უცხოთ მოჩანს ვახტანგ შეფეო.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის
ქართული ხელნაწერები

1. სასულიერო წიგნი სურათებით. ერთი კაბადონი in 32, შეძენილი ბ-ნ ლეტელიესაგან.

2. ჟამის წირვა, ანუ ლოცვათა კრებული საქართველოს ეკკლესიაში სახმარებლად. 1 კაბად. in folio; დაწერილი ხუცური ანბანით, რომელიც წააგავს სომხურ ასოებს. ეს კაბადონი გამოგზავნილი იყო საქართველოდან 1731 წ. კაპუცინ-მისსიონერთა უფროსის-მიერ.

3. სინაქსარი ანუ მთელი წლის კრებული წმიდათა ცხოვრებათა. ეს კაბადონი დაწერილია ხუცურად და მოქცეული იყო ძველ სომხურ ხელნაწერთა შორის. მე-25 ნომერს თავი და ბოლო აკლია.

4. ქართული ლექსიკონი საბა სულხან-ორბელიანისა. 1 კაბადონი in 4^0, შეძენილი ბ-ნ ლეტელიესაგან (ნახე წერილი ბ-ნ ბროსსესი — „ნუვო ჟურნალ აზიატიკ"-ში). დაწერილია ხუცურად, 322 ფურც.

5. ქართული კოდექსი ანუ ვახტანგის კანონები. 1 კაბად. in folio (ნახე ბროსსეს წერილი „ნუვო ჟურნალ აზიატიკ"-ში.

6. ქართული ქრონიკა. 1 კაბად. in 4^0. ეს ქრონიკა აღბეჭდა ბ-ნმა ბროსსემ ფრანგული თარგმანით და შენიშვნებით.

7. ტარიელის რომანი ლექსად. 1 კაბად. in folio. ასლი სრულია, მაგრამ სისწორეს მოკლებულია (ნამდვილი სათაური ამ რომანისა არის „ვეფხის-ტყაოსანი". ტარიელ სახელია უმთავრესი გმირისა. დამწერი რუსთაველია. 258 ფურც.

7. bis. ქართული გრამმატიკა ქართულად ნაწერი, 23 ფურც. 161 სტრიქონობით. 0m,170 × 0m,222.

8. რომანი ტარიელისა ლექსად. 1 კაბ. in 4⁰. შემოწირულია სამეფო ბიბლიოთეკაში ბ-ნ გამბას-მიერ. ხელნაწერი ახალი დროისაა. გადაწერილია 1811 იოანე იალღუზოვის-მიერ. თვით პოემა ეკუთვნის მე-XII საუკ. ბ-ნმა ბროსსემ დაბეჭდა პოემის ნაწყვეტი „ჟურნალ აზიატიკ“-ში. არც ეს ასლი, როგორც ზემოდ მოხსენებული, არ არის სრული.

9. ისტორია ომანიან ჭაბუკისა. რომან ტარიელის გაგრძელება ლექსად და პროზად. 1 კაბად. in 4⁰, შეძენილია ბ-ნ ლეტელიესაგან. ახალი დროის თხზულებაა.

10. მირიანი, ისტორია ერთი ჩინეთის ხელმწიფისა. საარაკო თხზულება, შედგენილი მე-XVIII საუკ. 1 კაბად. in 4⁰, შეძენილი ბ-ნ ლეტელიესაგან.

11. ბარამიანი, ჩინური მოთხრობა ლექსად. ახალი დროის თხზულებაა. 1 კაბადონი in 4⁰, შეძენილი ბ-ნ ლეტელიესაგან.

12. პროზად ნათარგმნი ვოლტერის ტრაგედია „ალჟირი“ თავად ჭავჭავაძის-მიერ. კაბადონი შეძენილი ლეტელიესაგან.

13. ქართული გრამმატიკა. კაბადონი შეძენილი ბ-ნ შულცის მემკვიდრეებისაგან. ნაწერია მთლად ქართულად, 52 ფურც. 0m,22 × 0m,17.

14. ფილოსოფიის დასაბამი. შეძენილი ბ-ნ შულცის მემკვიდრეებისაგან.

15. ქართული ენის გრამმატიკა ქართულად შედგენილი ბატონიშვილის დავითის-მიერ. საჩუქრად მოძღვნილი „აზიურ საზოგადოებისგან“.

16. ნაწყვეტები ქართული ისტორიისა, მეფეთა... ვახტანგ, ბატონიშვილის თეიმურაზისა (საჩუქრად მოძღვნილი „აზიურ საზოგადოებისგან“).

17. სინაქსარი-მარხვანი. ხელნაწერი ადგილ-ადგილ პალიმპსესტია (217 ფურც.).

18. პროლოგი, წმიდათა საგალობელნი მარტის თთვისანი. სრულად.

19. პროლოგი ივლისის თთვისა.

20. პროლოგი ივნისის თთვისა.

21. მათეს სახარების განმარტებანი იოანნე ქრისოსტომისა. სრული არ არის.

22. წერილი იმერეთის მეფის სოლომონისა პაპი პიოს VI იტალიანურა თარგმანით.

23. წერილების ნიმუშები. წერილების ასლები. ანბანის რიცხვითი მნიშვნელობა. (მე-40 ფურცელზედ მოყვანილია წერილი მარიამ დედოფლისა სპარსეთის პირველ მინისტრთან შესახებ მეფე როსტომის გარდაცვალებისა 1658 წ.).

24. ნაწყვეტი ტარიელის რომანისა. ნაწილი დაწერილია და ნაწილი აღბეჭდილი.

25. ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველი შეიცავს 213 გვერდს და მეორე 26 გვერდს.

ზემო მოყვანილ სიაში ზოგ-ზოგი ხელნაწერის დასახელების გვერდით მკითხველი შენიშნავდა ბროსსეს სახელს, რომელსაც მეორმოცე წლებში გაურჩევია პარიზში ჩვენი სიტყვიერების ნაშთნი და პატარ-პატარა წერილები უბეჭდია. მას უკან იმავე საგნის შესახებ ბევრი გამოკვლევა დაიბეჭდა თვით ბროსსესაგან და აგრეთვე ჩვენ თანამემამულეთაგანაც. თვით პარიზის ხელნაწერები კი დაახლოვებით არავის შეუსწავლია. ამ რამდენისამე წლის წინად მე დავბეჭდე „ივერია“-ში მოკლე განხილვა პარიზის ხელნაწერებისა. ახლა, რადგანაც უფრო დაბეჯითებით გადავათვალიერე იგინი, შემიძლიან მკითხველს ვრცელი ცნობა მივაწოდო.

აღნიშნული ნომრების წეს-რიგით შევუდგებით მათ გარჩევას.

I (პირველი). დაწერილია პერგამენტზე, ადგილ-ადგილ ქაღალდია ჩაკერებული, ხან წვრილ ხუცურად ხან მხედრულად. შინაარსი მრავალგვარია. მე-90 გვერდზედ მიწერილია ხუცურადვე: ღმერთო შეიწყალე ამისა მომხვეჭელისა და დამწერისა მონა ღვთისა გიორგი. ქჳს უიგ, ესე იგი 1795 წ. მე-116 გვ.

149-მდე მოთავსებულია: „საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის აღწერილი სულხან საბაჲ ორბელიანისაგან რომელსა ეწოდების **სამოთხის კარი**“. დასაწყისი: „სარწმუნოებისათჳს მართლისა და უბიწოისა შჯულისა, რომელი მოგუეცა წ~თა მამათა მიერ. მოძღვარმან ჰკითხა ყრმას ვინმე, ვითარმედ შენ ვინ ხარ? ყრმამან მიუგო და ჰქვა: ქრისტიანი. მოძღვარი: რაი არს ქრისტიანობა? ყრმა: რამეთუ გურწმენეს მართლმადიდებლობისა სარწმუნოება. მ. რაი არს მართალი სარწმუნოება? ყ. რამეთუ გურწმენეს და ვიცნობდეთ ღმერთსა. მ. რაი არს ღმერთი? ყ. არსება უმიზეზო და მიზეზი ყოვლისა არსებისა და ყოვლის ხილულისა და უხილავისა დამბადებელი...“ შემდეგი კითხვა-მიგება მიქცეულია მაცხოვრის დაბადების, მის განხორციელების თანხმად წინასწარმეტყველთა, სამების ბუნების, ათი მცნების, სიმბოლო სარწმუნოების და საიდუმლოთა ახსნა-განმარტებაზედ. როგორც სჩანს „სამოთხის კარი“ დანიშნული ყოფილა მოსწავლეთა სახელმძღვანელოდ.

მე-150 გვერდიდან იწყება ახალი შინაარსის ნაშთი: „აწ ესე უნდა ვიცოდეთ, რომ ხუთის თითის ქვემოდ ხუთის ეტლის მთანი არიან და ხელის გული არეას მინდორი არის და ნეკის მთის ქვემო მთოვარის მინდორი არის. წინა პირველი ცერის მთა, აფროდიტის მთა არის და აფროდიტის მთა რომ მაღლა ჰქონდეს კაცს და ზედ წითელი ნიშნები და ხაზები ღრმა დიაღ... (საიდუმლო ასოებით მოყვანილია სიტყვა) ნიშანია“. ეს ნაშთი ავსებს ჩვენს ცხოვრებას ხირომანტიის შესახებ. აქ შეხვდებით არისტოტელის დამოწმებას და საერთო შეხედულებას დაბადებულთა ეტლზე. ვინც დღისით იბადება, მას მარჯვენა ხელი უნდა გაუშინჯონ, ვინც ღამით—მარცხენა. დედათა სქესს კი მუდამ მარცხენა ხელზე აქვს ნიშნები... ხელნაწერში ჩართულია სურათები და სხვათა შორის ჯოჯოხეთი, ოთხ რიგად ანუ წრედ დაყოფილი, საპასექო კიკლოსი და სხვ. პირველს გვერდზე ვკითხულობთ: „კალას გალისკა ეს არის: დ მისხალი კალა უნდა დაადნო, ა მისხალი სინდიყი უნდა აურიო. მეორე გვერდზე მინაწერია: წიგნი ესე ეკუთვნის ლეტელიეს.

ვინ იყო ლეტელიე? ლეტელიეს შესახებ „საზოგადო სია ფრანგულ ხელნაწერთა ნაციონალური ბიბლიოთეკისა, შედგენილი ინსტიტუტის წევრის წიგნთსაცავის ლეოპოლდ დელილის მიერ“, (პარიზი 1876, გვ. CXX) გვაცნობებს შემდეგს:

ლეტელიე (კამილი), ცნობილია უფრო აბბატ ლუვიეს სახელით, მეფის წიგნთ საცავის მცველი აპრილიდან 1684 წ. გარდაიცვალა 5 ნოემბერს 1718 წ. 43 წლისა. მან უანდერძა წიგნთსაცავს ყველ თავისი ხელნიწერები, რომელნიც მას დარჩა თავის პაპისაგან კანცლერ მიხეილ ლეტელიესაგან და ბიძისგან კარლ მორის ლეტელიესაგან, რეიმსის არქიეპისკოპოსისაგან. ნაანდერძევი შეიცავდა 300 კაბადონს და მრავალს დოკუმენტებს მე-XVIII საუკ. ოცდა თექვსმეტ პორტფელში და 61 აკინძულ ქაღალდებში.

(მეორე ლეტელიე კარლ მორისი რეიმსის არქიეპისკოპოსი გარდაიცვალა 1710 წ. უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში დიდს მონაწილეობას იღებდა სამეფო ბიბლიოთეკის მართვაში).

როგორც აქედან მკითხველი დაინახავს, ლეტელიე გადაცვლილა 1718 წ. მაშასადამე ქართული ზემო აღნიშნულს 1825 წ. ხელნაწერზედ თვით ლეტელიეს ხელით არ იქმნება ჩართული მოყვანილი მინაწერი: „ეკუთვნის ლეტელიეს“, ან შეცდომაა ქართულს ქრონიკონში.

II (მეორე). დაწერილია ხუცურად პერგამენტზე, შინაარსით წააგავს გულანს. ფრანგულს ენაზე მინაწერი აქვს: C'est manus-scrit géorgien dont les caractères ressemblent aux caractères arméniens; ils ont été fait par Jsaac et Mesrop ces fameux philosophes qui composèrent les caractères armeniens et géorgiens. Les derniers ressemblent beaucoup aux autres, quoiqu'ils soient autrement different aussi je ne puis pas dire ce que contient ces manuscrits. Vol 387 infol. ამ სიტყვების დამწერი უარს ამბობს სთქვას, რა შინაარსისაა ეს ხელნაწერი, რომლის „ასოები წააგავს სომხურს“. ჩვენი დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ ამ ხელნაწერში მოქცეულია ამორჩეული საკითხავნი ძველი და ახალი აღთქმიდან. (სიბრძნისაგან სოლომონისა, ზაქარია წინასწარმეტყველისა და

სხვ.). უკანასკნელს გვერდზე, თვით ყდაზე იტალიანურად მინაწერია: Mando uno libro amico giorgiano di lingua 1731 წ. (უთუოდ ეს წელიწადია იტალიიდან (?) გამოგზავნისა). სხვა-და-სხვა ადგილას მხედრული ხელით (XIII—XIV საუკ.), რომელსაც ჯერ კიდევ ხუცური ხასიათი აქვს, მინაწერია: „სამას ოთხმოცდა თორმეტი ფურცელი არის; მეორე ადგილას კი: ოთხას ორმოც და ოთხი ფურცელა არის და ვინცა დააკლოს ღმერთმან ჰკითხოს დღესა მას საშინელსა განკითხვისასა“. ერთგან ვკითხულობთ: ეს წიგნი მოგეც მე დემეტრემ თქვენ იოვანეს ამ ორსა...; მეორე ადგილას (XIV—XV საუკ. ხელით): ეს წიგნი ეკუთვნის დავითსა. ჩამოთვლილია სახელები ვედრებით „შეუნდოს ღმერთმან“ და ბოლოს: „იყო ცოდვილი მონა მაღათის მონოზანი მარათა“...

III (მესამე). უთავბოლო დაწერილია ტყავზე XVI—XVII საუკ. ხუცური ხელით; მიწერილია ხუცურადვე: „სულსა დიასამიძისა ასულსა ეკატერინეს შეუნდოს ღმერთმან, მისთა დედ-მამათა და ძმასა შეუნდოს ღმერთმან ამინ. ღმერთო, შეიწყალე სული ჩემი ამინ“. მეორე ადგილას ხუცურადვე: „შემოგწირე მე დიასამიძემან ზურაბის ძე საალაპოდ, საუკუნოდ ჩემსა მონასტერსა. შემოგწირე და მოგახსენე თქვენ ღსალის (?) ღვთისმშობელსა და თქვენსა მონასტერსა მე იაღლმაშვილმან დავით ხურხას ყანა თქვენსავე ყანას მოკიდებული“. ბოლოს აწერია მხედრულად: „ღმერთო, შეიწყალე მონა ესე შენი სახელით ბასილი ორსავე ცხოვრებასა. ამინ“.

IV (მეოთხე). დაწერილია ლურჯს ქაღალდზე, 4°, 322 გვ., მხედრულად და შეკრულია ყდით. თვით ყდაზე მხედრულად მინაწერია: „წიგნი ესე ეკუთვნის ვიქტორ ლეიტელიეს“. დასაწყისი: „ამბავი პირველ სასწავლო ყრმათათვის“. წიგნი აღმოჩნდა საბა სულხან-ორბელიანის ლექსიკონად, რომელიც მას შეუდგენია ქჳს ჩქპე (1685)*) ვახტანგის ბიძის მეფე გიორგის ბრძანებით სომხურ **ბარგარქის** მსგავსად, რადგანაც ქართული ლექ-

*) ეს წელი აღნიშნულია ს. ს.-ორბელიანის დაბეჭდილ ლექსიკონშიაც. ა. ხ.

სიკონი დაკარგულიყო. ბოლოში სწერია:„ შემდგომად მონაზონ იქმნა და გარესჯის მრავალ მთის წმსა ნათლისმცემლის მონასტერს დაადგრა ქკს ჩქჟჱ (1698 წ.). მარტის იჱ მონოზან იქმნა ქკს ჩღი (1710) დეკემბრის ი ხორასანს წავიდა, მეფე ქაიხოსროს ეხმო და თებერვლის გ გამოისტუმრა მრავლის ნიჭითა მაისის ია ქართლს მოვიდა; ქკს ჩღიბ აპრილის კგ მეფე ვახტანგს ისპაანს გაჰყვა, ორს, ნოემბერს გამობრუნდა. დეკემბრის გ ქართლს მოვიდა. ქკს ჩღიგ, აგვისტოს იჵ საფრანგეთს გაიპარა. ფრანცია, ჟენევა, სიკალია, ჰრომი ნახა; ფრანციის მეფე, რომის პაპი უცხოდ კარგად დახვდნენ, ყოველი კაცი გაჰკვირდა, რაც იმ ქვეყანაში უცხო და ძვირად სანახავები იყო, ყოველი აჩვენეს. ჰრომის პაპმა წმ. ძელის ჭეშმარიტის ჯვარის ნაჭერი უბოძა და წმ. კლემენტოს მოწამის თავი და სხვა ნაწილნი. იჵ მარიამობისთვეს გამოისტუმრა, გზაზე მრავალი წმ. სახლები და ადგილები მოილოცა, ვ ღვინობისთვეს მალთას მოვიდა. ჵ დეკემბერს ფრანციის მეფის მოუვიდა და წამოვიდა. ქკს ჩღიე იანვრის ით კონსანტინოპოლს მოვიდა. ის წელიწადი იქ დაეგვიანა. ფრანციის დესპანთან იდგა მრავლის კეთილ ხელ-შეწყობილი“... შემდეგ მოყვანილია; „მოხელენი, რომელნი არიან ქართველნი და რომელთამე არღარა უწოდენ და დაავიწყებიესთ და სხვა თურქთა ენათაგან მოუღიეს, მისდა ნაცვლად“. ამ სიტყვათ სიას ჩვენ სხვა დროს ცალკე დავბეჭდავთ. ბოლოს მინაწერია თქმული სახლთუხუცესის დიმიტრი ორბელიანისა:

„სიბრძნით ტრფიალთა* დამზიროჳნ, რას ჰსწერს სულხან საბანი.*
მოსურნეთ გემასპინძლეპთ გიშლიათ სნატი საბანი,
ჭირით მოისთვლოთ ლხინ გიდგათ არ ლაწვ ცრემლითა, საბანი,
და რადგან მომშორდა, ჭმუნვას მაქვს და ზრუნვა გულთა საბანი, *
ვაი მმართებს, რადგან დავკარგე, ვინ მიმართებდა იგავსა,
მიმდებ გვწავლიდა კეთილად და გვაშორებდა იგავსა,
მის ბრძნის ნაღვაწი იხილეთ, ოფაზობს ბიწსა იგავსა,
და ბედმან მიმუხთლა, არ მომხვდა მისისა სიბრძნის იგავსა.
საბა ძმათ ნეტარ ხსენებით მომშორდა ხანსა გრძელადაო,
კავშირს დავსნამდე თვით თავით საქმე ჰქმნის ყველა ქველადო.

ზოგნი უქებდენ ზოგთ ჰსძაგდათ ვითა წესია ძველადო
და მტვერისა მტვერად დამტევი გაუხდათ საძებნელადო.
მისთა შრომილთა ტრფიალნი მისნი ძმანი და მონანი
კმა ეულკსცა ეპოვა მის სიბრძნის ქართელთა წონანი
ვარღია ზღუდე მოძრცველი დაგდო სიტყვის კონანი
და ძმა უწერს, მოერე ძმა სთხოვე მისნივე ცრემლით მგონანი.
ამ სიტყვის კონის მწერალი ძმა და მოწაფე მისივე,
საბავ, დაგდე ზოსიმე მე გულ ნაღვლითა მისივე,
თუ ვისმე გწადისთ ეს წიგნი ეგრე გმატსთ, ვითა რუსთველი
ფრიად მაშვრალი მუშაკი, მოკვდა დაეფლა რუსთველსა.

ამის შემდეგ მოყვანილია მეფე ვახტანგის ლექსი, სადაც საბას უწოდებს ბრძნად და ამბობს, რომ მან დიდ ხანს იმოგზაურა, 66 წელი განუწყვეტლივ სწავლობდა:

„რადგან დაშვრა ასე საბა, ქება მმართებს აწლა მეცა..“

V (მეხუთე). დაწერილია ქაღალდზე და შეკრულია ყდით, რომელზედაც ვკითხულობთ: „Vol. de 282 feuillets; les feuillets 120, 220 sont blancs. Ms cédé à la Bibliothèque du Roi par M. Gamba, consul de Françe à Tiflis en Janvier 1825. Ce manuscrit a été copié à Tiflis en 1823 de notreère. ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგ მეფის კანონების ასლს. სათაურში მოქცეული index-ი ანბანზედ (აღდგომა დღესა პყრობილის განთავისუფლებისათვის; ავის თქმისათვის მოსამართლესთან; ასოთა ჰრილობისათვის, თუ რა სისხლი რა გაუჩნდება და სხვა). მე-18 გვერდზედ (versa): „იგი ძველნი საძიებელნი ვინათგან არევით იყვნეს და საჰიროსა ჟამსა ძიებასა შინა დიდად დაშო(ვ)რებოდენ მსაჯულ-გამგენი... ამისა ადვილ საპოვნელი მიზეზი მებრძანა ყ̃დ ამაღლებულისა ღვთივ გვირგვინოსანისა საქართველოს და კახხბორჩალოს მპყრობელ-მქონებელის მეფის **თეიმურაზის**-მიერ, რათა ღონე რამე მჯძია ადვილ საპოვნელისა. და აწ მე ვიღვაწე მცირედ რამეჯერ, გვარიცხვენ ძველნი საძიებელნი და მერმელა ანბანზე გამოვკრიბენ, რომელი საჩივარ სამართალნი რომელსა ასოზე უნდეს დახედავს ამის რიცხვით ძველის საძიებელის რიცხვი მიიყვანს და მუნ ჰპოებს. მეფე ადიდეთ სუფე-

ვით...“ მე-19 ფურც. ვიდრე 55 ფურცლამდე მოქცეულია შედარებითი ცხრილი კანონთა: „დაბადება, ბერძნული, სომხური, კათოლიკოზთა, მეფე გიორგი, აღბუღა, ვახტანგ“ და აღნიშნულია მუხლები ერთისა და იმავე საკითხავის შესახებ. მე-55 ფურც.: „ქ. დასაბამიდგანვე დამდებელმან საფუძველთა ქვეყნისამან და მქსელმან ცათამან უფსკრულთა გამომკვლეველმან... ვახტანგ.“ ბოლოს: „აღვწერე მოქალაქე მოსესის ძემ ტიტულიართ სოვეტნიკი ნიკოლოზ ბაღინოვი თებერვ. იე დღესა ჩყკე წელსა.“ კანონები იმ რიგზე არიან მოყვანილნი, როგორც ზევით მოვიხსენეთ: ჯერ მოსეს რჯულიდან, შემდეგ ბერძნული და სხვ.

VI (მეექვსე). in 4⁰, 96 გვ. ყდით. წარმოადგენს ქართულს ქრონიკას, თუმცა ის ორგინალი კი არ არის, რომელიც შემდეგ, როგორც კატალოგშია მოხსენებული, დაბეჭდა ბროსსემ ფრანგული თარგმანის დამატებით. დასაწყისი: „ქჳს ჲა თურქნი მოვიდენ მეფე გიორგი მოჰკლეს, ლაშქარნი სად დახოცეს, საქართველო მოარბიეს და წარტყვნეს თვესა აგვისტოსა კ. ქჳს ოგ, ლანგთემურ ტფილისი წსტყვენა, ციხე აიღო და მეფე ბაგრატ და ანნა დედოფალი გამოასხა და დაატყვევა.“ უკანასკნელი დატა ტნე: „შაჰაბაზ ყეენი მოკვდა.“ ეს ქორონიკონები შევადარეთ ვახუშტის-მიერ მოყვანილ ქორონიკონებს და აღმოჩნდა, რომ დაბეჭდილი ბროსსეს-მიერ უფრო ვრცელია, ვიდრე პარიზის ხელნაწერისა.

„ქორონიკონები“, სხვათა შორის, მით არიან საყურადღებონი, რომ იქ მოსჩანს კვალი სხვა-და-სხვა ავტორთა ნაწერებისა: ზოგნი მათგანნი თვით ყოფილან მოწამენი, მაგალითად, მესხეთის ამბებისა („ქჳს სჲე სახელსა ზედა ღვთისასა გავილაშქრეთ ენკენისთთვის ნახევარსა და ქაშის ციხეს მივადექით“), ან შაჰაბაზის შემოსევის დროისა და ზოგი ისტორიულ ფაქტებს მოგვითხრობს, როგორც გამგონნი ან წერილობით წყაროსს მცოდნენი („ქჳს სოგ მეფე სვიმონ და ფაშა შეიბნეს და მეფეს გაემარჯვა“).

VII (მეშვიდე). დაწერილია ტყავზე infolio, მე-XVII—XVIII საუკ. ხელით, მხედრული ასოებით. ყდაზე ვკითხულობთ: Vo-

lume composè de 2 parties; I de 258 f.; le feuill. 250 est blanc; II de 7 f. (20 Janv. 1897). მიწერილია: „დიაღ ცუდი ვეფხის ტყაოსანია.“ დასაწყისი: „დასაწყისი პირველი ანბავი სპარსული რუსთველისგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეფხის ტყაოსნად უხმობენ. ტარიელის და ნესტანდარეჯანის მიჯნურობა: ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ და სხვ. იმ რიგზედ, როგორც არის დ. ჩუბინაშვილის გამოცემულს „ვეფხისტყაოსანში“ მეთექვსმეტე ტაეპიდან, ვიდრე ოც და მეშვიდე ტაეპამდე. პოემას დამატებული აქვს ის ტაეპნიც, რომელნიც მე დავბეჭდე მოსკოვის გარეშე საქმეთა არხივის ხელნაწერი „ვეფხის-ტყაოსნიდან“ (ნახე Груз. рукописная поэма „Барсова кожа“ изъ Гл. Москов. Архива Минист. иностр. дѣлъ). თავდება: „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“ და სხ. ბოლოს მინაწერია ლექსები უშინაარსო და სახელები: „ლუსვორჩ, გა(ა)რიგორ, სურთანა“, რომელნიც სომხებს უნდა ეკუთვნოდეს. რომ ეს ჩვენი აზრი სარწმუნოა, იქიდან შეიძლება მკითხველმა დაინახოს, რომ თვით პოემაში ვპოვებთ შემდეგს: „ეს ლექსი **ადამ გადამწჳარა**, რომ არის ბეზაოს ქალი(?) ცოდვისაგან ვიტანჯვი, მიშველეთ, ვინცა ხართ სამოთხის შვილი... და ესე წიგნი არის სამასი რვა არის. დაიწერა შამახის წიგნი იანვარს იე ქჳს ტზ (=1619). წიგნის მეორე ნახევარში მოქცეულია: „სამთვარეო, მართალი, ჭეშმარიტი.“

VII (მეშვიდე) bis. 23 ფურცელია in 4⁰, ქაღალდზე დაწერილი ხუცურად და მხედრულად **ღრამმატიკა.** „ღრამატიკა არს ჰსწავლა ხელთმძღვანელი კანონიერი უბნობისა და მართლ-წერისადმი. ღრამმატიკა განიყოფის სამთა ზედნაწილთა: 1. ლექსთ წარმოებასა ზედა; 2. ლექსთა თხზულებასა ზედა, 3. მართლწერასა ზედა. თავი პირველი: ასოთათვის, მარცვალთა და ლექსთა. თავი მეორე: განყოფილებისათვის ლექსთათვის (სახელი, ნაცვალ სახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნასა ზედა, კავშირი, შორისდებული). თავი მესამე: რიცხვი და ბრუნვა (წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენელობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი). კან-

კლედობა ოთხგვარად იქმნებიან: I დაბოლოება უხმოთა ასოზედ; II ა, ე, უა, უჲ-ზედ (სიტყუა, ტყუჲ); III, ი, ჳ; VI, ო, უ. ზმნა-სახე: სხმით გარდასვლითი, მრჩობლთსხმით გარდასვლითი. პირველი აღნიშნავს მოქმედებას პირის ანუ ნივთისა უსაშუალოდ (ვწერ); მეორე—საშუალებით სხვისა პირისა ანუ ნივთისა (ვაწერინებ). დრონი: აწმყო, წამყო (უსრული, სრული, უსრულესი, უუსრულესი), მყობადი. სქესი ზმნისა: საზღვრებითი, ბრძანებითი, პოტეტიკა, ე. ი. უკეთობითი და განუსაზღვრელი“. გრამმატიკაში მოყვანილია მაგალითები კანკლედობის და მიმოხვრისა.

VIII (მერვე). აგრეთვე „ვეფხის-ტყაოსანია“ in 4^0, ქაღალდზე დაწერილი: „ამა ამბავის პირუჲლი და აამო და სასმენელად შუჲნიერი სწავლისათჳს მოშაირეთასა ტარიელისა და ნესტანდარეჯანის ვეფხისტყაოსნად უხმობენ.“ დასაწყისი: „რომელმან შექმნა სამყარო“ და სხვა. ჩვეულებრივი ტექსტია ცნობილი პოემისა. ბოლოს: „სრულ იქმნა ხელითა იოანნე იალღუზის ძისათა. აპრილის 21. წელსა 181“.

IX (მეცხრე). ნაწერია მხედრულად ქაღალდზე 4^0 და დასურათებული (სპარსული ტიპები და ჩაცმულობა): „ამბავი პირველი ტარიელის შვილის სარიდონის ძისა იმაიან ჭაბუკისა, რომელიცა ამბავი ესე ზედ მოებმის ამბავს ვეტფ-ტყაოსნისას“. დასაწყისი:

„დიდება შენდა, დიდება, ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო,
ჩვენ ულირსთაგან უცნობო, ენითა მიუთხრობელო,
ცათა და ცისა მნათობთა საკვირვლად მაბრუნებელო.
ქვეყნისა, ქართა, ჰაერთა და ზღვათა შემძრწუნებელო“.

მინაწერი: „ჩემი თქმული შაირი მაჯამად და თავად კიდურ წერლობადვე ჩემივე სახელი დავით:

Ⴃანაკოდარი სევდით გული რა დილეგს იგება,
Ⴀიზრახე მუნით აზატმან წყლულო ჭირს ქვერად იგება,
Ⴅსრით ნაკრავსა სჯეროდა კვლა ლახვარს გულს ნუ იგება,
Ⴇვალთა ნუ იდენ ცვარებსა იგვე დღე შენდა იგება.

მისივე: „დასაწყისის მქონე სჭმუნავ სოფლისთა მომკლეს მანათა,
ვის მისცნა გაუმწარებლად შვებანი ან ცხრა მანათა,
ისწავენ გაქესვე დასასრულ, დაგიშთენ ოქრო მანათა,
თლილა სპეკალთ დღეს შენ ოხრება ხვალ მე მომცნა მანათა.

„ჩემ მცირისა ალექსის ძის დავითისაგან ესრეთ მორეგეხსენნესთ მკითხველთა: ამისა კითხვა ჩემგან ვიცი, რომენ სათანმდებო არაა, არამცა აღწერა, მარა სევდიანი საწოლთა ვსჯე, ნუგეშთაგან ყოლე მოკლებული. სოფელსა არ ვემდუროდი, მარა უბრალოდ დასჯასა ჩემსა ვკვიროდი... და ესდენთა ჭირთა განმრავლებამან საპყრობილეთაგან შემდგომად გამოსვლამან ესე აღმაწერინა. ცუდად ჯდომას ცუდი შრომა ვარჩიეო. სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა თთვესა თებერვალსა, რიცხუსა 4, წელ!ა სიტყუასა ღვთისა 1782. **მაღალ-კეთილშობილი ალექსის მე რექტორი დავით.** მხედრული ხელი საუცხოვოა.

ყდაზე: „წიგნი ესე ეკუთვნის ვიკოტორ ლეტელიეს. Histoire d'Omayn oman en vers et en prose (მართლაც მეორე ნახევარი პროზად არის დაწერილი) Volume de 97 feuil, 21 Janvier 1897.

X (მეათე). 32 ფურცელი ქაღალდზე, 4^0: მე-XIX საუკ. ხელით დაწერილი. ყდაზე: „წიგნი ესე ეკუთვნის ვიკტორ ლეტელიეს“.

დასაწყისი: „აქ ამბავი პირველი, თავი დასაწყისი ჩინეთის ჴელმწიფისა. ამა წიგნსა ეწყოდების **მირიანი**“. დასასრული: „ქორწილი მირისა და ნომ აკთამბისა“. მინაწერი: „აღიწერა წიგნი მირისა და ნომისა ქჳს უნჲ“ (1760 წ.). თავში სხვა ხელით ლექსი:

„გიწერს ბრძენი შვენიერად უმსგავსოსა საქმეს მოკლედ
რას მაშიყობ ვისსა მეცნი მბრძნობენ ძველსა პროკლად
ტრფიალების მდრანჯველობით ყვავი ვარდზედ ნუხარ მროკლად
და შვენებრ მსგავსთა ელატიცე მათთა ბაგეთ იყავ მლოკლად.

XI (მეთერთმეტე). ყდაში შეკრული, ქაღალდზე 4^0 დაწერილი (ეკუთვნის ვიკტორ ლეტელიეს), 83 ფურცელი. დასაწყისი: „კარი პირველი დასაწყისი ჯონშერ ჩინელთ მეფის ამბავნი, რომელსაზედან იწყებს მიჯნურობა გულიჯანისა და

ბარამ ჭაბუკისა. ისმენდინ მეფეთ მეფეო! ცხოვნდი უკუნისამდე. უხმობენ წიგნსა ამას **ბარამიანად.**

არსებით ფხადი ერთუფლად სამსახედ გვამოვნებასა,
მამისა მიერ მესადა, ეგრეთ სულისა თნებასა,
გვამებით შეურევნელსა, ხორცთ შესხმით ბრწყინვალებასა,
ვმადლობდეთ მარგედ სულისა, მიწანი ვასხამთ ქებასა.

ცის და ქვეყნის შემქნელის დიდების შემდეგ „ბარამიანის“ დამწერი მოგვითხრობს: იყო ჩინეთში უძეო ბრძენი და მდიდარი ჯონშერ, რომელსაც ჰყავდა ასული მშვენიერი გულიჯა. ამ ქალის და ბარამ ქირმანელის გამიჯნურება შეადგენს შინაარსს „ბარამიანისას“.

ამ ამბისა ქართულად მთარგმნელმა კაცმა ქებულმა,
ესე დაგვიდო ჩვენ ვჰპოვეთ აქა და იქი რებულმა.

ბარამი და გულიჯა დახასიათებულნი არიან სილამაზის მხრივ, როგორც შოთას ტარიელ და ნესტანი. „აწ გითხრა ბარამ პირადმზე, ჭაბუკად სახელდებული“... „მისი სახელი გულიჯან კეკლუცად ჰქონდა ჰშვენება, მთვარესა მისი სინათლე თუ მისცემოდა—ენება. ნატრიდის სხივთა ეთერი მზემან დაეწყის ქენება და ვარსკვლავთა მხევალ მონობით, მათ მისგან უნდა ხსენება“. წაბაძვა რუსთაველისადმი მოსჩანს სხვა ადგილებიდანაც: „ბარამ ძე ჰყვანდა მეფესა, იგი მებრძოლთა მზარავი; მას მისცა სპასალარობა“... ნ.-დარეჯანის შეხვედრას მოგაგონებთ: „ქარმან კუბოდგან ახადა ფარი... გამობრწინდა ბნელსა მთვარე... ერთმანეთი შეიყვარეს“. გმირი საწოლსა იყო სევდიანი, როცა მასთან მოვა წერილით ქალი და ეტყვის. „ჰკადრა მზემან შენმან გამომგზავნა“. წიგნი გულიჯანისა მინაწერი საყვარელსა თანა იწყება: „მოგიწერო თვალთა ნათელო ლომო ლომთანა ნარეო“... სწერს სევდით ურვილი გრძელს, მრავალ სიტყვოვანს ეპისტოლეს, რომელზედაც პასუხს უგებს ბარამ: „ჵე ცისა ეტლთა მფლობელო, მზისაგან უფრო მზეოდა... სამოთხისა წალკოტო, მთვარეო მაშვენებელო.... მებრძანა ნუხარ მოღრუბლით, აწ მზისა იქმენ მნახავი“... შეჰკრა უსტა-

რი და გაგზავნა. როცა შეიყარნენ, „დასდნენ ქალყმანი ვითა ვთქვა მათ ორთა მზეთა ხარობა“. დაკოცნის შემდეგ გმირი დაბრუნდა სახლში. გაიგებს ქალის მამა და ბარამი იძულებულია უდაბნოში გადიკარგოს. გულიჯან მოცულია მწუხარებით და დედის ნუგეშის ცემით დამშვიდებული. ბარამ მინდვრად „დღისა მზეს ეაჯება, ღამე ალხენდის მთვარეო“. შემდეგ შოთას წაბაძვით მოყვანილია „აქა ბარამისაგან მნათობთა საუბარი“. დასახელებულია მზე—ეტლი მეფობისა, მთვარე—ეტლი მოგზაურთა, ცისკარი—ეტლი სნეულთა კურნებად, ოტარიდი—არს ეტლად მწიგნობართათვის, მარხი—მხედართათვის, მუშთარ—ვაზირთა, ზუალ—(აფროდიტა) სამუშაკოია. ბაღში „ზარდახჩანისა“ იგი ემუსაიფება ბულბულს საყვარლის მუხთლობაზე. წავა შემდეგ ბალხეთად და მოლადის შეხვდება, ბალხეთის მეფის სპასალარს როგორც ეს უკანასკნელი თვით გამოუცხადებს ბარამს. მოლადი თანაუგრძნობს სიყვარულისაგან ფერდაკარგულს ბარამს და მისწერს წერილს ბალხეთის მეეფეს ნარიმანს, სადაც აქებს სილამაზეს და ალერსიანობას ბარამისას და სთხოვს ნებას წარუდგინოს იგი მას. პასუხი მოუვა და ბარამი გამოცხადდება მეფის წინ, რომელიც ალტაცებაში მოდის მის სიკეკლუცით და მჭევრმეტყველობით. ნარიმანის დახმარებით ბარამი წავა ჩინეთს თავის სატრფოს საძებნელად. გზაში ვინმე ბარზამნისაგან შეიტყობენ, რომ გულიჯანის მამა გარდაცვლილა და ასული მისი უარს ამბობს მეფობაზე, რადგან მწუხარებით არის მოცული. ბარამი ნარიმანით შევლენ გულიჯანის სამეფოში და მწუხარება გათავდება ქორწილით. ნარიმანი დაბრუნდება სახლში. პოემა თავდება გულიჯანის სიკვდილით. „დასრულდა წიგნი ესე ბარამიანი და იქმნა მიჯნურთა ამბავი ლექსი 812, რომელმან გავლექსე თვეს სამსა და დავწერე დღეში რვეული ერთი და მისთვის ვერა რაი კაი ხელი. ამბათ ქებას ცალკე უნდა წაიკითხდეთ.“ სჩანს ამბად, პროზად, ყოფილა ბარამიანი და გაულექსავს უცნობს ავტორს. „დასრულდა გალექსვა აპრილის გასულს ქჳს უიდ (1726). ეს ბარამიანი მე ალექსის ძემ დავითმა გავმართე ქჳს უოვ

(1788), თიბათვის თ (9). „კალმად ფრთა მქონდა და ქაღალდს და მელანს თქვენც ხედავთ, ამისთვის კაი ხელი ვერ მომივიდა“. პირველს გვერდზე მოყვანილია ყაფლანიშვილის საბას ნათქვამი:

ალმას ბასრი გალესილი დავჰკარ ენათ კაიმით ზმანათა,
ცე თვით იტყვის კმარის ლმობა, მის ნათქვამთა ორპირ თქმათა,
ჟამად რას სთხოვთ, ტვირთს უმძიმებთ ფუცვით ქმნილთა ღისთა ყრმათა,
შლის ჩირთს ცაშლით წვიმით, ჰქხით, ხეხმალ ჯირკთა ჰაჭი'ს ხმათა.

შემდეგ ერთი უწმინდური ლექსია მოყვანილი და თვით დავითისგან (რექტორი) მინაწერია: „ეს ცუდი ლექსია... ხუმრობაა.“

XII (მეთორმეტე). infolio, წითელი მელნით ქაღალდზედ 35 ფურც.: „წიგნი ესე ეკუთვნის ვიკტორ ლეიტელიეს.“ „ალზირა ანუ ამერიკელი ტრაღედია.“ მოქმედება პირველი. ა. ალვარ და გუსმან. ალვარ: მადრიტის უზენაესმა მართებლობასა აწ შენდა ურწმუნოების მოადგილობაჲ ჩემი, საყვარელო შვილო“ და სხვა. ენა თარგმანის გამომეტყველია, პოეტური, ღრმა. ამგვარი სიტყვები და ფრაზები, როგორც: „ლიშპანელი, ჰმუნვა სახესა მისსა ზედა გამოწერილიყო“, მოწმობენ, რომ „ალზირა“ ქართულად რუსული ენიდან არის ნათარგმნი. მართლწერის მხრივ აღსანიშნავია: არისკებენ, გარნა, რაჲ, თქუჱნ, ტჳრთი და გვაფიქრებინებენ, რომ ალზირა ნათარგმნია ამ საუკუნის დამდეგს, ანუ წარსულის საუკუნის დასასრულს.

XIII (მეცამეტე). „გრამმატიკა“ 52 ფურც., მე-19 და 51 თეთრზე და დანარჩენი შავზედ ნაწერი. წარმოადგენს განმეორებას იმ გრამმატიკისა, რომელიც ჩვენ ზემოდ აღვწერეთ № 7 bis.

XIV (მეთოთხმეტე). შავს ქაღალდზე in 4⁰ მხედრულად და ხუცურად 75 ფურცელზედ ნაწერია: „წინასიტყვაობა ფილოსოფიისათვის და ნაწილთა მისთა.“ რაოდენ არს ცნობა კაცობრივი? „სამგვარი: ისტორიებრი, ფილოსოფიებრი და მატემატიკებრი. პირველი გვიჩვენებს საქმეთა ნივთა და მყოფთა; მეორე—მიზეზს და მესამე—ზომას. ფილოსოფია იყოფა ორ ნა-

წილად პრაქტიკული და თეორეტიკული. უკანასკნელს ეკუთვნიან: ფიზიკა, მეტაფიზიკა (ონტოლოღია, კოსმოლოღია, ფსიხოლოღია, ღვთისმეტყველება). პრაქტიკულს ფილოსოფიას შეადგენენ: საზოგადოსა ზედა საქმითსა (ახლანდებურად სოციოლოგია), ეტიკა, პოლიტიკა, უფლება. შემდეგ ავტორი შეჩერდება ლოგიკის განხილვაზე—ჭეშმარიტების გამოაშკარავება. პირველი თავი დათმობილი აქვს იდეიას ანალიზს [„ანუ მოგონებას“]; მეორე თავი „ხმარებისათვის ლექსთა სიტყვათა შინა.“ ხმარება სიტყვათა მეტაფორიულად ანუ სიტყვათ აზრის შეცვლით; მესამე თავი საზღვართათვის. საზღვარს შინა საჭირო არს: „ნათესავი“ (უთუოდ genus) და სხვაობა სახეთა (სჩანს ავტორს აქვს სახეში species); მეოთხე თავი განწვალებათათვის (განაწილება ყოვლადის კერძთა თვისთა ზედა). მეხუთე თავი განსჯათათვის და წინადადებათათვის; მეექვსე თავი გონების მოქმედებისათვის (=умозаключенiе) და სილოგიზმისათვის და მეშვიდე თავი უკანონოთა სილოგიზმთა და აგრეთვე მათთვის, რომელნიცა უსაშოალოდ იწოდებიან.“ აქვე მოყვანილია დილემანი და სახენი სილოგიზმისა. თავდება სიტყვით: „დასასრული I ნაწილისა.“ ეს ლოგიკა ანტონ კათალიკოზს უნდა ეკუთვნოდეს. ენა მოგვაგონებს მის მეტაფიზიკას და ფილოსოფიას.

XV (მეთხუთმეტე). in 4⁰, ყდით, შავს ქაღალდზედ, 81 ფურც. ლამაზად დაწერილი (მინაწერი 21 Janvier 1897). „ღრამმატიკაჲ ესე ვინაითგან არს ქართულსა ენასა შინა ურჩიულესი (très bonne), ამისათვის უძლკნი დიდებულსა პარიჟის ჴდ ბრძნის მეაზიელ. საზოგადოებას, რათა წევრნი მისნი ქართულსა ენასა მეცნიერნი სარგებლობდენ ამით უპატივცემულესად სრულიად ჱემოჲსა საქართველოჲსა და სხვათა **მეფის გიორმეათცამეტი მე თეიმურაზ.“**

ხუცურად: „დავითის მიერ დავითიან-პანკრატოვან ირაკლი მეორის პირმშო ძის გიორგის პირმშო ძისაგან ხელხებაჲ წ. ჩღჟ, ხოლო ქართულსა ზედა უჲᲪ, სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს.“ მესამე-მეოთხე გვერდზედ: მისს „უმაღლესობას სრულიად ჱემოჲსა საქართველოს მეფეს მეორესა ერაკლის ჴდ უმაღ-

ლესს და უმოწყალესს ხელმწიფეს. ვინაჲთგან კმაჲ მიზეზი შრომისა ჩემისა ესე არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა იყოსმცა გზაჲ სლვისა ჩვენისა, ამის გამო აღმძრა ერთგულებით მან სიყვარულმან თქვენმან და ერისა თქვენისა, ვინაჲთგან მოუცლელობასა ქვეშე შეერდომილ არიან და არცა აქვთ მოცალება, რათამც ფილოსოფიით იყვნენ შემცნებულ. ამის გამო ვჰყავ შრომაჲ, შემოვიხვენ ადვილ გასაგონი ესე ძველთა და ახალთა ღრამმატიკათა კითხვა მიგებითი მცირი ესე წიგნი, რომელ არს გზაჲ სიბრძნისა, გინა კლიტე მეცნიერებისა... უკეთუ ჰპოვოთ რაჲმე შეცოდებაჲ, მაქვს იმედი მოტევებისა. **უმდაბლესი მონა დავით.**

„კითხვა. რა არს ღრამატიკა? მიგება. ღრამატიკა არს შემძლებლობა მართლ უბნობისა და წესიერად წერისა". ანტონ კათოლიკოსის გავლენა ეტყობა ენაზედ: „თვის განყოფილების; თვის კავშირისა". ამ ღრამიტიკაში მიღებულია 8 ბრუნვა: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი. დასაწყისში ავტორი მოგვითხრობს ბგერათა და ასოთა შესახებ, შემდეგ გადადის ეტიმოლოგია-სინტაქსისზედ. დასასრულ მოყვანილია ხუთი მარტივი ბგერა პორფირი ფინიკიელიდან (?).

XVI (მეთექვსმეტე). in 8⁰ ყდაში კარგი ხელით ნაწერი „შემოკლებული მოთხრობა გამოკრებილი უწინარეს მდგომარეობისა ამის საუკუნისა აღმწერელთაგან საქართველოჲსა ისტორიათასა". შესავალი. ფრანციელთა ერთა დიდებულისა სამეუფოსა ქალაქისა პარიჟის ყოვლად ბრძნის მეაზიელის მიმართ საზოგადოებისა მიძღვანების შრომილი ესე სახსოვრად საზოგადოებისა მის და პატივისცემისათჳს ღირს შესახებულისა სიბრძნის მოყვარებისა მათისა... ხელვყავ სრულყოფად წიგნისა ამის წ. ქრის. 1832 მიზეზითა ამასა წელსა შინა მოწერილისა ჩემდა მომართ და უწყებისა უფ. ბროსეტის მიერ მეაზიელისა საზოგადოების წევრისა, რომელიცა არს მეცნიერ ქართულისა ენისა... პირველი კითხვა ჩემდამი მომართ იყო ესე: ვითარმედ რაოდენნი მეფენი იყვნენ საქართველოსანი, რომელთაც ეწო-

დათ გიორგი და რომელსა ჟამსა. და კითხვა მეორე, რომელ ვახტანგ ქართლისა მეფე ლიონისა ძეჲ მერაოდენე არს ვახტანგ გვაუწყეთო, რადგან მეაზიელ. საზოგად. წევრთა მოყვარეთა ისტორიათა გამოძიების საერისთო უწყებაჲ ამისი. ამისთვის ხელ ვყავ წერად შესამცნებელთა ამათ, თუმცა ისტორია საქართვ. არა სრულიად აღწერილ არს წიგნსა ამას შინა. ვსასოებ უბრძნესისა მგ˜საგან საზოგადოებისა, რომელ შრომილსა ამას ჩემსა არ უგულებელს ჰყოფს, არამედ შეიწირავს... რაჲცა შეეხების ისტორიასა, ჭეშმარიტებით გარწმუნებთ ამას, რომელ არც ერთი სიტყუაჲ მომატებულ არს, გინა დაკლებულ ჩემ მიერ, ყოველივე გამომიკრებია დიდისა შრომითა უღრმესის პატივისცემითა... **მეფის გიორგის მე თეიმურაზ.** აღიწერა სამეუფოსა ქალაქსა შინა სანკტპეტერბურგსა." ავტორი უგებს ამ წიგნში პასუხს ზემო მოყვანილ კითხვებზედ.

XVII (მეჩვიდმეტე). წიგნთსაცავში ვერ იპოვეს.

XVIII (მეთვრამეტე). ტყავზე in 8⁰ 138 ფურც. წვრილი ხუცური ხელით ნაწერი უპავბოლოდ მოღწეული ჩვენ დრომდის წმიდათა ქებანი მარტის თთვეში.

XIX (მეცხრამეტე). ტყავზე in 4⁰ წვრილი ხუცური ხელთნაწერი. თავი დ̃ ბოლო აკლია. წმიდათა ქებანი ივლისის თთვეში.

XX (მეოცე). ქებანი ნაწერი ტყავზე ხუცური ასოებით.

XXI (მეოცდაერთე). ტყავზე in folio ნაწერი ხუცური ასოებით 178 ფურც. სახარების განმარტება. თავი და ბოლო აკლია. ადგილ-ადგილ მელანი გადასულია.

XXII (მეოცდაორე). წერილი სოლომონ მეფისა: „მათს უწმინდესობას პიო პაპს მეექსეს. (Alla Santita di Pio PP.VI) უწმინდესისა და უნეტარესისა წმიდათა მოციქულთა ყოვლისა ქრისტიანობისა განმანბთლებელთა პეტრესა და პავლესა დიდსა საყდართა და პატიოსანსა ეკკლესიასა ზედა მჯდომარესა დიდისა ქალაქისა რომისა მპყრობელ განმგესა ყოვლისა დიდებითა აღსავსეს უფალს ბატონს. ჩვენ მაგათი ჟამ მარად სამსახურისა და კარგად ბრძანების წადიერ სრულიად იმერეთის მეფე სოლომონ წმინდას მარჯვენას ხელს მოხვევნას მოვახსენებთ, ვიკითხავთ მაგათს

უწმინდესობის მშვიდობის ამბავს, ვთხოვთ უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესაგან გვეუწყოს. ამას მოვახსენებთ მათს უწმინდესობას ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ყოველთჳს ბრძოლით ურჯულოთაგან დიაღ შეიწროებულია, რათა მოხედოთ. სხვას ამას მოგახსენებთ—ვედრებას ვყოფთ წინაშე მათსა ორი აქიმი ასრეთი გვიწყალობოთ ყოვლის სასნეულებისა ოსტატობით სრული იყოს თავისის წამლებით და რიგით სტომაქის სნეულების, თიაქრის ჩამოსვლის თუ ჩამოუსვლელის კარგად იცოდეს. თქვენეულად, თქვენ რომ გეკადრებათ ერთი სათიც კარგი გვიბოძეთ ბატონო. აღიწერა თვესა აგვისტოსა კე, ქჳს უჲზ. ბეჭედი სოლომონისა პაკეტზედ: „მის უწმიდესობას უფალს ბატონს პიო პაპს მეექსეს მირთვას ეს წიგნი“.

XXIII (ოცდამესამე). iufolio მხედრთლად მიწერ-მოწერისა ნიმუშები, რომელსაც დართული აქვს ბროსეს შენიშვნა. ბროსსეს განუხილავს იგი პეტერბურგში პარიჟის ნაციონალური ბიბლიოთეკის მინდობილებით. წერილები ნაწერნი არიან 1638—1730 წელთა შორის სამღვდელო პირთა, მეფე ვახტანგ VI, ამის ოჯახის წევრთა მიერ. ერთი წერილი ეკუთვნის იმერეთის მეფეს ალექსანდრე მესამეს, რემელიც აცნობებს როსტომ მეფეს მწუხარებას მამუკისას, თვალებ-დათხრილი ლევან დადიანის მიერ (+1594). № 55 წარმოადგენს წერილს ხონთქრის მურად IV წერილს სეფიშაჰის მიმართ; მოყვანილია (№ 54 და სხვ.) წერილები მარიამ დედოფლისა, როსტომის მეუღლისა, სპარსეთის მინისტრთან შესახებ მეუღლის სიკვდილისა 1658. ზოგი მათგანი ჩაითვლებიან ნიმუშად ქართული მჭევრმეტყველობისა. აღნიშნულია ვის, ვისგან, რა დროს, როგორ მიეწერება: „ეს სამძიმარი ცოლი რომ მოუკვდეს საპატიო კაცის შვილის მისის ამხანაგის კაცის ცოლისაგან მიეწყრების“... „თავადებისაგან ეფისკოპოზს მიეწერების. ბატონს—ანუ ბატონიშვილს. ქართრველს მეფეს და კახს ბატონს დარბაისლისაგან მიეწერების“.

XXVI (მეოცდაოთხე). infolio მხედრული ასოებით ნაბეჭდი და ნაწერი. „ვეფხის-ტყაოსანი აწ ახალი დაბეჭდილ ქარ-

თულსა ენასა ზედა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისათა, წარსაგებლითა მისივე მპყრობელისათა უფლისა ვახტანგისასა, შრომითა წარსაგებლითა მისივე მპყრობელისათა გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელასათა ქალაქსა ტფილისს ქრ. აქეთ ჩღიბ. შემდეგ ნათქვამია ლექსად ქართველთა მეფეთა დავითისაგან მომდინარეობაზედ და განსაკუთრებით ვახტანგზედ, რომელმაც გამოიწერა აღმბეჭდავნი ვალახიით.

პოემა იწყება სიტყვებით: „რომელმან შეჰქმნა სამყარო“ და სხვ. მინაწერი: „გურულის ასულის თუთასათვის სალხინებლად სულისა ჩემისა“.

დაბეჭდილი ტექსტი იწყება ტაეპიდან უშგ და შიგა და შიგ ნაწერია ფიჩ ტაეპამდის, საიდანაც ჩშბ-ის სულ დასტამბულია, შემდეგ ისევ არეულია ნაბეჭდი და ნაწერი. ვახტანგ მეფის შენიშვნები ბოლოს არიან მოქცეულნი.

XXV (მეოცდახუთე). ტყავზე in 8⁰ ყდაში შეკრული საითიკო ღვთისმეტყველება კითხვა მიგებით. დასასრულ მღვდელმთავრის ლიტურღიისა განმარტებაა მოყვანილი.

—

ამით თავდება ქართულ ხელთნაწერთა სია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მკითხველი თითონ დააფასებს, რამდენად ძვირფასნი არიან ჩვენი მწერლობის ისტორიისთვის ზემო მოყვანილნი ზოგიერთ ნაშთთაგანნი. მათი გარჩევა და შედარებითი დაფასება სხვა დროს და სხვა ადგილას შეტანილი იქნება ამ სტრიქონების დამწერისაგან.

ა. ხახანაშვილი

1905-წ. N VIII

ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელნაწერები

განთქმულის **ბრიტიშ მუზეუმის** ქართულ ხელნაწერთა რიცხვი მეტად ნაკლები აღმოჩნდა. მუზეუმის წიგნ-საცავში შეკრებილია უუძვირფასესი განძი კაცობრიობის განათლებისა. ინგლისელებს დიდი მეცადინეობა და აუარებელი ოქრო დასჭირდათ ამ მუზეუმის შექმნისთვის ლონდონში. მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი წარსულის შესასწავლი მასალაც ადგილს იპოვიდა ამ საქვეყნოდ დიდებულს სალაროში. მთელი განათლებული კაცობრიობის წარმომადგენელს შეხვდებით ლონდონში იმ აზრით მოსულთ, რომ იმეცადინონ აქაურს მუზეუმში და შეავსონ ნაკლი თავიანთი გამოკვლევა-გამოძიებისა. ჩვენთან ერთად მუშაობდნენ ურიები, სპარსელები, ამერიკელები, რუსები, ფრანცუზები, გერმანელები და სხვ. როგორც მოგახსენეთ ჩვენი საგნის მასალა ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე მოვცელოდით. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა რიცხვი ბევრად აღემატება აქაურს. ბრიტიშ მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა რიცხვი სულ ხუთია. ეს სიღარიბე ჩვენი ისტორიის მასალისა უთუოდ აიხსნება მით, რომ საქართველოს და ინგლის შორის ძველად, რუსეთთან შეერთებამდის, მისვლა-მოსვლა არ არსებობდა, როგორც იტალიასთან და თუნდ საფრანგეთთან. ინგლისი შორს იყო და არის ახლაც საქართველოზე. თვალ-საჩინო ინტერესს ჩვენი ისტორია ინგლისელებისთვის არ წარმოადგენს და ჩვენის მხრივ არ ვცდილვართ ინტერესი აღგვეძრა ინგლისში ჩვენდამი. აქ იცნობენ სუყველას ძველს ისტორიაში ცნობილს ერებს, გარდა საქართველოსი. აუარებელ რიცხვს

ხელნაწერებისას, შეხვდებით არაბულს, სპარსულს, კოპტურს, სომხურს და სხვ. ენებზე, გამოფენილს საჯაროდაც, მხოლოდ ქართულის სახსენებელი არა სჩანს და თვით სახელი „ქართველი“ ბევრისთვის გაუგებარია, თუნდაც ჩვენი სახელწოდება სთარგმნოთ ინგლისურად და დაირქვათ **georgien**...

ასე თუ ისე საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. ამ ბოლო დროს ბ. ვორდროპს და ნ. ჟორდანიას შეუწირავთ მუზეუმისთვის დაბეჭდილი წიგნები. ერთმა ბიბლიოთეკის მცველმა მიჩვენა არძა კირიონის და გ. ყიფშიძის მიერ შედგენილი „ქართული სიტყვიერების თეორია,“ სადღაც შეძენილი და გადმომცა, რომ აპირებს ქართული ენის შესწავლას. იმის სურვილისამებრ მეც დავუსახელე სახელმძღვანელოები ფრანგულს და გერმანულს ენებზედ... გადავიდეთ ჩვენს პირდაპირს საგანზედ.

ზემო დასახელებულს ხუთს ქართულს ხელნაწერთა შორის მეტის ყურადღების ღირსია ტყავზედ ნაწერი ხუცურად in folio 369 ფურცლად ახალის ყდით კრებული წმ. მამათა ცხოვრება. ეს ხელნაწერი შეუძენია მუზეუმს სომხის მღვდლისაგან სახელად კასანჯი ალექსანდრიიდგან 11 ნოემბერს 1837 წ. პირველს გვერდზედ ინგლისურად მელნით მინაწერი აქვს: Purchosed of an armenian prist nomed Casandji of Alexandria 11 Nov. 1837. ცოტა ქვემოთ ფანქარით წარწერილია: Written in the ancilus georgian Charachter supposed to contain monastri Jnstitutions. ეს ძველი ქართული ასოებით ნაწერი კრებული (ბოლო აკლია, აგრეთვე ამოგლეჯილია 228 ფ., ნაწყვეტია დარჩენილი), ყდაზედ აღნიშნულია „Vitae patrum ecclesiae georgicae“-დ. შესწავლამ ამ კრებულისამ დაგვარწმუნა, რომ იგი შეიცავს არა ქართველ მამათა ცხოვრებას, არამედ იმ მამათა ცხოვრებას, რომელნიც ქართველ ტომისანი არ არიან და მოღვაწეობდნენ უუძველესად. ქართულად ნათარგმნია იერუსალიმში საბას ლავრაში და ამ გვარად ეკუთვნის იშვიათ რიცხვს იერუსალიმის ციკლის ხელნაწერთა. თვით ის ფაქტი, რომ ხელნა-

წერის გამყიდავი სომხის მღვდელი ალექსანდრიიდგან ყოფილა ამოწმებს მის წმიდა ადგილიდგან ჩამომავლობას.

ტექსტის პირველი სტრიქონი ამოგლეჯილია და დარჩენილა მხოლოდ ასომთავრული ასოებით „**ათჰ** და შემდეგი სტრიქონი ამის გაგრძელებაა; **ნასჯს** გ̃ნ ეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა. კეთილსა ზ̃ა სიტყ̃სა (ერთი სიტყვა ამოფხეკილია). დადგრომ̃ლ ხართ ეგვპტისა მიმართ მონოზანთა ინუ მისწორებად გინა თუ წარმატებადცა“...

წვრილი ხუცური ასოებით მინაწერია: „ჵ სახიერო ღ̃ო ადიდენ სვიანი მოძღვარი ჩემნი ღ̃თისანი იოვანი და მამაჲ გ̃ი. და ყ̃ნი შვილნი (?) და მეცა შავი იოვანე მათითა ლოცვითა მიხსენ ცოდვათა ჩემთაგან.“ ტექსტის დასაწყისს ახალი მელნით მიუწერიათ ხუცურად: „ანტონისა იანვარსა იზ.“ ფურცლის ბოლოში ხუცურადვე სხვა ხელით: „ნ̃დ ფ̃ი შ̃ე ბ̃ნი მღ̃დლ მ̃ნზნი ა̃ნ. ღ̃ო შ̃ე ცოდვილი ბესარიონ მღდელ-მონაზონი ა̃ნ“.

მეორე გვერდზე წითელი მელნით: „სახიერო ღ̃ო მოიხსენე ს̃ლი არსენისი ბერისა და დიდისა ჩემისა სასურველისაჲ ვაიმე ტკბილო.“

ათანასეს სიტყვას უჭირავს 54 ფურცელი ანუ 108 გვ. უკანასკნელს ფურცელზედ წვრილი ხუცური ასოებით: „ღ̃ო შ̃ე ელენე, ღ̃ო შ̃ე ხახუ“. ელენე რამდენჯერმეა მოხსენებული სხვა ადგილასაც. დასასრულამ „სიტყვისა“ მხედრული ასოებით, რომელთაც ჯერ ხუცური ხასიათი არ დაუკარგავთ, მინაწერია: „**აჲიდე მონასტერი ზარზმისა,** სადაცა ამისა დამწერელს **გერმანოზს** მაქვნდა“. ხოლო ხუცურადვე ტექსტის ხელით: „წ̃ო ანტონი ღირს მყავ საწყალი ნაწილისა ღვაწლითა შენითა“. 55 ფურცელზედ იწყება სხვა ხელით მკრთალი მელნით ნაწერი ხუცური ასომთავრულით: „წიგნი თავები წ̃დისა და ნეტარისა მამისა ჩ̃ნისა საბაჲსი ცხოვრებაჲ“. ცხრილი ამ თავებისა: დაბისათჳს მისისა და მამულთა, სადა იყოფოდა, ვითარ იგი იშვა და სხვ.; სულ **შ** მუხლად არის დაყოფილი წმ. საბას ცხოვრება და შეიცავს 55—144 ფ. თვით

ცხოვრების აღწერა იწყება 57 ფურცლიდან. თან დაერთვის ორი ულაზათო სურათი კაცისა შვილდ-ისრით ხელში. სურათი გამოსახულია შავი მელნით. 144 ver. ფურ. ტექსტის ხელით მოწითანო მელნით ხუცურადვე საყურადღებო მინაწერია: „ქ̃ე შ̃ე მოძღვარნი ჩემნი სულიერნი იოვანე და მამაჲ იგი“. იმავე ხელით შავი მელნით: „დიდება შენდა ძალისა მომცემელო ღ̃თო, რ̃ნ ღირს მყავ და მომმადლე უძლურსა აღსრულებად საქმე ესე სადიდებელად სახელისა შენისათჳს წმიდისა და სალოცველად საწყალობელისა სულისა ჩემისა, რ̃ლსა არა მიქმნია დღჱცა ერთი ნებაჲ ღთისაჲ“. მოწითანო მელნით იმავე ხელით: „ქ̃ე შ̃ენ სულითა ძმანი ჩემნი საყუარელნი **გ̃ი, მიქაელ და საბა თუდაჲ**“. შავი მ̃ლნით: „ჵ წ̃ნო ღთისანო, ესე ჩემი ნაწერი ვიცი, რ̃ლ უნდო არს, გარნა ხელთსაქმარი სხუაჲ არაჲ ვიცოდი... და წერად ღ̃თივ განბრძნობილმან **იოვანე მოძღვარმან** მიბრძანა. ღმერთმან ადიდენ სული მათი და აწ თქ̃ნ ლოცვა ყავთ, რ ფ̃დ ცოდვილი ვარ და არა მაქუს სინანული“.

იწყება თვით ცხოვრება ამ სიტყვებით: „კურთხეულ არს ღ̃თი... ღირს მყო არა ღირსი აღწერად ღ̃თის მოყ̃რეთა წდ̃ათა მამათა წინა აღსრულებულთაჲ ევთჳმისთჳს და საბაჲსათჳს... ესე რაჲ—მესმა მე ნეტარისა მამისა ჩ̃ნის ევთჳმსთჳს მცირჱ ნურაჲ და შეუძლებელი მისისა დიდებისა გამოთქმა, დაუადარე შევფერურსა ა̃დ მეოთხმეოცეს წელსა აღსრულებისა მისისა... რ̃ა შემდგომად ჟ̃მთა მისნი იგი სწავლანი სარგებელ ეყნენ̃ნ სლ̃თა ჩ̃ნთა... მცირედ ნურაჲ ვთქ̃თ ნეტარისა მამისა ჩვენისა საბაჲსი... ან გევედრები თქ̃ნ მლოცველთა ამას შრომასა ზ̃ა სიღირსესა შენსა მამაო არსისტე და შვილთ მოყვარეო გიორგი პირველად ევედრე მეუფესა ღ̃თსა შენდობისა და მოტევებისა ჩემისათჳს საწყალობელისა და არა ღირსად ცხოვრებელისა..

ესე ნეტარი საბა ზეცისა ქალაქისა მოქალაქჱ, ხოლო მამულად იყო იგი ქ̃ყნისა კაბადუკაჲსა... ესე რ̃ი დიდ იყო სახიერებითა დაყუდებული ეპისკოპოსი იოვანე მითხრობდა

და თქუა, ვ῀რ იგი ნეტარრა მამასა ჩ῀ნსა საბას მისწრაფებაჲ აქუნდა რაჲთურთით და შეუდგა დიდისა ევთჳმისა გზათა“. 73 ფ. ვკითხულობთ: „ესეცა მითხრა მე ნეტარმან მანდაყუდებულმან.“ 136 ფ. მინაწერია: „წ῀ა მამაო საბა, ადიდენ სულითა მამაჲ გ῀ი“.

145 ფ. ასომთავრული ხუცურით იწყება: ცხორებჲ და და განგებაჲ წ῀დისა და ნეტარისა მამისა ხარიტონისი, მო- ღ῀წისა და ჴლმსარებელისაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ.

162 ფ. ცხორებაჲ მამისა ჩ῀ნისა წმ. **ეგთჳმასი.**

მამა მისი იყო პავლე, დედა მალატია, საყოფელი მათი გალატია. ამ. წმ. მამის ცხოვრება (მე-IV-V საუკ.) ქართულად ნათარგმნი ინახება სინას მონასტერში*).

210 ფ. vers. ცხორებაჲ წმ. მამისა ჩ῀ნისა თევდორისი. ამ ცხოვრებას წინუძღვის დასასრულ ევთჳმის ცხოვრებისა შემდეგი სიტყვები: დიდებაჲ შენდა ძალისა მომცემელო ღ῀თო, რ῀ნ ღირს მყავ არა ღირსი გასრულებად ცხორებაჲ წ῀ისა ევთჳ῀სა. ქ῀ე ადიდენ სულითა მოძღვარნი ჩემნი **იოვანე და გიორგი** მამაჲ და უღირსი შ῀ე მათითა ლოცვითა. ეს გიორგი იყოს გიორგი ჯვარელი ე. ი. ჯვარის მონასტრის მოძღვარი*).

274 ფ. ცხორებაჲ და განგებაჲ იოანე ურაპაელისა კათოლიკოზისაჲ.

300 ფ. ცხორებაჲ და განგებაჲ სტეფანესი და ნიკონისი (ნახე ბოლოს ჩემ მიერ მოყვანილი მთლად ამ მამათა ცხოვრება).

305 v. ცხორებაჲ წმ. პავლე ეპისკოპოზისა და იოვანე ხუცისა.

319 ფ „ცხორებაჲ და განგებაჲ იოანე ეპისკოპოზისაჲ შეყენებულისაჲ, რ῀ლი დაყუდებულიყო ლავრასა წმ: მამისა ჩვენისა საბაჲსა“. ამას მიწერილი აქვს მხედრულად, რომელსაც ჯერ ისევ ხუცურის ხასიათი აქვს შემდეგი: ესე საკითხავი

*) Цагарели. Сведенія о памяти. груз. письм., вып. II, გვ. 87.
*) Цагарели. Сведенія о памятн. груз. письм., вып. II, გვ. 44.

იკითხების იანვარსა რვასა მიცვალებასა მისსა. წ̃ო ი̃ნე შემიწყალე ცოდვილი ნიკოლოზ.

333 v. „ცხორებაჲ და განგებაჲ ამბა სჳმეონისი, რ̃ლსა ეწოდა ღთისათჳს სულელ*) აღწერა ლეონტი ეპისკოპოსმან პათელმან კჳპრჱხო“. 349 ფ. დედნის ხელით მინაწერი აქვს: ქ̃ე შ̃ე ს̃ლთა საბათულჲ.

364 v. დედნის ხელით მინაწერი აქვს: წ̃ო მამანო სანატრელნო მ̃ს ექმენით წ̃ე ქ̃ჲ **მჴ̃ დ მღდელსა**, რ̃ ამისა **მოღვაწთა**.

364 v. „ცხორებაჲ და განგებაჲ წ̃ისა მამისა ჩ̃ნისა ჯერასიმეჱსი, აღწერა **კჳრილე შესანელმ̃ნ**, რ̃ი იყო ხუცესი ლავრასა დიდისაჲ მამისა ჩ̃ნისა საბაჲსი!“ მინაწერი სხვა ხელით: თ̃ა მარტსა ე ჯერასიმესი. დასაწყისი: ესე წ̃ჲ მამაჲ ჩ̃ნი ჯერასიმე იყო ქ̃ყნით ლუკაჲთ.

უკანასკნელს 369 ფ. მინაწერი აქვს სხვა ხელით: ქ̃ე შესაწყალი ბესარიონ და მხედრულად: ჵი საკვირველი ესე წმიდათა მამათა მეოხებითა მათითა შ̃ე ღ̃ო ბესარიონ. დედა მამათა, მისთა ძმათა და დათა და ყოველთა მისთა შ̃ს ღ̃ნ. შემიწყალე წმ. მამანო ცოდვილი ესე ბესარიონ და შენდობა ჰყავთ ჩემთვის, რათა თქვენდა შენდობილ იყვნეთ უ̃ის მიერ ამინ. ქ̃ვს ჩყიგ (=1813.) ამ განხილვიდან სჩანს, რომ ტყავზე ნაწერთ კრებულში, გარდა ათანასე ალექსანდრიელის სიტყვისა, მოყვანილია ათ თავად 12 მამათა ცხორება. როგორც სტეფანეს და ნიკონის ცხოვრებიდან შეიძლება დავსკვნათ, ეს კრებული დაწერილია და ნათარგმნი საბას ლავრაში იერუსალიმს. ნათარგმნია, თუ მთლად არა, ნაწილი მაინც იოვანე მოძღვრის ბძანებით იმ პირისაგან, რომლის თანამედროვენი არიან ძმანი: გიორგი, მიქაელ და საბა. გიორგი თორელს ერთი დრაკანიც შეუწევია. მიქელ მღვდელს წერაში მონაწილეობა მიუღია, უღირსი მწერალი თავის თავს არ იხსენიებს. ასახელებს უცნობს გარდა იოვანე მოძღვრისა, გიორგი

*) ნიკოპოთელი სომხითისა ქ̃ყნისა.

მოძღვარსაც. მწერალი სტირის არსენი ბერისთვის. სჩანს იგი იყო. კრებული ორის ხელით არის დაწერილი, ერთი მომატებული უნდა ეკუთვნოდეს უცნობს მწერალს და მეორე დასახელებულს მიქელ მღვდელს. შემდეგ კაიხნის კრებული ჩავარდნია ცოდვილს ბესარიონს მღვდელ-მონოზანს. ერთი ხუცურ-მხედრულ მინაწერი ვინმე გერმანოზის მიერ ჰმოწმობს, რომ მის დროს ზარზმის მონასტერი უკვე არსებობდა. თვით კრებული შეიძლება სხვა დედნიდგან იყოს გადმოღებული. მხოლოდ ამგარემოებით აიხსნება სიტყვების გამოტოვება 80 ფ. (v): კრებულს ბოლოც აკლია. წერის ხასიათით კრებული გადაწერილი უნდა იყოს მე-X-XI საუკ. ნაწერია ერთ სვეტად, სვეტში 28 სტრიქონია, მელანი მქრალია ხელნაწერი. შეუქნია სომხის მღვდელს ალექსანდრიაში და იმას მიუყიდნია ბრიტიშს მუზეუმისთვის 1837 წელს. ზემო დასახელებულნი გიორგი, მიქელ, არსენი, ცნობილნი მოღვაწენი არიან წმ. საბას მონასტერში მე-XI საუკ. დასაწყისს*).

2) მეორე ხელნაწერი მომცრო in 1., ნაწერი ხუცურად ტყავზედ 1—221 ფ. ერთს სვეტად, სვეტში 31 სტრიქ., აღნიშნულია მუზეუმის კატალოგში kuchologion georgice. პირველს გვერდზედ მინაწერი აქვს: purchased ot an Armeuian prist named Casandji oj Alexandria 11 Nov. 1887 მაშასადამე ეს ხელნაწერი შეძენილი იმავე ალექსანდრიელ სომხის მღვდლისაგან უნდა ეკუთვნოდეს იერუსალიმის ქართულ წიგნსაცავს. ხელნაწერთ დასაწყისი და ბოლო აკლია. თავში ხუთი ფურცელი ამოგლეჯილია. ნუმერაცია იწყება ასოდან ვ (ვინ). წერის ხასიათით ეკუთვნის მე-X-XI საუკ; იწყება სიტყვებით: სტიქარნი ღვთისმშობლისანი კჳრკსა მწუხრი ხ̃ა ბ. რაჟამს იგი გარდამო სასო შემწე და მფარველი ჩ̃ნი ქ̃ყნთაჲ შ̃ნ ხ̃რ დედაო ღთისაო... მეექვსე გვერდზედ: აღსავალნი, რ̃ლნი ითქუმთან კრკესა ცისკრად, 21 გვ: სხ̃ნი გლბ̃ნი ღ-თის მშობლისანი. 23 გვ. დღეს ორშაფათსა წ̃თა მთავარ-

---

*) Цагарели свѣд. о памятн. груз. письм. вып. II, გვ. 45.

ანგელოზთა. 33 გვ: სამშაფათსა-სინანულისა; 41 გვ: ოთხშაფათს გალობანი ღვთისმშობლისანი; 47 გვ. ხუთშაფათსა — წმ. მოციქულთა; 57 — აღდგომისანი; 99 გვ: შაფათსა — წ̃თაჲ და ს̃ლთაჲ; 118 გვ. — ნათლისმცემლისანი, 34 გვ. მწუხრისა, და სხვა მღთისმშობლის გალობანი მეტია დანარჩენზედ. მე-116 გვ. მოყვანილია მელნით მოხაზული სახე ღთისმშობლისა. 210 გვ. გალობანი სავედრებელნი ღ̃ისა ჩ̃ნისა ი̃ო ქრ̃ესი. რადგან მე-42 გვ. (vers.) დაუწერელია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ხელნაწერი გადმოღებულია სხვა ძველი დედნიდგან. უკანასკნელს 221 გვ. (ver.) მოქცეულია: პარასკევსა მწუხრსა შინა სიტყჳ...

3) მესამე ხელნაწერი ლოცვანია in 8-⁰ 198 ფ. დაწერილი წვრილი ხუცური ასოებით მე-XVI-XVII საუკ. ქაღალდზე, ერთ სვეტად, სვეტში ოც-ოცი სტრ; ძველი ყდით აღნიშნულია კატალოგში Lber precum iberice და მინაწერი აქვს მქრალი მელნით წიგნის პირველს გვერდზედ: Thomas Smith და ხუცურად: ქ. ღ̃ო შე̃ცოდვილი იოსებ. ამინ კირილეისონ. იმავე მელნით, რომლითაც თომა სმითის სახელია მიწერილი, შენიშვნა: an iberian bookor in the sacred georgian charachter. „ცოდვილი იოსების“ ხელით დაწერილია მთლად ლოცვა: სეროზასა მას საიდუმლოსა შენსა სასო დღეს... პირველი მე ვარ.

საყურადღებო მინაწერია მოყვანილი მეოთხე გვერდზედ: „ქ. თვესა იანვრის ოცდა ორსა დღესა პარასქევსა სადილობა იყო, ასრე მზე დაბნელდა. ასტრახანს ვიყავ. ქვ̃ს ტნდ“ (=1666 წ.). გამოსახულია ჯვარი წარწერით: ძლევა მტერთა; მესამე გვ. ლოცვა დაუჯდომელნი. 125 და 126 ფ. დაწერილია მხედრულად ლოცვა; უ̃ო იესო ცოდვანი ჩემნი მეცა შემინდევ... მე-127 ფ. მინაწერია ადამის აქეთი წელნი შვიდ ათას ასი ორმოცი და სამი. იესო ქრისტეს აქ ათ წელნი ათასი ექვსასი ოც და თუთხმეტი. ზედნადები თერთმეტი, მზის მოქცევა სამი, მოქცევა მთვარისა ცხრამეტი, ქორონიკონი სამას ოცდა ოთხი.

127 გვ. (vers.) მოყვანილია ასოების რიცხვითი ნიშანი: ნ ორმოცდაათი, ჰ(=ჲ) სამოცი. ო-სამოცდაათი... ჵ-ბეური, ათასი. 128 გვ. ფარონი, ნირისი (ნილოსი?), ეფრატი და ტიგრისი. 128 გვ. მხედრულად მე-XVII საუკ. ანბანი და მინაწერი: ღმერთო ხახუნს შიდობით მოიყვანე. ესე თამარის დაწერილი არის. თვით ლოცვანი დაუჯდომელთანი იწყებიან მესამე ფურცლიდან: ხმა დ. მუხლნი დაფარულ საიდუმლოო ანგელოზთა უცნაური აწ ერწმუნა გაბრიელ მთავარანგელოზსა....

4) მეოთხე ხუცური ხელნაწერი მე-XVII საუკ. ნაქონი იმავე Fhomas Smith-ისა, როგორც მინაწერი მოწმობს, ძველი ტყავიანი ყდით, ნაწერი ქაღალდზედ 154 ფ. in 8-⁰, ერთს სვეტად წარმოადგენს დავითნს. Fhis ms is written in the sacred georgian charachter or the alphabet in the polyglott sible – მიწერილია იმავე ხელით, რომელსაც ალუნიშნავს Fhomas სმიტ.

პირველს გვერდზედ გამოსახულია ჯვარი ხუცურად: ჯ̃ო ქ̃სო შ̃ე ცოდვილო ია(კო)ბ. ან̃. იწყება ფსალმუნი: ნეტარ არს კაცი და სხვ. 125 ფ. ღ̃ო შ̃ე იოსებ და დედა მისი.

5) მეხუთე ხელნაწერი ჩვენი დროისაა. იგი ხელნაწერი **საყოველთაო ჟურნალი მუშა**, რომელიც გამოდიოდა ტფილისში 1889—1891 წწ: 1889 წ. ოთხი ნომერი, 1890 წ. ოთხი და 1891 წ. მხოლოდ ორი. ეს ათი რვეული ერთად არის დაკაზმული. აწერია ყდაზედ Musha he Workman) და მიუძღვნია, როგორც მინაწერიდგან სჩანს W. Scherkesoff (Febr. 10, 1898), ჟურნალის პირველს გვერდზედ გამოსახულია დურგალი, რომელიც ჰრანდავს ფიცარს და გვერდით უწერია: ვშრომობდეთ, ძმაო, მათ შუა არ ვშორდებოდეთ კრებასა, დაზგაზედ რანდით ვლამობდეთ ბრუნდის ხის გასწორებასა".

შინაარსი პირველი რვეულისა: 1. წინასიტყვაობა ტ. რუისელი; 2. სამიოდე სიტყვა ვ. დორელი; 3. რა დღეში

არიან მუშა ხალხი ვ. დორელი; 4. ხელოსნების გარემოება ს. ზ; 5. მეგობარს, ტ. რუისელი; 6. ბუნება, ვ. ჭერეთხეველი; 7. თავადების გლოვა, ნორიელი სლესარი; 8. გლეხი, ვ. ჭერეთხეველი; 9. უძლვნი მუშას, ნორიელი სლესარი; 10. ფიქრი გლეხისა; 11. მე ჩავიარე ერთს ქუჩაშია, ვ. დორელისა; 12. გლეხი და აზნაური, მ. ხომაზუროვისა.

თუმცა წერილები ბევრია მოქცეული ამ ნომერში, მაინც იგი წარმოადგენს 1 მომცრო რვეულს, რომლის მომეტებული ნაწილი უჭირავს ლექსებს, ხშირად წაბაძვას გრ. ორბელიანის და ი. ჭავჭავაძისას. მოწინავე წერილში „სამიოდე სიტყვა“ შემდეგი აზრია გამოთქმული: „არა ვიცი ნამდვილათ, მაგრამ დიდი ხანია მას აქეთ გასული, რაც საქართველოში ხეირიანი პირები არ აღმოჩენილან, **რომ ჩვენისთანა მდაბიო ხალხიც** ეცნოთ და ჩაეგონებინათ რამე; კიდევ მადლობას ვცემ ზეციურსა მინიჭებულსა ბუნებას, რომ მოგვცა თითოოროლა ნიჭიერება, თუ რისთვის იყვნენ ისინი დადუმებულები; ესენ ყველა წარმოგვეთქვა ჩვენ და მივყოლიყავით იმ აზრებს, რომელსაც ეხლა ახალთაობა მიზდევს, აგდებს იმ ბოროტების ძირსა, რომელიც ჩვენ გვეხლართება წინ“... ენა, როგორც ხედავთ, მეტად კოჭლობს, აზრიც არ არის მკაფიოდ გამოთქმული, მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჟურნალი დაბადებულა მდაბიო ხალხში და მონაწილეობას იღებს მასში ხალხიდგან გამოსული ხელოსნები.

მეორე წერილი „რა დღეში არიან მუშა ხალხი“ ასურათებს საწყალი კაცის გარემოებას. „გლეხი კაცის ტანჯვა, ვაება და ფუჭი შრომა ვის აუწერია, ან რა კალამი იქნება, რომ დაწვრილებით ასწეროს მათი გარემოება და ტანჯვით ცხოვრება?..“ გლეხებს „ვერ უგვრძნიათ, რანაირად ერთმევათ თავიანთი უსწავლელობით პირიდან ლუკმა და არიან დაჩაგრულები. მკითხველო, იქნება როდისმე შეგყრიათ გულხელდაკრეფილი გლეხი, რომ მიდენილიყოს სასამართლოსკენ და ევედრება: ღმერთო, დამაბრუნე შინ გამართლებულიო! მაგრამ ვინ მისცემს სამართალს ეხლანდელს დროში ხელცარიელს

ელს გლეხებს... წლითი წლამდის უნდა უღელი სწიოს მხოლოდ ცარიელი ჩალა და ბზისთვის... სხვის მუშები არიან წლით წლამდინ. იმედია, თუ მუშებში ფესვი გაიდგა სწავლა-განათლებამ, მაშინ შეუძლიანთ ექიონ თავისუფლება და აღარ სცემდნენ თაყვანსა სხვებს. მაშინ სახლშიაც დარჩებათ თავიანთი ნაწვავ-ნადაგი"... სწავლა-განათლების საჭიროებაზედ სხვა წერილებშიაც ხშირად არის გამოთქმული აზრი.

მესამე წერილი „ხელოსნების გარემოება" სწერს „ჩვენი (თბილისის) ქარხნების ავს და კარგს..." ლექსი „მეგობარს" სწავლის საჭიროებას ჰქადაგებს: „სწავლა მიუძღვენ უმცროსა, არ არის საძრახისია, ნუ იტყვი ძმაო იმასა, რომ ის არ არის ღირსია..." ლექსი „ბუნება" საუკეთესოა ჟურნალს „მუშაში", მაგრამ შემდეგ ნომერში იგი გაჰკიცხა ერთმა კრიტიკოსმა და ის უკიჟინა, რომ კაცის ბედნიერება ბუნების გაშლაზედ არ არის დამოკიდებულიო. აი თვით ლექსი:

ბუნებავ, ტურფად შემკულო
გიქრის ნიავი გრილია,
ბაღში ვარდები აყვავდა,
შეიქნა მოქარგულია.
ტყეში ხეებიც ამწვანდა,
ბულბულმა მორთო გალობა,
ბულბულიც მღერის ჭიჭკიჭობს,
ჩიტნი აძლევენ ბანსაო,
იმათი ტკბილი სიმღერა
აღვიძებს მთა და ბარსაო.
ბუნებას ამას გეხვეწი,
ახარე ჩვენი ჯეჯილი,
რომ დროზე საზდოთ შეიქნეს
ახაროს თავის მთესველი...

ლექსს ეტყობა ხალხური ლექსწყობის გავლენა.

მეექვსე წერილი „თავადების გლოვა" ლექსად არის დაწერილი:

მხარი მომეცით გავშალოთ თავისუფლების დროშა,
წინ გავიმძღვაროთ თამამად ჩვენი საწყალი მუშა...

მეშვიდე წერილი: „გლეხი და აზნაური“ ლექსადაა დაწერილი:

საბრალო გლეხსა თავს ადგა ვიღაცა აზნაურია
და ეუბნება მომეცი წლის საზდო მეოთხედია...

პირვლი ნომერი გამოცემულია მ. ხომაზუროვისაგან, მეორე მ. სიმონიძისაგან. სარჩევში აღნიშნულნი შემდეგი წერილები: 1, ცუდა ხალხის მიმოხილვა; 2, თვით კომიკები გ. დიანოვისა; 3, რამდენიმე სიტყვა, ვ. დორელისა; 4, გამოვიღვიძოთ, ლექსი ვ. ჰერეთხეველისა; 5, ბერი კაცი, ლექსი მისივე; 6, ლექსი „მუშას“, ა. დღიურაშვილისა; 7, თბილისის ხალხი, მ. ხიდისთაველისა; 8, ვადიდოთ კაცი ვ. დორელისა; 9. ავტორების შენიშვნა; 10, ლექსი მუქთად მყლაპავებზედ ა. დღიურაშვილისა; 11, ლექსი ნიჰილისტის ანდერძი მისივე. პირველი წერილი იწყება სიტყვებით: „როდესაც ამ წერილს ვწერ, თბილისის მომეტებული ნაწილი სავსეა ცუდა მუშა ხალხით... ესენი ისე გალატაკებულან, რომ კუჭ-გაუმაძღრები არიან...“ ეს ჟურნალი წინა მორბედია „კვალისა“ და „მოგზაურისა“.

ცხ~რებაჲ და განგებაჲ წ~თა მამათა სტეფანწსი და იოანისი. გ~კთხნ დ~ო.

ღ~თან შეუნდევნ გ~ი თორელსა, რ~ლ დრაკანი ერთი შემაწია ფ~დ მჭირდა სიგლახაკჱ.

ორნი მონოზანი შემოვიდეს იჱ~ლმდ თავყანისცემად წ~ე ჯ~რსა ცხოველს მყოფელსა და იყოფოდეს ზოგად სენაკსა შინა იჱ~ლმს და სახელი ერთისაჲ მის სტეფანე და მეორისაჲ მის ნიკონ. ხ~ნიკონ იყო დიდისა ქალაქისა ჰრომისაჲ და სტეფანე სხჳსა ქვ~ყნისა და ფ~რ გამოჳდა თუე ერთ ჰრ~ქა სტეფანე ნიკონს: ძმაო, ვინაჲ გნებავს მისთვის? ჰრ~ქა მან ნიკონ ვინაჲცა ინებოს ი~ჳ ქე~ნ, მუნცა წარვალ. ჰქა~მას სტეფანე: გნებავსა უკუეთუმცა წარვედით უდაბნოდ მე და შ~ნ ერთად და მუნ აღვაშჱნნეთ სენაკები ერთი შ~ნთჳს და

ერთი ჩემთვს და ვმსახურებდეთ ღსა ჩ˜ნსა ი˜ჳ ქ˜ე უ˜ლთა დღეთა ცხორებისა ჩ˜ნისათა, ჰქვ˜ მას ნიკონ: ცხოველ არს ქ˜ე ღ˜თი ჩ˜ნი. ესე მაქუს მეცა გული სიტყუჲ ვინაჲთგან გამოვედ ქ˜ლაქით ჩემით და ამასვე ვეძებ რ˜ გული მითქუმიდა სურვილად რამცა ვიხილენ ძმანი იგი, რ˜ნი უდაბნოს გარე არიან.. ჰქა˜მას სტეფანე: მამა აღდეგ ძალითა ღ˜თისათა და წარვიდეთ.

მაშინ თაყუანის სცეს წ˜ე ჯ˜ რსა ქ˜ესა ორთავე და განვიდეს უდაბნოდ ვ˜ა თქუეს. და იხილნეს მამანი და ძმანი ყ˜ლნი. და დაადგრეს მათთანა სამ დღე და მერმე ითხოვეს მამათთაგან რ˜ა იყოფოდიან მათთან, და ვ˜ა ესმა მამათა განიხარეს ფ˜დ და აღუშჱნეს მათვს სენაკები ერთი სტეფანჱსთვს და ერთი ნიკონისთვს და შეუქმნეს მათ თითო სარკუმლები და მისცეს მათ ყ˜ლი საკმარი დაყუდებისათვს რაჲცა კმდა და შევიდა თითუეული თვსა სენაკსა და შეაყენნეს თავნი თვსნი ხ მათა დაყვნეს კარნი მათნი მათზ˜ა და წარვიდეს და მისცემდეს მათ პურსა და წყალსა და მარილსა სარკუმლით შესცემდეს სამისა დღისა შემდგომად ითუალვიდეს და ესრჱთ იყო განგებაჲ მათი.

ხ˜ ჟამსა მესამესა ლოცვიდეს ათორმეტითა ფსალმუნითა და ეგრევე მეექუსესა ჟამსა ათორმეტითავე ფსალმუნითა და კლდ მეცხრესა და სამწუხროსა ეგრევე ილოცვიდეს ათორმეტითავე ფსალმუნითა. ხ˜ საზრდელსა, რ˜ლსა მიიღებდეს შემდგომად სამისა დღისა კვრიაკესა შინა ორგზის, სამ სამით იმარხულებდეს და ჰმსახურებდეს ღ˜თსა ლ˜ცვითა და მარხვითა, მღვძარებითა ორმეოცდა შვდსა წელსა.

ხ˜ კართა მათთა არა განაღებდეს გარნა ახუსებით აღუსაბამდე და ყ˜ლნი რავდენნი იყვნეს მ˜თ უდაბნოთა დ˜ა ადგილთა შინა მოვიდოდეს მ˜თა და იკურთხებოდეს მათგან და მრ˜ვლნი კურნებნი იქმნებოდეს მათ მიერ და ეშმაკნი განხდებოდეს და ვაებით წარივლტოდეს მათგ˜ნ და ღთ˜ი ჩ˜ნი ი˜ჳ ქე˜იდიდებოდა საქმეთა მათთა მიერ, ვ˜ა წერილ არს: ნეტარ არს მის მონისაჲ რ˜ლისა მიერ ღ˜ი თვსი იდიდოს.

და ვ˜ა იხილა ეშმაკმან, ვ˜დ მცხინვარებასა ნათლისასა უძლევეს და ყ˜ლი ძალი მისი დახსნილ არს მოუწოდა გუნდთა მოყუასთა მისთასა და ჰრქ˜ვა მათ: რაჲმე უკუეუყოთ იმათ, რ˜ლთა მიერ ძლეულვართ, რ˜ განაქარვეს ყ˜ლი ძალი ჩ˜ნი და ამაო იქმნეს საქმ˜ნი ჩნ˜ი. მოვედით და ბრძოლა უყოთ მათ, ნუკუე შეუძლოთ დაკსნად გზითა სიმართლით სლვისა მათისათა. ხ˜ ჟამის იგი იყო ზატიკობისაჲ და კარნი სენაკების მათისანი განღებით იყუნეს წესისაებრ მათისა ახუსებისათჳს ჩუეულებისაებრ მათისა და სხდეს სენაკებთა თჳსთა, ხ˜ სტეფანე აღაღო ცხორებაჲ მამისა ანტონისი, განაღო და იკითხვიდა მას შინა, აღიხილნა ნიკონ თუალნი თჳსნი და მიხედნა და იხილა სტეფანწსთანა დედაკაცი ჭაბუკი ეხუდა და აკოცებდა, მაშინ იცვალა გონებაჲ ნიკონისი მოყვარისა და საყუარელისა მიმართ და ჰრქვა რჩეულსა მას სტეფანეს: ჵ ძმაო მცხოვარო და მეძაო, ძალი იმოსებს გარეშჱ სამოსლითა ცხოვართაჲთა და შინაგან მგელ მოყვარე მტაცბთ და მიხედნა სტეფანე ნიკონს და იხილა კ˜ლდ მანცა დედაკაცი მჯდომარჱ მარცხენით ნიკონისა, ხ˜ სტეფანე მიუგო და თქ˜ა: ვაჲ ჩემდა შ˜ნ მიერ ვ˜რ დავლიენ ჟამნი წელთა ჩემთანი შ˜ნთანა და მე ვჰგონებდი მე დ ქ˜ესტეანესათან დამკვდრებულვარ და არა უწყოდე, ვ˜დ ცუდად წოდებულ იყო სახელი ქ˜ესი შ˜ნ ზ˜ა. ვაჲმესაყუარელო შ˜ნ გამო ანგ˜ლზო უსხეულო, ვ˜რ იძლიე გ˜ლსთქითა დედითაჲთა, ვაჲ ჩემდა შ˜ნ მიერ არწიო შვენიერო, ვ˜რ დაგვდეს კრთენი შ˜ნი და მოუძლურდი, ვაჲმე მოყუასო ჩემო, ვ˜რ განშორებულ იქმ˜ნ ჩემგ˜ნ საუკუნოდ, ვაჲმე ზღვდეო მაღალო და დიდო ვ˜რ აღიძარ და დაეცა საფუძველითურთ. ვაჲმე გურიტო უმანკოო, ვ˜რ შეგიძლო გულმან სიფრთხილითა მისითა, ვაჲმე ხეო ტკბილო, ვ˜რ შეგემთხუა ქარფიცხელი და აღიფხურნეს ძირნი შ˜ნი და შთავარდი სიბნელესა, ვაჲმე კჳპაროზსა მაღალსა ვ˜რ შეგმოსრა ქარმან სასტიკმან. ვაჲმე წყაროო ტკბილო ვინ შეგაზავა შ˜ნ სიმწარჱ და ალმრეულ იქმენ, ვაჲმე უხუცჱო კელოვანო, ვ˜რ დამეძინა და წარვიდეს კ˜ლხი საქმე-

ნი შ̃ნნი. ვაჲმე წ̃დაო და მართალო, ვ̃რ იძ̃ლია და წარ-
ვდა გვრგვნი იგი შუენიერი, ვაჲმე მენავეთ მოძღუარო გო-
ნიერო ხელოვანო, ვ̃რ გაცთუნეს შენ ღელვათა ვ̃ს შეიმო-
სრა ნავი შ̃ნი.

ვაჲმე წ̃დაო და მგალობელო, ვ̃რ იქმენ შაგინ საეშმა-
კო. ვაჲმე ტაძარო მეუფისა მაღლისაო, ვ̃რ იქმენ სადგურ
ეშმაკთა, ვაჲმე მოწამეო ი̃ვ ქე̃სო, ეს იქმენ სამკვდრე-
ბელ ეშმაკთა მთავრისა. და ვ̃ა ესმა ესე ნიკონს სტეფანესა-
გან, მიუგო და ჰრქუა: რაჲსა მაგინებ მე ძმაო რაჲ უკუეჳყავ
ბოროტი ნ̃ე შ̃ნც და მაგინებ მე. აჰა ესერა ორმეოცდა
შვიდი წელი არს ჩემი ვინაჲთგან არღარა გამოსრილ ვარ
სენაკით ჩემით შენდა და არცა შ̃ნ ჩემდა, ჰქ̃ა მას სტეფანე:
არა გრცხუენის და არცა გეკდიდების მაგისაგან, რ̃ლი გი-
ზის გუერდით და გეკოცნების და გეხუევის ჯ მეძაო და
ბოროტის მოყვარეო. ჰრქ̃ა მას ნიკოჲ: მე მეტყვი მეძაა
ვედ? გრცხვენოდენ შენ დედაკაცისა მაგისათვს, რ̃ი შეგა-
ტკბობდა და გეკოცნებოდა. დ̃ სტეფანე გარედა მოკლა
სენაკით თვსით ნიკონს და შეუკდა ცემად მჯილთა და ფერ-
კითა და იცემებოდეს ურთი ერთას და აგინებდეს ერთი ერ-
თსა და რ̃ სამართლად ჭეშმარიტ̃დ ეხილვა ნიკონს დედა-
კაცი სტეფანესთანა და ეგრევე მასცა ეხილვა ნიკონისთანა
და ორნივე სამართალსა ზ̃ა ჰბრძოდეს ერთი ერთსა. ვ̃ა იგი
თქ̃ა ბარსენამაქ ბრძენმან ვ̃დ ჰბრძოდე ჭეშმარიტებისათვს,
ვ̃ე სიკვდილამდე, რ̃ ღ̃ი ჰბრძოდი შ̃ნ წილ. ხ̃ სტეფანე
წარვიდა მამათთ̃ნა, რ̃ნი იყვნეს უდაბნოს გარე და ვ̃ე
ალექსანდრიადმდე მიიწია და აუწყა მათ ყ̃ლივე რაჲცა იყო.

ხ̃ მამანი ფ̃დ მწუხარე იქმნეს ნიკონისთვს, თუ ვ̃რ
იძლია. ხ̃ იგინი შეკრბეს და წარვიდეს წ̃ისა ამბა ათანასი
ალექსანდრელ ეპისკოპოსსთანა და აუწყეს საქმჱ იგი რ̃ლი
იყო შ̃ნ სტეფანესასა და ნიკონისსა, ხ̃ პატრიაქმან დააყენ-
ნა მისთანა ძმანი იგი და მამანი ვ̃ე ექუს დღედმდე და ევე-
დრებდეს ღ̃თსა ამის საქმისთვს, ხ̃ ნეტარი ნიკონ ვინაჲთი
დღითგან განვიდა ნეტარი სტეფანე მისგან, არა ჭამად, არცა

სადა შესუა, ა͞დ ლ͞ცვთ და მარხვით და ტირილით დგა წ͞ე ღ͞თისა. ხ͞ ამბა ათანასი შეკრიბნა ყ͞ლნი ეპისკოპოსნი ეგვპტისანი და ყ͞ლნი მამანი, რ͞ლნი იყვნეს მუნ და წავიდეს მონასტრად ნიკონისა და სტეფანჱსა. ხ͞ ნიკონ პოვეს ვ͞ა მკუდარი რაჲ დამჭნარი პირი მისი მწუხარებითა და ტირილითა და ლოცვითა და მღვიძარებითა.

მით დღითგან ვ͞ე მოსვლამდე რათა ოცდა ერთსა დღესა და ღამესა არაჲ ჭამად და არცა რაჲ შესვა მწუხარებისა გ͞ნ ძმისა თჳსისა სტეფანეჱსთჳსა და ვ͞ა იყო დღჱ ხუთშაბათი დასხდეს ეპისკოპრსნი სმენად სიტყვათა სტეფანჱსთა და ნიკონისთა. ჰრქ͞ა ამბა ათანასი ეპისკოპოსმან სტეფანეს. რაჲ იხილე წ͞დისა ამის? მიუგო სტეფანე და ჰრქ͞ა: კეთილად სთქუ წმიდად გარეშე ჰმოსიეს სამოსელი ცხოვართაჲ სიმდაბლისაჲ, ხ͞ შინაგან მგელმტაცებელ და კ͞ლდ მეცა მაცთუნა: ვინაჲთგან დამსვა მასთანა ამას ადგილსა ორმეოცდა შვდსა წელსა. ჰრქ͞ა მას ეპისკოპოსმან, რაჲ საქმჱ იხილე მისთანა? სტეფანე თქუ: ვიხილე იგი რ͞ დედაკაცსა შეიტკბობდა და ეკოცნებოდა. ჰრქ͞ა ეპისკოპოსმან: იყო შ͞ნთანა სხ͞ჲ, რ͞ნ წამოს, ვ͞დ იხილე იგი დედაკაცისა კოცნასა? სტეფანე თქ͞ა: **არა ვინ მაქვს მოწამეჲ,** გარნა ი͞ჳ ქ͞ე, რ͞ლ ესე ვჰმსახურებ მე, ვინაჲთგან ვარ ვ͞ე დღენი დღეთად დღედმდე.

ეპისკოპოსმ͞ნ ჰრქ͞ა: რაყამ გაქვს, ვინაჲთგან აქა იყოფით? ჰრქ͞ა მას: ორმეოცდა შვიდი წელი. ჰრქ͞ა ეპისკოპოსმან: იხილე ოდეს მე იგი დედაკაცისა თანა ზრახვისა ამისა გარეშე? ჰრქ͞ა მას: არა მიხილავს არაოდეს ესე ვ͞რსა საქმესა მოქმედად ვ͞რ დღევანდლამდე და ნეტართუმცა დღესცა არა მეხილვა! ჰრქ͞ა ეპისკოპოსმ͞ნ ნიკონს: ჭეშმარიტსა იტყვის მოყუასი ესე შ͞ნი. შ͞ნ ზ͞ა ანუ არა? მიუგო ნიკონ და ჰრქ͞ა: პირველ͞ა ძმაჲ და მოყუასი იყო ეგე ჩემი, ხ͞ ამიერითგან ვინაჲთგან ტყუვილით ცილი თქ͞ა ჩემ ზ͞ა, რ͞ლი იგი არა იხილა, არა არს იგი ძმაჲ ჩემი და არცა მოყუასი. გარნა მე სამართალსა ვიტყჳ წ͞ე ღ͞ისა, რ͞ლი ხე-

დავს ხილულთა და უხილავთა, რ˜ ვიხილე მე დედაკაცი მდგომარჱ მისთანა იკოცნებოდეს და შეიტკბობდეს ურთ ერთას. ხ˜ კორცნი ჩ˜მნი წ˜და არიან ბილწებისაგან და ვინაჲთ დღითგან მოვედი ამას ადგილსა არა მიხილავს დედაკაცი გარნა იგი ხ˜ რ˜ლი ვიხილე კოცნასა ამის მეძავისათანა, რ˜ნ შემოგკრმნა თქ˜ნ ამას ადგილსა და ვ˜ა ესმა სტეფანეს, განრისხდა გულის წყრომითა ფიცხლად და შეკრბა შეშაჲ ფ˜დი და ახაგზნა ცეცხლი წ˜ე ეპისკოპოსთა მ˜თ და შევიდა მას შინა და დადგა ზ˜ა საკუმილსა მას და იტყოდა კმითა მაღლითა: ი˜ჳ ქ˜ე ღ˜ო მართალო, უკუეთო არა მიხილავს ნიკონ დედაკაცისათანა ამბოვრის ყოფით კოცნასა სენაკსა შინა, შთამხადე ცეცხლსა ამას შინა და ნუმცა აღმოვალ მისგ˜ნ. და დაადგრა სტეფანე ცეცხლსა მას შინა ზემდგომარჱ ვითარ სამ ჟამ ოდენ და არა დაწუა და ხედვიდა აღმოსავალით და კელნი თჳსნი განეპყრეს სახედ ჯვრისა, და ჰლოცვიდა გულსა შინა თჳსა ღ˜თსა მიმართ. ხ˜ ეპისკოპოსთა მათ და მამათა იწყეს გინებად ნიკონის და ეტყოდეს: ეჰა შენდა ნიკონ! რ˜ ცილი დასდევ სტეფანეს ტყუილითა შ˜ნითა მოაკუდინე იგი ენითა შ˜ნითა და აჰა ესერა ღ˜თნ იკსნა იგი ცეცხლისა მისგ˜ნ და არა დაიწვა ამისთჳს, რ˜ და იცვნა კორცნი თჳსნი ყ˜დად წ˜ე ღ˜ისა თჳსისა შეუგინებლად ურცხვენელად. და ვ˜ა იხილა ნიკონ სტეფანე მდგომარჱ ცეცხლსა მას შინა და რ˜ არა დაიწვა, შეშინდა მამათაგ˜ნ **ნუკუე***) ქუაჲ დაჰკრიბონ მას და ცეცხლისა მას შთაუგდონ იგი მაშინ ღირ˜ტყო წ˜ე ყ˜ლისა მის ერთსა. და თქ˜ა: ი˜ჳ ქ˜ე რ˜ლი უჩუენე ბაბილონს სოსან˜აჲსთჳს უბრალოჲსა და მოუვლინე შენ მიერ მცირე იგი წწტული შ˜ნი დანიელ და იხსნა იგი უმჯავროებისა სიკვდილისაგან უკუეთუმე ცილი დავსწამე ძმასა ჩემსა და არა ვიხილე იგი დედაკაცისთანა ხუევნასა და ამბორს ყოფასა, შთამკადე ცეცხლისა ამას შინა და ნუ აღმომიყვანებ ცოცხლივ მისგან, მაშინ შევიდა

*) ნუკუე=ნუ+უკუე—აპლოგრაფია.

ცეცხლსა მას შინა და დაადგრა ძმისავე თვსისათანა შ̃ნ ცე-
ცხლსა მას შინა და არა დაიწუა, ა̃დ ორნივე ერთად დგეს
ცეცხლისა მას შინა მსგავსად ყრმათა მათ და არა შეეხო მათ ცეც-
ხლი იგი ყ̃დვე არცა სამოსელსა მათსა და არცა თმასა მათსა.
ხ̃ პირნი მათნი იქმნეს ვ̃ა პირნი ანგელოზთა ღთისათანი.
ხ̃ ეპისკოპოსნი და მამანი განკვრვებულ იყვნეს და იხარებ-
დეს სიხარულითა დიდითა და ღ̃ღტყვეს და ადიდებდეს ღ̃თსა,
რ̃ნ ყო ესე ვ̃რი საკვრველი მათ მიერ. და ვ̃რ დგეს წ̃დნი
იგი ცეცხლსა მას შინა ჰრქ̃ს ეპისკოპოსთა მათ: ილოცეთ
და ევედრენით წ̃ე მკსნელისა ჩ̃ნისა იჳ̃ჲსა და ჩ̃ნცა თ̃ქნთა-
ნავე, რ̃ა გჳჩუენოს ჩ̃ნ რ̃ნ ესე საქმჱ ქმნა ბოროტი თქ̃ნ
შ̃ს. მაშინ ილოცვიდეს წ̃დნი იგი ცეცხლსა მას შინა მდგო-
რენი და იტყ̃დს: ი̃ჳ მაცხოვარო სოფლისაო, ი̃ჳ სასოო
განწირულთაო, ი̃ჳ ცოდვათა მომტევებელო, ი̃ჳ მკუდართა
განმაცხოველებელო, ი̃ჳ კელის ამპყრობელო მონათა შ̃ნთა
რ̃ნი ბოროტსა შინა დაინთქმოდიან ი̃ჳ მწუხარეთა მახარე-
ბელო, თ̃ჳ რ̃ლი მოგზაურ ექმნები მონათა შ̃ნთა ყ̃ლსა
ადგილსა, ი̃ჳ სიკუდილისა დამთრგუნველო და მომაკუდანე-
ბელო, ი̃ჳ ჯ̃ჯხეთისა შემმუსრველო, ი̃ჳ ეშმაკისა მარცხუე-
ნელო, ი̃ჳ მტერისა შემმუსრველო, ი̃ჳ ბოროტისა გარმაქარ-
წყლებელო, ი̃ჳ დამთრგუნველო გულისაო, ი̃ჳ დამწუველო
ვეშაპის მის დიდისაო, ი̃ჳ შემომკრებელო ამის კრებისა წ̃-
დისაო! სადიდებელად შენ ღ̃თისა გამოაცხადე ძალი შ̃ნი
დღეს აღმოგვყვანენ ცეცხლისა ამისგ̃ნ და შთააგდე მას შინა
მტერი ბ̃ნი, რ̃ა ვიხილოთ დაწუვაჲ მისი. და მისვე ჟამსა ში-
ნა გამოვიდა კმაჲ ღ̃ღდბოდა მსგავსად დედაკაცისა კბილთა
ღრჭენით და თქ̃ა; ქუესკნელისაგ̃ან ქ̃ყნისა განვიდევნე და
სახელმან ქ̃ეს მ̃ნ შემკრა და მომიყვანა აქა და მე ვარ ეშმა-
კი და დაადგრა ცეცხლსა მას შინა მსგავსად თხისა მიურტი-
სა და კმაყო კმათა მაღლითა და რქ̃ა: მე ვარ მანივლებელი
ბოროტისაჲ და თუალნი მისნი მსგავს იყვნს ორთა სანთელთა
აღნთებულთა და ალი გამოვიდოდა პირისა მისისგ̃ნ და კბილ-
თა თვსთა იღრჭენდა და ხედვიდა ყ̃ლსა მას ერსა.

და ღ~ღტყვეს უ~ლთა მამათ~ა და თქ~ს; დღ~ბჲ შ~ნდა ღ~თო, რ~ ჰყავ ნებაჲ მოშიშთა შ~ნთაჲ და დააგდე ეშმაკი ქუეშე ფერკთა მათთა, რ~ დაუტევეს ყ~ლივე და შ~ნ მხოლოთ შეგიყუარეს. და იყო მაშინ სიხარული დიდი მამათაჲ და ადიდებდეს ღ~თსა და იტ~ყდს: არაოდეს ყოფილ არს ქ~ყნისა მას ეგჳპტისასა ესე ვ~რი საკვრველი.

ხ~ უ~ლნი კრებული ერისაჲ მიიღებდეს მ~თ გ~ნ სარწმუნოებით ევლოგიასა სამოსლისა და თმისა მათისა მათისაგ~ნ ნაკურნებ~ლად და დაადგრეს მუნ სამ დღე, ხ~ ძმანი იგი იხარებდეს და მხიარულ იყვნეს და იპყრებდეს და ჰმადლობდეს მკსნელსა, რ~ნ უჩუენა მათ კსნაჲ მონათა თვსთა სამართლად და მესამესა ღამესა გამოეცხადა ღ~ი წ~დასა ამბა ათანასის და ჰქ~ა მას: დაადგეს აქა შ~ნდა ერი ესე, რ~ა დაჰმარცხნელ რჩეულნი ესე რ~ლთა აღასრულეს ნებაჲ ჩემი და მსახურეს გონებითა კეთილითა ორმეოც და შვდ წელ რ~ მნებავს მათი მიყვენებაჲ ჩემთანა, რ~ა არა იყოს ბიწი გუამთა შინა მათთა შემუუარეს და შეიყუარეს მამაჲ, რ~ლ არს ცათა შინა, ხ~ რ~ჲს დაჰმარხნე იგინი, მერმე გამოარჩიენ ორნი ბრძენნი ბრძენთა ამათგ~ნ ძმათა და შეიყვანენ იგინი ადგილსა მათსა რ~ა მსახურებდენ. და შემდმ~დ სამისა დღისა ჰრქ~ა სტეფანე **ამბა** ნიკონს, რ~ ვიხილე ღამესა ამას კაცი მოხოცებული და ემოსა სამოსელი ბრწყინვალჲ და მრქ~ა მე: მოვედით მონასტრად, რ~ მნებავს სიყუარულისა დიდისა ყოფად ხვალე თქ~ნთანა. ჰქა~მას ნიკონ: კუალე წარვიდეთ ძმაო სიხარულით, რ~ ბერი იგი რ~ლი იხილე ამბა ანტონი არს კრთხ~ლი და ჰნებავს სულთა ჩ~ნთა მიყვანებად და შემიყვანებს ჩ~ნ **განაღცა იგი თავადი იყო ფისმჳნ** ხ~ იგინი მაშინ აღდგეს, ილოცეს და თითოეული თვსა სენაკსა შევიდეს და დაჯდეს და მას ღამეს ჰმსახურესა ღ~სა წესისა მათისაებრ და დაწვეს და დაიძინეს ორთავე ჟამსა შინა ერთსა შეჰვედრნეს სულნი მათნი კელთა შინა ღ~სათა და ძმათა აღიმსთუეს განთიად და პოვნეს აღსრულებულნი სენაგებსა შინა მათსა და იყო ხილვაჲ პირთა მათთ~ჲ მსგავსად ვარდისა შუენიერისა და დაადგრეს მამანი

სამ დღე მათ ზ̃ა გალობით და მერმე დაჰმარხეს გუამნი მათ-ნი წ̃დნი მუნვე. ხ̃ ამბა ათანასი ეპისკოპოსი უთხრობდა მამათა, ხ̃ლ იგი უბრძანა მას ქ̃ენ და გამოარჩივნა ორნი მმათაგ̃ნ და დასხნა მათ სენაკებსა ერთი სტეფანწსა ნაცვა-ლად და ერთი ნიკონისა წ̃დთა მათ საყოფელთა შინა და დააყუდნა ვ̃ა იგი ებრძანა მას. ქ̃ენ ღ̃ნ ჩ̃ე მ̃ნ და დაციუ-რი ცხ̃რებაჲ ესე და დადვა ამბა ათანასი ალექსანდრიელ წ̃დან პატრიაქმან რ̃ა. იყოს მ̃თთანა ყ̃ლთა ძმათა, რ̃ნი იკითხვი-დენ მას შინა გონიერად ეკრძალებოდიან ეშმაკსა და ყ̃ლთა საფრთხეთა მისთა გ̃ნ და ადიდებდ̃ნ ღ̃თსა, რ̃წ მოსცა ძა-ლი მონათა მისთა ერნ̃ი ესვიდეს მას ყ̃ლსა ჟამსა, რ̃ მისი არს სუფევაჲ და დიდებაჲ და პატივი და ძლიერებაჲ და მა-დლობაჲ აწდა მას და უ̃კი უკე̃ ან. **ითარგმნა** ცხოვრებაჲ ესე წ̃თა მათთა ღ̃თისა **მამისა ჩ̃ნისა საბაჲს ლავრას**.

ნიკონის ცხორება მოხსენებულია სინას მონასტრის წმ. მამათა ცხოვრების კრებულში*). შესაძლოა ეს შეეხებოდეს სხვა პირს, რადგან მის გვერდით ვერ ვხედავთ წმ. სტეფანეს. პროფ. ცაგარელს არ აქვს მოხსენებული ამ ცხორების დასა-წყისი. საყურადღებოა, რომ გადმოუთარგმნელად არის და-ტოვებული სიტყვა „ამბა“ და საერთოდ ეს მცირე აღწერა ნიკონის და სტეფანეს ცხორებისა საინტერესოა, როგორც ნიმუში იერუსალიმში ნათარგმნი ჩვენი მწერლობის ენისა.

ა. ხახანაშვილი

*) Цагарели, Свѣд. о памятн груз. письм. II, 87.

1900 წ.

III

ძველად აღბეჭდილნი წიგნნი მოსკოვის სინოდალურს სტამბაში

მოსკოვის სინოდალურ სტამბაში დაცულია რამდენიმე ძველად აღბეჭდილი წიგნები. სიაში იგინი აღნიშნულნი არიან №№ 4636—4702.[1]) რადგანაც ამ რიცხვში ისეთი წიგნებიც არიან მოყვანილნი რომელნიც მე-XIX საუკუნის ნახევრამდის ადიან, ამიტომ ჩვენ ჩამოვთვლით მხოლოდ მე-XVIII საუკ. წიგნებს და დავუმატებთ რამდენსამეს მე XIX საუკუნეში აღბეჭდილ წიგნს.

№ 4636 წმ. სახარება, აღბეჭდილი ხუცურად მოსკოვს, 1739 წ. 4° მახარობლებს სლავიანურად აქვს მინაწერი. პირველს ფურცელზედ vers გამოყვანილია საქართველოს გერბი. ამავე ფურცელზედ ვკითხულობთ: «სადიდებლად წმ. სამებისა ჟამსა დიდად ამაღლებულისა ს~დ რუსეთის და თვით მპყრობელისა კეთილმორწმუნისა იმპერატრიცა ანნა იოანნესსა. ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა. შენდობითა და კურთხევითა წ~თა მართლმადიდებელთა სინოდთა. საფასითა და წარსაგებლითა არქიეპისკოპოზის იოსებისათა[2]) გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წ~ დ ესე სახარება დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს. დასაბამიდან ვ~ე აქამომდე **ხსმზ**, ქე~ს აქეთ ჩღლთ (1739), ქ~ვსა უკვ (1738), თთვესა [3]).

---

[1]) Рукописный каталогъ старопечатнымъ и новымъ книгамъ, находящимся въ Московской Синодальной типографіи.

[2]) სამებელი.

[3]) ორნაირი დატა 1753 და 1739 ქრისტეს დაბადებიდან და ქართული ქორონიკონით.

მესამე გვერდზედ: ყ~ა დიდად ამაღლებულისა თჳთ ს~დ რუ-სეთის მპყრობელისა და კეთილ მორწმუნის იმპერატრიცა ანნა იოანესსა მე მდაბალმან არქიეპისკოპოზმან და კახეთის მწიგნობართ-უხუცესის ქაბულის მის თამაზის ძემან, იოსებ, ვიღვაწე და გავაკეთებინე საფასითა ჩემითა სტამბა ესე ფ~დითა შრომითა და თ~ა შეწყობითა ცურამისშვილის მღ~დელ-მონაზონის ქ~ფარესით. თუმცა სარგებელ რამე გექმნასთ ესე... ვითხოვ მოხსენებასა. დაიბეჭდა წმ. ესე სახარება ჩვენს პ~ლს სტამბის სახარებაზე თვინიერ მისის სამიებლისა. ს~ სამიებელი რუსული ვამჯობინეთ ადგილად პოვნისა და მისდომისა~თს (ახსნა ამ სამიებლისა). მდაბალი ამათ მბეჭდავთა ზედა მდგომელი უღირსი მღდელ-მონაზონი ქრისტეფორე.

მე-4 გვერდზე: «შესხმა წმ. მახარებელისა მათესა სოფრონის-მიერ თქმ-ული». (მოყვანილია შესხმა).

დასასრულ: «განიმართა ხელითა ტფილისის სიონელის გერმანეს მმისწულის ც~ს მღვდლის მოსესითა.

უკანასკნელ ყდაზე მხედრული ასოებით: ესე წმ. სახარება ზირაქ ბერისა არის. ვინც მოიპაროს, ამ წმ. სახარების მადლი გაუწყრეს, მაისსა ძ. მივიღე ესე სახარება ჩღჟგ (1793 წ.). პირველ ყდის გვერდზე; „Изъ книгъ превосвященнѣйшаго Евлогія“.

№ 4637. ფსალმუნი დავითისა 1705 წ. მოსკოვი. 8°. ეს წიგნი უეჭველესად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი უსწრობს ვახტანგის სტამბას ტფილისში და ბაქარისას —მოსკოვში. პირველს გვერდზე რუსულად დაბეჭდილია შემდეგი: „Во славу святыя и Троицы, повелѣніемъ благочестиваго великаго государя нашего царя и великаго князя Петра Алексѣевича всея великія имамы и бѣлыя россіи самодержца, и благороднѣйшемъ государѣ нашемъ, царевичѣ и великомъ князѣ Алексій Петровичѣ, благословеніемъ же превосвященныхъ архіереевъ межлу патріаршествомъ напечатана сія богодохновенная книга Псалтыръ *имеретинскимъ діялектомъ и письмены*: въ царственной московской типографіи, въ лѣто отъ сотворенія міра ҂зсгі, отъ Рож~тва же по плоти Б~га слова ҂аѱє (=1705) индикта г~і, м~ца марта“.

მეორე გვერდზე სუცურად: სადიდებლად წ͠მ͠ისა და ერთარსისა ცხოველს-მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა... მეფობასა დიდისა ბატონისა მეფისა და დიდისა მთავრისა ყ͠ისა დიდისა, ცოტასი (sic!) და თეთრისა რუსეთისა თვით-მპყრობელისა და კეთილად შობილის პ͠ე ალექსის შვილისა და მეფის შვილისა დიდის მთავრის ალექსი პეტრეს შვილისა ჩემ-მიერ მეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრისაჲ დაიბეჭდა წიგნი ესე დ͠თი სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს, წელთა დასაბამიდან შვიდი ათას ორას **Ⴈ͠Ⴂ** და განხორციელებიდან ღვთის სიტყვის ათას შვიდას **Ⴄ** (ე) (=1705) ინდიქტიონსა ი **Ⴂ**, თთვესა მარტსა ით».

შემდეგი მოყვანილია «სიმბოლო წ͠თა შორის მამისა ჩვენისა ათანასე ალექსანდრიელ პატრიარქისა.

№ 4639. ფსალმუნი დავითისა. ტფილისი. 1795*) 12°. «სადიდებლად სამებისა ყ͠დ უბრწყინვალესისა უკეთილმსახურესისა დ͠ უმაღლებულესისა ირაკლი მეორისა, მეფისა საქართველოჲსა და კეთილ-მორწმუნისა დ͠ დედოფლისა დარეჯან დადიანის ასულისა და კეთილმორწმუნეთა მეფის ძეთა და ასულთა კურთხევითა უნეტარესისა და უწმიდესისამეფის ძის ირაკლის მეორის ანტონი პატრიარქისა ყ͠ისა საქართველოჲსა დაიბეჭდა ღ͠ივ სულიერი წიგნი ესე ფსალმუნთა წ͠წყლის დავითისა, სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა სამეფოსა. წელსა დასაბამიდგან სოფლისა **ხსჟ** (შემდეგი ამოგლეჯილია), ხოლო განხორციელებისა სიტყვისა ღ͠ისა **ჩღჟ** (შემდეგი ამოგლეჯილია), თთვესა აგვისტოსა, რიცხვსა **ა**.

პირველს გვერდზე გამოსახულია ქართული გერბი.

№ 4653. შეცდომით რუსულად მინაწერი აქვს: „греческая". ეს წიგნი ბერძნული კი არა, ქართული ჟამნია, დაბეჭდილი ტფილისს 1791 წ. 8°.

«ჟამსა მეფისა ირაკლი მეორისასა... და კურთხევითა ოუნეტარესისა და ოუწმიდესისა ყოვლისა საქართველოჲს პატრიარქისა ანტონისა დაიბეჭდა ტფილისს დასაბამიდან სოფლისა **ხსჟთ**, გან-

*) კატალოგში აღნიშნულია „1705 წე," თუმცა თვით წიგნს აკლია უკანასკნელი ასო რიცხვისა.

ხორციელებიდან სიტყვისა ღმრთისა **ჩღჟა**, თთვესა მაისს, რიცხვსა **იდ**.

მეორე გვერდზე დაბეჭდილია გერბი და მესამეზე სამება ამ სიტყვებით:

«სამებაო, წმიდაო! ადიდე მადიდებელი შენი მეფე ყოვლისა საქართველოჲსა ირაკლი».

№ 4654 სადღესასწაულო, მოსკოვი. 1805. in folio. მინაწერი „M. Iона“.

მეორე გვერდზე: «გულმოდგინებითა შრომითა და ღვაწლითა უწმიდესის და უმართებულესისა სინოდის ჩლენისა და კავალერისა არხიეპისკოპოსისა კარლაამ ქსნის ერისთავის დავითის ძისათა. თანაშრომითა და ცენზურობითა უ̃დ სამღვდელოს მიტროპოლიტის იონა გედეონის სარდლის გაბრიელის ძისათა. ზედამხედველობით საქართველოს მეფის იესეს შვილის შვილის დიმიტრი გიორგის ძის ბაგრატიონისათა, ფრიადითა შრომითა იღუმენის ნიკიფორეს თელავის კარის ეკლესიის მღვდლის მიხაილის ძის მიხაილოვისათა. მებრძანა უწმიდესის სინოდის ჩლენის (sic!) კარლაამ არხიეპისკოპოსისაგან მე პაიჭაძე მესტამბეს წიგნისა ამის სადღესასწაულოს დაბეჭდვა, ვინაჲდან არა იყო ქართულსა ენასა ზ̃ა დაბეჭდილ. მორჩილ ვიქმენ ფრიადის გულსმოდგინებით ოთხსა წელსა არა დავცხერ შრომითა და მღჳძარებითა, თჳთ ანბანის მოჭრითა, მწყობათა, ჩაკითხვითა, ღლაქის ჭრითა და უ̃ისავე სტამბისა ამის სახმარისა განმართვითა და სრულ იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ ლოცვასა ჰყოფდეთ ჩემ ცოდვილისათჳს!

ვინაჲთგან უწმიდესმან კათოლიკოსმან საქართველოსაგან ანტონი მეფის იესეს ძმან მრავლითა შრომითა, ღვაწ[ლ]ისა და გულმოდგინებითა ისრაფა განჰშვენება ენათა საქართველოჲსაჲ და მრავალნი წიგნნი ფ̃დ სახმარ სასარგებლონი თჳთ ჰქმნა და მრავალნიცა წიგნნი საფილოსოფოსონი საღ̃ის-მეტყუჱლონი და საეკლესიონი სხჳსათაგან ენათა ქართულსა ენასა ზ̃ა გარდმოღებულ ჰყო ფრიადითა კეთილშეწყობილებითა და ვინაჲთგან ესეცა წიგნი სადღესასწაულო მისითა შრომითა იყო განმართულ და შეწყობილ ქართულსა ენასა ზ̃ა, ამისთვის მეცა ვერღარა კადნიერ ვიქმენ შეხებად და

შეცვალებად რაჲსამ და ვითარცა მის მიერ იყჳნეს განმართულ უ̃ი-თურთ, ესრეთ უცჳალებლად დაბეჭდილ იქმნა სადიდებლად წ̃ისა სამებისა და სასარგებლოდ სულისა ყოველთა ძეთა საქართველოჲსათა.

სინოდის ჩლენი ვარლაამ არხიეპისკოპოსი».

№ 4656 სახარება. დაბეჭდილი ტფილისს 1786 წ. in folio. მეფე ირაკლის და კათალიკოზის ანტონის დროს. (შეად. წინასიტყვაობა № 4653).

№ 4658. ზადიკი. დაბეჭდილია ტფილისს 1788 წ. 4°.

პირველს გვერდზე გამოსახულია ქართული გერბი. ამის გარშემო ვხედავთ: მზეს კაცის სახით, შემდეგ ღრუბელს და სულიწმიდას, რომელიც დასცქერის მოუწყობელ დედამიწას. ამას ქვემოდ გამოსახულია ანგელოზი. მარჯვნივ-მაღლა მთვარე მოსჩანს. მარცხნივ ღვთისმშობელი გვირგვინით: მარცხენა ხელში უჭირავს სკიპტრა და მარჯვენაში დიდი ჯვარი, გულზე მას გამოხატული აქვს მზე, რომლის სხივებიც მოეფინებიან მსოფლიოს გერბს ქვემოდ. მარჯვნივ ღვთის-მშობლისა გამოსახულია ბარძიმი და გასაღები. გერბის ბოლოს გადაშლილი წიგნი სძევს. ამ წიგნს მარჯვნივ ანგელოზი უდგია და მარცხნივ—არწივი. გერბის მარჯვნივ ვხედავთ აარონს კვერთხით და საცეცხლურით.—მეორე გვერდზე გამოხატულია «აღდგომა ქრისტესი». წიგნში ჩადებულია ნახევარ ფურცელი რაღაც წიგნისა, რომელზედაც აწერია: „Переводчикъ колл. секр. И. Мозваровъ".

№ 4661. მარხვანი. დაბეჭდილი ტფილისს 1793 წ. in folio. ქართული გერბით.

სადიდებლად სამებისა... ბრძანებითა ირაკლი მეორისა, ძისა ცხებულის მეფის თეიმურაზ მეორისა, რომელმან მიიღო მეფობაჲ კახეთზე წელსა განხორციელებიდან სიტყვისა ღმრთისა ႹႶႫႣ და შემდგომად ნეტარ-ხსენებულისა მამისა თვისისა წელსა ႹႶჲႡ შემაერთებელისა ორთავე სამეფოთა სკიპტრათათა ქართლისა და კახეთისათა, დროსავე თანამეცხედრისა... დარიასსა... ძეთა... კათოლიკოსის პატრიარქ ანტონისა დაიბეჭდა წიგნი ესე სამსაგალობელი წმიდათა დიდთა მარხვათა სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს ႹႶႯႢ.

№ 4665. პარაკლიტონი, დაბეჭდილი ტფილისს 1772 წ. in folio. ორი ცალი.

წიგნის დასასრულს დაბეჭდილი: ესე უწყოდეთ ყ~თა მკითხველთა ამის წიგნისა პარაკლიტონისა, რომელიცა [ი]შრომა უწმიდესმან ძმამან ჩვენმან ყ~ისა ზემოჲსა საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარქმან მეფის ძემან ანტონი. მიიღო განსწორებისა ზ~ა წიგნისა ამის პარაკლიტონისა, ვ~ა თჳთ ჰსწერს ანდერძსა თჳსსა შ~ა წიგნისა ამის თჳსა მდებარესა, ბერძულისაგან გარდმოღებულსა ქმნა რუსეთს ყოფასა თჳსსა ქალაქსა ვლადიმირს, ვ~დ არა აქვსთ სერობად კანონი ღ~ისმშობლისა, გარდა ორთა მათ კანონებთა, რომელთა თჳით მოუთხრობს და აქაცა დიდებულ არს იგი... და ჩვენ საქართველოჲსა ერნი ვინაჲთგან საკუთარ-წოდებულ ღ~ისმშობელისა წილ-ხდომილად ერად წოდებულ ვართ, ფრიად სურვილი გვაქუნდა ღ~ისმშობლის სერობის კანონისა თანდაება პარაკლიტონსა ამას შ~ა. ამისათჳს ჩ~ნ რ~ლიცა ღ~თ ჩ~ნსა დაბეჭდილი ქალაქსა ამ~ს პარაკლიტონი იყო და მ~ს შ~ა სერობის კ~ნონი ღ~თისმშობლისა იგი დავდევით და განვაწესეთ დაბეჭდვად და თანაშერთვად წიგნსა ამას.

მეფე ქართლისა და კახეთისა
ირაკლი.

ბოლოს არშიაზე მხედრულად მიწაწერია: «თავიდან ბოლომდის ეს ფურცელი როგორ არის, დაიბეჭდოს.
არხიერი პაფნოტი.

4698. Собраніе россійскихъ разговоровъ въ общежитіи употребляемыхъ разговоровъ съ приложеніемъ перевода, въ пользу „Благороднаго юношества".

შეკრება რუსულთა უბნობათა საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სასმარებლად დართვითა ქართულისა თარგმანისათა სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა. არ. 1826. 8°. ორი ცალი.

Огловленіе	სარჩევი
Букварь россійскій съ грузинскимъ.	ანბანი რუსული ქართულითურთ.
Числительныя имена количественныя.	რიცხჳთნი სახელნი რაოდენობითნი.
Дни недѣльные.	დღენი კჳრისანი.
Разговоры.	უბნობანი.
Какъ спрашивать и объяснить о здаровьѣ.	როგორ უნდა ჰკითხოს და შეატყობინოს სიმრთელე.
О времени.	დროჲსათჳს.
Покупать что-на платье.	ყიდვა რისამე ტანისამოსისათჳს.

და სხვა და სხვა... თარგმანში აქა-იქა რუსიციზმები შეჰპარვიათ: მაგალითად,—„Потише, вы мнѣ дѣлаете больно“: ნელა, თქვენ მე მატკენთ. „Я вамъ обѣщаю“,— მე თქვენ დაგპირებივარ...

№ 4699. ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულისა წერილისა. მოსკოვი 1825. 8^{0}.

«მსგავსად რუსულისა, შეწყობილი და დაბეჭდილი ტარასის მიერ მღჳდელთ-მონაზონისა სოლომონ დეკანოზის ძის ალექსიევისა, რ̃ლიცა ჰსძღჳნის სიმდაბლით კეთილ-გონიერთა ყრმათა საქართველოსათა. დაიბეჭდა ბრძანებითა უწმიდესის სინოდისა მოსკოვს **ჩყკე**.

შემდეგ ხუცურისა და მხედრულის ანბანისა აღნიშნულია:

«ლექსნი ქარაგმიანნი (ღ̃თი—ღმერთი და სხვ.) მხედრულად:

«მოკლე ზნეობითი სწავლა». მაგალითად: «გახსოვდეს მარადის, ყრმაო, რომელი ღმერთი არათუ მხოლოდ საქმესა კაცისასა, არამედ თჳთ გონებასაცა და განზრახჳსასა მისსა (?) ჰხედავს».

ხუცურად: «შემოკლებული კატეხიზმო.»

კითხვა: «რაისთვის გეწოდების შენ ქრისტიანე»?

მიგება: «ამისთჳს, რომელ მრწამს მე უ̃ჲ ჩვენი იესო ქრისტე და მიპყრა ეს წმიდა ჰსჯული მისი».

კითხვა: «რაჲსა ასწავებს ქრისტიანობრივი სარწმუნოება»?

მიგება: «ასწავებს ყოველსავე ჭეშმარიტსა».

შემდეგ მოყვანილია «შემოკლებული სამღჳდლო ისტორია» (ძველი და ახალი აღთქმიდან).

№ 4700. ხუცურად „ქართული ღრამატიკა“. 8⁰. 144 გვ. მხედრულად: § 1. ღრამატიკა არს ჰსწავლა ხელმძღვანელთ კანონიერის უბნობისა და მართლ-წერისადმი.

§ 2. ღრამატიკა განიყოფების სამთა ზედა ნაწილთა (ეტიმოლოღია, სინტაქსი და ორთოღრაფია).

დასასრული პირველისა ნაწილისა.

4701. ანბანი. 8⁰. 18 გვ. ქართული ხუცურით და მხედრული ანბანით გამოსახულია ოსური გამოთქმანი და დამატებულია ერთი ასო ჷ, რომელიც გამოითქმის ა და ე შორის, გამოითქმის, როგორც შენიშვნა იუწყება, «ბრჷგუდ».

დასასრულ, ხუცურად დაბეჭდილია: «შედგენილ არს და თარგმნულ ქართულიიგან ოსურსა ენასა ზედა ბუნებით ოუსრთაგანის (= ოსთაგანის) აზნაურის (=ოსურის) იოანნე იალღუზის მის მიერ».

—

დასასრულ ორიოდე სიტყვა კიდევ: 1872 წ. შედგენილ იქმნა ახალი კატალოგი მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკისა. *) აქ, სხვათა შორის მოხსენებულია ორი ქართული წიგნი. 1825 წლის კატალოგით სინოდალურ წიგნთ-საცავში დაცულია ორი წერილი ანუ გრამატა **) არჩილ მეფისა პატრიარქ სიმეონთან მიწერილი იმ მიზნით, რომ მან იშუამდგომლოს მოსკოვის მეფესთან, (სახელი არ სჩანს), რათა მიეცეს ნება პირად მოსვლისა მოსკოვს. მეორე სიგელი შეეხება ამავე მეფე არჩილს და მიწერილია საქართველოს კათალიკოსის ნიკოლოზის მიერ პატრიარქ იოაკიმესთან თხოვნით, რომ არჩილი, ვახტანგის ძე, კეთილად იქმნას მიღებული მოსკოვს. წერილს უზის რიცხვი: „2-го іюля, 1687“ წ. (Ср. № 47. Горскій, Невоструевъ.)

ალ. ხახანაშვილი

---

*) *Савва.* Указатель для обозрѣнія Москов. патріар. библіотеки, изданіе 2-е. М. 1858 г. стр. 20.

**) ibid. стр. 58—62.

საქართველოს სამეფოს მოხელენი

საქართველოს სამეფოში, როგორც ყოველს სახელმწიფოში, განაგებდნენ შინაურ და უცხო საქმეებს, შემოსავალს და გასავალს, სამართალს და წესწყობილებას, ჯარს და ცალკე პროვინციებს, განათლების და სასულიერო მოთხოვნილებას მეფისაგან დანიშნულნი პირნი—მოხელენი, რომელნიც სხვა და სხვა დროს განსხვავებულ სახელ-წოდებით იხსენებიან. ამ მოხელეების სია ჯერ არ ყოფილა ჩვენში შემდგარი და არც გამოკვლეულია, რა მოვალეებით და უფლებით იყვნენ ისინი აღჭურვილნი. ჩვენ გვსურს მკითხველს მივაწოდოთ ანბანზედ ჩამოთვლილი მოხელეთა სახელწოდებანი და მხოლოდ შემდეგ მოვუძებნოთ მათ სათავე, აღვნიშნოთ მათი კომპეტენციის შეცვლის ისტორია, დავყოთ სისტემატიურ ჯგუფად.

აბდარბაში—თავი წყლის მზიდველთა. სუფრაზედ მეფეს ტაშტს-წურწუმას მიუტანს. („დასტურ-ლამა“, გვ. 78.)

აბრამიდი—სახლთუხუცესი.[1]) ამას ებარა სამეფო შესავალ-გასავალი. „ამან უწყოდა წესნი და რიგნი სამეფოსანი, თათბირობა და საბაასონი მეფისანი.“ (ვახუშტ. ისტ. გვ. 8.)

ათაბაგი (სომხურად ათაპაგ), თარგმანებით მამა-პატრონი, ესე იგი პირველი მინისტრი, დიდი ვეზირი, უმაღლესი გამგე, მზრდელი ყრმამთავრისა, სახელმწიფო პატრონისა ყმაწვილობის დროს. ეს ხელისუფლობა, მიღებული ქართველთ მეფეთაგან

[1]) ნახე ჩემი „ბატონ-ყმობა“, გვ. 130. ამონაწერი „Дѣла груз.“ Гл. Арх. Мин. Иностр. д. 1768—71 гг.: „ხელისუფალნი მეფის კარისა ძველად ენითა ქართულითა ვითარ იწოდებოდნენ და ანუ აწ ვითარ იწოდებიან“. სახლთუხუცესზე ნახე შემდეგ.

სელჯუკების სულთანთა მიბაძვით, პირველად იხსენიება თამარ მეფის დროს. ვახუშტი ამბობს, ვითომც შემდეგ „ათაბაგობის შეძინებისა არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად“. მაგრამ ეს შეცდომაა. ამ ორთა ხელისუფალთა შორის კავშირი არ არსებობს. სპასალარი ჰნიშნავს სპათა უფროსს; ათაბაგს, „ქართლის ცხოვრების“ თქმითვე, უხმობენ ათაბაგობით მეფეთა და სულტანთა გამზრდელთა, ვითარცა წესია სულტანთა. ორივე ეს მოხელეობა ჩვენში შემდეგაც ხმარებაშია და გარდა ამისა სჩანს, რომ ათაბაგობა სპასალარზე უმაღლეს ღირსებად ითვლებოდა: „იყო ათაბაგობა უმეტეს სხვათა ერისთავთა განდიდებული. ეს იყო ვეზირი კარისა მეფისასა;“ „ავაგ, რომელი ამირ სპასალარობისაგან ათაბაგ იქნა.“ სჩანს, რომ მეფეთა მემკვიდრეები ხანდახან იზრდებოდნენ ათაბაგის სახლში. გიორგი ბრწყინვალემ ათაბაგ სარგისისძეს ყვარყვარეს მიანიჭა ათაბაგობა და ამ დროიდან ათაბაგობა გარდიქცა გვარად ახალციხელ ანუ ჯაყელთ სახლში და იმათ სამთავროს, ყვარყვარეს ათაბაგობაში, დაერქვა **საათაბაგო**. (Du laurier, Recueil... Docum. armen., Paris, 1869, I, 835, S.-Martin, Memoires hist. et géorg. sur l'Arménie, Paris, 1819, II., 251. „ქარ. ცხ.“; I, 318, 332, 339, 320, 348, 365, 449; 154. **ვახუშტი**, ბაქრაძის გამოცემა, ტფილ. 1885, 12 და შენიშვნა 12, 13. Грузин. церк. гуджары Д. Пурцеладзе, Т. 1881, გვ. 170.).

ათასისთავი — უფროსი, გამგე ათასიან მხედართა გუნდისა. შეადარე ამას **ასისთავი** — ას თავიან გუნდის უფროსი; აგრეთვე **ათისთავი** — ათ თავიანი გუნდის უფროსი. ხანდახან ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ქიზიყის ასისთავს შერმაზანს მეფე ნაზარლიხანმა უბოძა საშვილიშვილოდ ასისთავობა. Двор. грамоты, изд. Пурцеладзе, გვ. 9. (Т. 1881). შეადარე **ასისთავი** გამგე ასიან მხედართ გუნდისა.

ამილახორი — ქართულად სპარსული ენიდან გადმოღებული ამილახორის მაგივრად იხმარებოდა ვზინდართ უხუცესი ანუ მეჯინიბეთ უხუცესი. ეს თანამდებობა ებოძებოდა მეფის კარის

მოხელეს და უდრის ევროპიულს ობერშტალმეისტერს. „ამისი ხელისა იყო მეჯინიბენი, შიკრიკნი, პაიკნი, ჯინიბნი, ჰუნენი ჯოგნი, რემანი მეფისანი (ვახუშტი, ისტ. 8). ამილახვარი-თანამდებობა დროთა განმავლობით გარდიქცა გვარად ამილახვართა, რომელთა შთამომავლობის ისტორია იწყება იოთამ ზედგინიძისგან [2]) († 1465). „ივერია", 1891, 237. Закавк. В. 1845.

ამირეჯიბი—არაბულიდან საქართველოში შემოტანილი, ეჯიბთ უხუცესის ანუ მანდატურთ-უხუცესის აღსანიშვნელად, უდრის ახლანდელს გენერალ-ადიუტანტს. ეს სამეფო კარის თანამდებობა შეიქნა მემკვიდრეობითი მოხელეობად და ერთს შტოს ფალავანდიანთ ჩამომავლობისას დაერქვა გვარად ამირეჯიბიანი. (Annuaire de la noblesse de Russie. S. Pb. 1889, p. 26). როსტომ მეფემ მანდატურთ-უხუცესი სპარსული ტერმინით გარდაქმნა ეშიყაღარად (ვახუშტი, ისტ., გვ. 17).

ამირი იხსენება 1602 წ. ერთს მეფე ლუარსაბის სიგელში, რომლითაც გიორგი თარხან მოურავს **ქალაქის ამირს** ებოძა სოფელი ქაშლაჩი. ამირი, დ. ფურცელაძის შენიშვნით, სარდალი იყო რომელიმე რაზმის ნაწილისა (Двор. грам. Пурцеладзе, стр. 4.).

ამილბარი. მეფე ვახტანგ I 1707 წ. გუჯარში თავის თავს უწოდებს: „სრულიად ერანის სპასალარად, სპასპეტად და **ამილბარად**, ესე იგი главнокомандующій-ღ. (Церков. гуджары, 78). შეად. „დასტურ-ლამა".

ამბარდანი. (სპარს. ანბარდარ) სურსათის ზედამხედველი, პროვიანტის კომისიის უფროსი. („დასტურ-ლამა", 164).

ბაზიერთ-უხუცესი. (ბაზიერ—დამგერშეელი და ზედამხედველი ბაზთა-მიმინოთა)—უფროსი ბაზიერთა, ობერეგერმეისტერი grand veneur ევროპის სამეფო სასახლისა. (Крестьян. грам., 20, 1.). ამას ებარნენ ბაზნი, ბაზიერნი, მეძაღლენი, ტყეთა და

---

[2]) იოთამ ზედგინიძის შთამომავლობას უბოძებს მეფე გიორგი (1445—1469) თავის გადარჩენისათვის სპასპეტობას (სარდლობას) ქართლისას, მოურაობას გორისას, ციხეთა და მამულთა და მეფის კარის ამილახორობას. ამილახორობა გარდიქცა ქართლის სარდლობად.

ველთა მცველნი სანადიროთა მეფისათა (ვახუშტი, ისტ., 8.) Brosset. Voyage, I, 60. დილარიანი, ქრისტ. ჩუბანიშვილისა, I, 111. ბაზიერთ ხუცის შესახებ „დასტურ-ლამა." გვ. 19.

ბეგლარბეგ—გამგებელი პროვინციისა სპარსეთში, გუბერნატორი ანუ გენერალ-გუბერნატორი. დავით იმამყულიხანი 1772 წ. გუჯარში თავის თავს უწოდებს ბეგლარ-ბეგად, Церк. гудж. стр. 2. ნახე კიდევ იქვე გვ. 78. „დასტურ-ლამა" გვ 56.

ბოქაული—იასაული ს. ს. ორბელიანის ახსნით (იასაული ნახე შემდეგ). ბოქაულთ-უხუცესი—უფროსი, თავი ბოქაულთა (პრისტავთა). შესაფერი ჯილდო სამსახურისთვის ეძლეოდათ ბოქაულებს და ბოქაულთ-უხუცესს, როგორც სჩანს Двор. грам. გვ. 11, 43, 61. ბოქაულნი (ანუ ბოქოულნი) და თვით ბოქაულთ-უხუცესნი ხელთ იყვნენ მანდატურ-უხუცესისა. „ბოქაულთ-ხუცის სარგოსათვის" ნახე „დასტურ-ლამა", გვ. 16.

ბჭენი („შუანი")—მოსამართლე-მაშუალნი გიორგის „ძეგლის დებით".

გზირი—სოფლის უმცროსი მოხელე (разсыльной), რომელიც თანამდებობის გამო განთავისუფლებული იყო ჯარში სამსახურისგან (Церк. гудж. 72).

ეზოს მოძღვარი—ამის ხელისა იყო ყოველნი საგანგიონი მეფისანი, ხარჯნი წარსაგებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა, მეფისა ტაბლისა და სანოვაგისა (ვახუშტი, ისტ., გვ. 8), ეზოსმოძღვარი უდრის აწლანდელს ჰოფმეისტერს.

ეშიკბაში—ობერცერემონიმეისტერი.

ერისთავი—თემის თავი, გამგე გაცალკევებული მხარისა, შემდეგ სარდალი ანუ სპასპეტი (воевода) რომელიმე მხრის ჯარისა. მეფის შვილებს ეძლეოდათ საქართველოს კუთხეები **საერისთოდ** („რეკის ძეთა მისცეს ჰერეთი და კახეთი საერისთავოდ". ვახუშტი, გვ. 78. ნახე კიდევ გვ. 75 და 134. „ქარ. ცხ." 146, 149. შემდეგ ერისთავი გარდიქცა გვარად და ერისთავობა გახდა მემკვიდრეობითი თანამდებობად.

ეშიკაღასბაში (ეშყაბაში)—მანდატურთუხუცესია, ესე იგი უფროსი ხელარგნოსანთ, ხელჯოხიანთ, მეფის გარემდეგთა

(ს. ს. ორბელიანი, შეადარე „დასტურ-ლამა“, გვ. 5). დ. ფურცელაძის აღსნით იგი უდრის გენერალ-ადიუტანტს.[3]) ეშიკაღასბაშს მიანდობდნენ ხოლმე უმთავრესს გამგეობას მეურნეობის გაუმჯობესობის შესახებ, თვალ-ყური უნდა ედევნათ წყლის რუების ჯეროვან შენახვისთვის და სასოფლო შემოსავლის ანგარიშისთვის. (Двор. гр. 84) იგინი ინიშნებოდნენ მეფის მიერ სისხლის ფასის აღსრულებაში მოსაყვანად და გაფანტული ყმების ბატონთან დასაბრუნებლად (Крестьян. гр. 23 და 26).

ეჯიბი — „ძველათ მეფეთა შორის საქართველოსათა იყო სახელი ანუ ხარისხი. ამ ეჯიბის ხელით იყვნენ ყოველნი ტაძრეულნი მეფისანი და ნადიმსა შინა იგივე მიუგებდა მეფისა წინ დარბაისელთა და მას ეტყოდნენ დარბაზის ერნი, რაი ენებათ მეფისა მოხსენებად და ამის მიერ მიეცემოდათ პასუხი და მის წინა პირველ ვერვინ შევიდის თვინიერ მისა. ხოლო ამირ-ეჯობა ნიშნავს უპირველესსა ეჯიბსა... („კალმასობა“, გვ. 74.) ეჯიბი არაბულიდან ქართულად ნიშნავს წინამდგომს, «მეფის მიერ მოლაპარაკეს» (ს.ორბელიანის ახსნითაც). იგი უდრის ეხლანდელს კამერგერს, Chambellan'ს.

ვეჯიბი — სასახლის მინისტრი (ფურცელაძე, Церк. гр., 79).

ვეზირი — მინისტრი და უახლოესი მეფის მრჩეველი (Церк. гр., 96)˙ ვეზირს და მდივნებს ეძლეოდათ ერთად აბანოს შემოსავლიდან ნახევარი ნაწილი („დასტურ-ლამა“ გვ. 6). მის სარგოზედ დაწვრილებით ნახე „დასტურ-ლამა“ გვ. 32. ვეზირად ხშირად სამღვდელო პირნიც ყოფილან. „ქარ.-ცხ.“, 307, 308.

ზინდარი — მეჯინიბე, ვზინდართ უხუცესი — მეჯინიბეთ უხუცესი, ახლანდელი შტალმეისტერი და ობერ-შტალმეისტერი. Двор. гр., 63.

თავლადირი — შემოსავლის მიმღები.

თარუღა — გამგე (правитель—Двор. гр. 21) სანოვაგეთა გამსყიდველთ ყურის-მგდებელი. Кр. акты, გვ. 20.

---

[3]) „ბატონი რომ ტახტზედ ბრძანდებოდეს იმას პირდაპირ ბოძთან ერთი აქეთ და ერთი იქით ეშიკაღასბაშთან დადგებოდნენ. იმ ბოძიდან ორს ბოძს ქვეით ხელჯოხიანები ან სოფბათ იასაულები რიგზედ დადგებიან. შემოსულ დარბაისელთ ეშიკაღასბაშნი ადგილს უჩვენებდნენ“. („დასტურ-ლამა“ 78).

იასაული (ესაული) ორგვარია: ერთი ამსრულებელი განაჩენისა და მეორე გამომკითხველი, გამომძიებელი. („ვახტანგის კანონები", მუხლი 4). შეადარე Крестьян. гр. გვ. 8 და 27. იასაულს შეეძლო დამნაშავეთა დასჯა. „დავთარ-ხანის იასაულების და ყაფიჩის სარგო" განწესებულია „დასტურ-ლამაში", გვ. 24.

ლაშქარნობა—უფროსობა ეული ხალხისა (?). მეფე ერეკლე ენიკოლოფოვს უბოძებს „лашкарноба по кочующимъ народамъ." Двор. гр. გვ. 24.

ლაშქარნივისი—მოხელე, რომელიც აწარმოებდა ჯარის მიწერ-მოწერას და მხედართა სიას (Кр. акты, გვ. 25) Войсковой писарь.

მამასახლისი—უფროსი გამგე სოფლისა, აღმსრულებელი მეფის ბრძანებისა და მოსამართლეთ განაჩენისა. წყალობად ებოძებოდათ ამოვარდნილი სოფელი, შეეძლო იჯარით აეღო მამული. მამასახლისი ინიშნებოდა ქალაქებშიაც, სადაც მათ ებარათ სხვათა შორის ძმათა შორის ქონების განაწილების საქმე. მამასახლისთან ერთად იხსენებიან ნაცვალი, ქეთხუდი და ლალელა(?) Кр. акты გვ. 3, 10, 13, 24, 37, 50. Церк. гудж. 38. გასამყრელოდ მოურავს ხარი, ნიცვალს აბასი, მამასახლისსაც აბასი. საჩექმე თუ იმ ქვეყანას გათხოვდეს მოურავს ექვსი შაური, მამასახლისს აბასი, თუ სხვა ქვეყანას წაიყვანოს, მოურავს 5 აბასი, მამასახლისს აბასი. „დასტურ-ლამა", 11.

მამფალი — „ლექსი მამთალი წარმომდგარა სიტყვიდან მეფე და რადგანაც ტაოს ბაგრატიონები არაბების შიშით ვერ ჰბედავდნენ მეფედ წოდებასა, ამის გამო იმათ მიუთვისებიათ მამფლობა, რომელიც უდრის მთავარს, პატრიკს, ერისთავს, უფალს" (ბაქრაძე, ისტ., გვ. 213. მისივე Статьи по ист. и древ. Грузіи, გვ. 27. Церк. гудж. 120.)

მარზპანი — მარზპანი, მარზაპანი, წარმომდგარია სპარსული სიტყვებიდან მარზ—საზღვარი და ბან—მცველი. მარზბანი ჰნიშნავს საზღვრის მცველსა და ძველადვე ხმარებულია სომხეთში და საქართველოშიაც ვახტანგ გორგასლანის დროდან. (S.-Martin, Mém. sur l'Arménie, I, 320, n. 2. Brosset, Voyage, XI, 30. ბაქრაძე, ისტ. 186.)

მანდატური (მანდატორი) ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ვექილს. ბიზანტიაში სასახლის მოხელეს ებოძებოდა მანდატო-რობა. მანდატურს ს. ს. ორბელიანი სთარგმნის იასაულად. მანდატურ-უხუცესი უდრის ბიზანტიის promandator (Rambaud. L'empire grec, 202). „მანდატურ-უხუცესის ხელისა იყო: მანდა-ტურნი, ბოქაულთ-უხუცესნი, ბოქაულნი, მებჭენი, მეკარენი, ქონდაქარნი, სარანგანი და ნადიმოპისა წესი და წინაძღოლა მეფისა, მოხსენება ნადიმსა და ამხედრებულისა ამის მიერ იყო მეფისა (ვახუშტი, ისტ. 8). მოკლედ: მანდატური—„ხელარ-გნოსანი, მეფეთ გარეთ მდეგი“, მანდატურთ-უხუცესი აწინდე-ლი გენერალ-ადიუტანტი. Церк. гудж. 70.

მდივანი—მწერალი. „ამის სარგო: ზარაფხანიდამ თუმანი თორმეტ-ნახევარი, ტყვის ბაჟიდამ, ყაფნიდამ, არაყხანიდამ და სხვა („დასტურლ.“, გვ. 50). მდივანნი იყვნენ წესით უმაღ-ლესნი და უმდაბლესნი: მეფისთანანი პატივით უმაღლესნი, ვი-თარცა იტყვის: მდივანსა ჩვენსა ჩოლოყაშვილსა არა რა ეკად-როს, თვინიერ დიდისა შეცდომისათვის მეფისა, მარჯვენე ცე-რი მოეჭრას; ამისგან კიდე არა რაი“ (ვახუშტი, გვ. 8). იყვნენ მდივანნი[4]) სარდლისა, სახლთხუცისა, მდივანბეგისა, მოლარეთ ხუცისა, (секретарь, письмоводитель), მდივანბეგი—საბჭოს და სასამართლოს წევრი (Крестьян. акты, 5, 23, 37, 60. „Церк. гр.“ 99. „Двор. гр.“ 30). ქართლის აღწერის დროს დავთარს დაიჭერს. „დასტურლ.“ გვ. 10, 13. „ვახტანგის კანონ.“ § 3.

მდივანთ უხუცესი—უფროსი მსაჯული[5]) („Церк. гр.“ 84, 89. ნახე კიდევ „Двор. гр.“ გვ. 7, 13, 29, 33, 44, 45).

მებალახე—იხმარებოდა იმავე მნიშვნელობით, როგორც ახლა. მხოლოდ მებალახებად ინიშნებოდნენ აგრეთვე სამეფო მამულებშიაც და გასამსჯელოდ ეძლეოდათ შემოსავლის ნახე-ვარი ნაწილი. („Двор. гр.“ 13. შეადარე „დასტურ-ლამა“ გვ. 10. 73 და საფრანგეთში droit de blaire).

---

[4]) სამეფო მდივანზედ ნახე „ვახტანგის“ კანონები § 100.

[5]) სასამართლოს წარმოებაზედ ნახე Brosset, Introduction, p. CXC.

მეითარი—ცხენის მომვლელი, მეჯინიბე, აგრეთვე პატივცემულ დარბაისელი („დასტურ-ლამა“ გვ. 176, ახსნა პეტრე უმიკაშვილისა); მეითარი—მოხელე, მდგარი წინაშე მეფისა და მიმრთმევი ცხვირსახოცისა („დასტურ-ლამა“ 60 გვ. და დ. ჩუბინაშვილის განმარტება). მეითარი სასახლის მოხელე იყო, როგორც სჩანს სიგელებიდან. „ტანისამოსი მის ხელთ არის“ (Гардеробо-мейстеръ დ. ყიფიანის ახსნით). მეთვრამეტე საუკუნის დამლევს მეითარს ჯამაგირიც ეძლეოდა და შემოსავალიც, რომელიც ამ თანამდებობასთან ეკუთვნოდათ. სანოვაგე სამეფო სამზარეულოდან ებოძებოდათ. („Двор. гр.“ 32).

მეკელარე—ეკკლესიის მოხელე, კელაპტრის ამანთებელი, იმ კელაპტრის, რომელიც შეიწირებოდა სიძის მიერ სიმამრის ან სიდედრის კუბოზედ ასანთებლად („Двор. гр.“ 45).

მეკულუხე—ღვინოზედ კულუხის ამკრეფი. იგი ხან გადაჭრილი იყო, ხან კი შემოსავალზედ იყო დამყარებული (ჩემი „ბატონ-ყმობა“ გვ. 93).

მეკოდისპურე—შემკრები კოდის პურისა.

მელიქი—ორი იყო საქართველოში: ერთი სომხითის და ერთი ტფილისის. პირველი იყო სომხითში დიდებულ თავადთა ცოტა ნაკლები ხარისხით, მაგრამ სარდალთა მსგავსი, მეორე იყო თავი ტფილისის ქალაქის ვაჭართა, ხელოსანთა და სომხებისა. ეს ხარისხი გადადიოდა საშვილიშვილოდ, უკანასკნელს დროს ბებუთაანთ გვარში. **სამელიქო**—ხარჯია მელიქის შესანახად, რომელსაც იხდიდნენ ბატონთა ყმანი („Кр. акты“, გვ. 4, „Церк. гудж.“ გვ. 108). მელიქი ტფილისისა იღებდა მონაწილეობას სამსაჯულოში, როცა საქალაქო საქმეები ანუ მოქალაქეთა პროცესსი ირჩეოდა („Кр. ак.“ 46). საქალაქო შემოსავალი—მახტა იყო მელიქის განგებაში. მეფის ბრძანებით ამ მახტას იგი ხარჯავდა, რასაც საჭიროება მოითხოვდა („Кр акты“ გვ. 58). ცხოვრობდა იგი, თუ თავისუფალი მოიძეებოდა, სახელმწიფო სახლში (ib. გვ. 76). გარდა შემოსავლისა და სახელმწიფო სახლისა მელიქს ებოძებოდა სახნავსათესი მამული და ვენახები („Двор. гр.“ 5. ნახე კიდევ მე-

ლიქზედ „Кр. акты", გვ. 42, „Церк. гудж." გვ. 7, „Двор. гр." გვ. 3). მელიქი—ტფილისის მმართველი განაგებდა უახლოესს ქალაქთან სოფლებსაც. იშვიათად ქალაქის მელიქს ემატებოდა ერთი კიდევ სახელწოდება: „მელიქ-მამასახლისი". ამგვარად აწერს ხელს „მელიქ-მამასახლისი ავეტიქა". გუჯრებში ვპოულობთ კიდევ ერთს მელიქ-მამასახლისს ალა ახშარბეკოვს. („Кр. акты," გვ. 29, „Церк. гр." 65, „Двор. гр." 18).

მემალე—მალის ამღები.

მემანდარი—მესტუმრე. „სტუმართ უნდა მემანდარი გაუძღვეს". „დასტურლ." გვ. 59.

მემარნე—მარნის უფროსი.

მერიქიფეთ-უხუცესი—სუფრის თავს მდგომი.

მესაურე—ხარჯის ამკრეფი, „დასტ." გვ. 73.

მესტუმრეთ-უხუცესი—ამის ხელისა იყო მესტუმრენი; ეს მოაწვევდა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა და შერისხვაც ამის მიერ იყო მეფისგან.

მეტაბლე (სუფრაჯი)—Стольникъ.

მეურვე—მზრუნველი ეკკლესია-მონასტერთა. „Церк. гр." გვ. 75.

მეღვინე—ღვინის მიმრთმევი სამეფო სადილზედ, მეღვინეთ-უხუცესი; ამის ხელობა იყო: მეწდენი და მესასმისენი, მეფისა და ღვინის — ღვინის საქმის მოხელე. ობერშენკ ახლანდელს სამეფო სასახლეში.

მეყუროლე—მცველი საძოვრის ადგილისა.

მემაღლეთ-ხუცი—მის სარგოსთვის „დასტურლ.," გვ. 63.

მეჯამშიკე და **მეშარბატე**—სასახლის მოხელენი—სასმელის ყურის-მგდებელნი.

მეჯინიბეთ-უხუცესი—მას ეკუთვნის „დასტურალამას" (გვ. 42) განწესებით: თითო ხელი ცხენის მუქამალი იარაღი, წელიწადში თითო ცხენის ქერი; წილი აქვს ბატონის უნაგირ-იარაღის გამონაცვალში. მისია დუშალიკის ნახევარი.

მონათ-უხუცესს ხელისა იყო ყოველნი მეფის როქის სპანი, თვინიერ ციხე-ქალაქთა.

მორდალი—მცველი სახელმწიფო ბეჭედისა. „Кр. акты", გვ. 20, 65. დ. ყიფიანის აზრით „представитель просителей".

მოურავი[6])—გამგებელი რომლისამე ადგილ-მაზრისა, მეფისგან დანიშეული და არა მემკვიდრეობით დაყენებული. („Двор. гр." გვ. 5, 12, 15). ცნობილნი არიან მოურავნი ახალქალაქისა, ატენისა, თიონეთისა, ქისიხევისა, გორისა, ქალაქისა, ველისციხისა, დავით გარეჯისა, კუჭატანისა, არაგვისა, ცაგერისა და სხავ. იყო მოურავი განსაკუთრებით „ქალაქთა და ციხეთა" („Двор. гр." გვ. 16, 18, 23, 35, 43, 62. „Кр. акты" გვ. 62). მოურავს ეძლეოდა ყმებისაგან ხარჯი, ხანდახან ფულად კომლზედ ორი შაური ანუ მეტ-ნაკლები. მტერთა დარბევიდან ებოძებოდაშესაფერი ნაწილი („Кр. ак." გვ. 28—29). მესამედი ნაწილი ეძლეოდა კიდევ იმ შემოსავლიდან, რომელიც ერთმეოდათ ჯარში ვინც არ გავიდოდა. ქურდების წართმეული ფულებიდანაც 1/3 ნაწილი მოურავისა იყო. აგრეთვე ჯარიმიდან. მის მოვალეობას შეადგენდა შეეკრიბა საეკკლესიო ლალა—კულუხი (ნახე „Кр. акты" გვ. 62, 71, 73, 76, 79-80. „Церк. гр." 30, 54, 72, 90, 145).

მოძღვარი—ამის ხელისა იყო: ყოველნი განსაგებელნი მეფისა ხარჯნი და წარსაგებელნი („ნახე ეზოს მოძღვარი") „Кр. ак." 34. „Двор. гр." 22.

მოლარეთხუცესი: „ამის ხელისა იყო რაიცა მეფის თეთრი ანუ ლარნი თვისთა საკუთართა ზედა ანუ ქველის საქმისად უხმდა და მის ქვეშე დაწესებულნი მოლარენი. იგი უდრის ახლანდელს ფინანსთა მინისტრს (ვახუშტი, ისტ. 8. შეადარე „Двор. гр." 22, 53. „Кр. акты" 37, 55. „Церк. гр." 114. მის სარგოზე „დასტურლ." გვ. 59.) დუშალ-კიდამ ნახევარი მისია.

მიდისი—სომეხთა ეკკლესიის მნათე. „Крестьян." 72.

მოხელე—მმართველი, სამოქალაქო წარმომადგენელი ეკკლესია-მონასტერთა გამგეობაში. „Церк. гр." 30.

---

6) მოურავის „დებულებაზედ" ნახე „დასტურლამა" გვ. 8. მოურავნი ანუ „გამგებელნი" ქსნის და არაგვის ერისთავთა თანაშემწენი —გიორგის „ძეგლის დებაში" ნახე.

მედალე—ლალის ამკრეფი. ლალის რაოდენობა დამოკიდებული იყო მოსავალზედ და ადგილ-მამულზედ. „დასტურლამა“ გვ. 17, 25, 26 და ჩემი „ბატონ-ყმობა“ გვ. 91—92. „Двор. гр.“ 19 და სხვა.

მსახურთ[7]**-უხუცესის** ხელისა იყვნენ სალაშქრო საჭურველისა და იარაღის მსახურნი და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი.

მუშათ-უხუცესი—ზედამხედველი სასოფლო გზათა და მუშათა. „Двор. акты“, 47.

მუნში—სასახლის მოხელე(?). „Двор. акты“, 24.

მუსტოფი—ანგარის დამწერი. „დასტურლამა“ უნიშნავს ოცს თუმანს ჯამაგირად.

მუჯირი—პურის მალაზიის ზედამხედველი. „Церк. гр.“, 72.

ნაზირი—ხაზინადარი სასახლეში (აბრამიდი). „იარაღის საქმე და კეთება ყოველი სალაროს ნაზირის საქმეა“ („დასტ.“ 43). ორგვარი ნაზირი იცის დასტურლამამ: სალაროსი და ქარხნისა, (გვ. 64 და 65).

ნაცვალი—საქალაქო ნაცვალი უდრის ახლანდელს პოლიცმეისტერს. იგი ინიშნებოდა მეფის მიერ. სოფლად იგი მეორე პირი იყო მამასახლისის შემდეგ. „Двор. гр.“ 18, „Кр. акты“ 3, 5, 37, 50; „Церк. гр.“ 30. „დასტურლ.“ გვ. 9. მოურავს თავის გასამტეხლო 5 აბასი, ნაცვალს ორი შაური; ესე იგი $1/10$ ნაწილი პირველთან შედარებით. „დასტურ.“ გვ. 11.

ნეკრესდობა—მმართველი ნეკრესის ეკკლესიის მამულებისა. „Двор. гр.“ 16.

პატიაშხი (პატიახში) ბერძნულიდან ნიშნავს საზღვრის მცველსა. პატიახშებად იწოდებოდნენ გუგარის ანუ საქართველოს სომხეთის მთავარნი. S.-Martin. Mém. I, 79. „ქ.-ცხ.“ I, 57, 122 და სხვა.

სახლთხუცესი ანუ აბრამიდი (ნახე „აბრამიდი“) ობერგოფმარშალი. სახლთხუცესი ინიშნებოდა სასახლის გარეშე მო-

---

7) მსახური—დაბალი წოდებიდან გამოსული მოხელე, რომლის სისხლის ფასი უდრის არხიდიაკონის და მესამე ხარისხის ვაჭრის სისხლს. „ვახტანგის“ კანონები § 32.

ხელედაც სათანადო შემოსავლით. მაგალითად, ცნობილია კახეთის სახლთხუცესი, ედიშერი ჩოლოყაშვილი, როგორც რუსეთშიაც სასახლის ტიტულით აღჭურვილნი ინიშნებოდნენ სხვადა-სხვა თანამდებობაზედ. „Двор. гр.“ 13, 15, 35, 43, 61. „Кр. ак.“ 4, 43, 49, 52, 57. „Церк. гр.“ 15—16, 124. აბანოს შემოსავლიდან ნახევარი სახლთხუცესისა არის. „დასტურლ. გვ. 6. მის სარგოზედ ib., გვ. 77).

სარდარი (სარდალი) სპარსულიდან ქართულად ნიშნავს მოთავეს, ერის ანუ მხედრობის თავს. შესაძლებელი იყო სარდრობა სხვა თანამდებობასთანაც ყოფილიყო შეერთებული, მაგალითად, სახლთხუცესობასთან („Кр. ак.“ გვ. 57. „Двор. гр.“ 124) ან მოურაობასთან დასავლეთ საქართველოში (ibid. 111), სარდრობასთან დაკავშირებული იყო შესაფერი გამორჩენა და შემოსავალი. („Двор. гр.“ 7). სარდარი წევრი იყო უმაღლესი სასამართლოსი („Церк. гудж.“ 79). სარდარი იგზავნება ქართლის ასაწერად („დასტურლ.“, 13).

სპასალარი—სპასპეტი სპარსულიდან ნიშნავს მხედართმთავარს. ვახუშტის სიტყვით, ამის ხელისანი იყვნენ ყოველთა სავაზიროთა და თათბირთა პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცესობა. ესევე შეჰკრებდა ლაშქართა და ხარკსა სამეფოსა და ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა. სპასპეტად საეკკლესიო მამულის მხედართა ინიშნებოდა მიტროპოლიტი (მაგ. რუსთავისა, „Церк. г.“ 2). სპასპეტი, სპასალარი და ამილბარი ერთმნიშვნელოვანი თანამდებობაა (ibid., 78).

სუფრაჯი (ჩუნჩერახი) „ამის ხელისა იყო მზარეულთ უხუცესნი, მეტაბლენი, მზარეულნი, მეპურენი, მერწყეულნი, მგოსანნი, მემწყობრენი, ბუკთა, ტაბლაკთა და სხვათა მცემელნი“ (ვახუშტი, ისტ. 8). სუფრაჯი სასახლის მოხელე იყო. ეს სახელწოდება სპარსული ენიდან არის შემოტანილი. („Двор. гр.“, 8. „Церк. гудж.“ 29.)

ფარეში — მსახური სახლის მორთულობისა, ფარეშთუხუცესი—ვახუშტი ამბობს: „ამის ხელისა იყო ფარეშნი, ნოხნი (ორხონი), კარავნი, ოთახნი, მნათენი და ყოველნი საგე-

ბელნი, დილიტონი (ტახტნი), სკამნი, სავარძელნი, სრა-ფარდაგნი (სამეფო დარბაზის ფარდა), ფარდანი და მნენი (მსახურნი) მისნი და მერწყეულნი“. სპარსულიდან ფარეში ნიშნავს ახლანდელს კამერდინერს (Кр. акты“, 9,43). ფარეშთავლადარს აბარია ტფილისში ბაღებთა შორის წყლით მორწყვის საქმე („დასტურლ.“, 17).

ქალანთარი—სამაზრო მმართველი და სახელმწიფო ხარჯის ამკრეფი. საყურადღებოა, რომ ქალანთარობა სხვა მრავალ-მნიშვნელოვან თანამდებობასთან შეერთდებოდა ხოლმე. ერეკლე მეფე გურგენიძეს აბარებს თელავის, თარულის, დიდუბის მოურავის და ქიზიყის ქალანთარის თანამდებობას („Двор. гр.“ 21).

უსტაბაში—ვაჭართა და ხელოსანთა თავი („Кр. акты“, 77) რომელიც ჰკრეფავდა საამქრო ხარჯს.

ქორიკოზი—ბერძნულად „მეფის მონაცალეს ჰქვიან“.

ქეთხუდი—ქალაქის წარმომადგენელი, რომელსაც ირჩევდნენ ქალაქის მცხოვრებლები („Кр. ак.“, 24, 37).

ქემხა (ქევხი)—სოფლის მმართველი („Двор. гр.“ 5, 19. „Церк. гудж.“ 72).

ყაფიჩი—დარაჯი, ყიფიჩბაში, მეკარეთა უფროსი. („დასტურ-ლამა“ გვ. 17).

ყულარაღასი—მონათხუცესი, „ამის ხელისა იყო ყოველნი მეფის როქის სპანი, თვინიერ ციხე-ქალაქთა“, (ვახუშტი, ისტ. გვ. 8).

ყულუღი—მოსამსახურე, მონა. ყულარაღას ჯამაგირი 12 თუმანი. იგი თავს ადგია ბატონს („დასტურ-ლამა“ 94).

ხასადარი—მეფის საკუთარი მოხელე („Двор. гр.“ 19) სხვადა-სხვა ხეობებში. „თერთმეტის თავს სამს წილს ზვრებიდამ მოურავი და ხასადარი გაიყოფს“ („დასტურლამა“, გვ. 9).

ხევისთავი—განგე ხეობისა. ამ თანამდებობის აღსრულებისათვის განწესებული იყო რიგი „დასტურ-ლამაში“ („Двор. ак.“ 14, 12, 18 ხევის-თავი—ущельные старшины). ნახე „ძეგლის დება“. შეადარე **თემისთავნი**.

ციხის თავი — კომენდანტი ციხისა (ვახუშტი, ისტ. 111, 112 და სხვა). „ციხის მცველი“ „ალბუღას კანონები“ § 97.

ჩუნჩურახი — (ნახე სუფრაჯი).

ჩოპანბეგი. „სამს წელიწადს ერთხელ წავა და დასთვლის ცხვარს“ („დასტურლ.“, 86). — счетный чиновникъ.

ჯაბადარი — (ნახე მეაბჯრე) ზედამხედველი ჯაბახანისა, არსენალისა.

ჯაბადართ-უხუცესობა — თავი ჯაბადართა. „კალმასობა“ გვ. 48.

ჯანიშანი — ხელმწიფის მოადგილედ მჯდომი გამგებელი. მის სარგოზედ ნახე „დასტურ-ლამა“ გვ. 31.

ჯარჩი — მაღლად ყვირილით მძახებელი მოხელე, სახალხოდ გამომცხადებელი მთავრობის განკარგულებისა. „იმათი სამსახური ეს არის: დილას მოვიდოდნენ, კარზედ იდგნენ, როგორც ხელჯოხიანი, ისრე გარედან კაცს დაითხოვდნენ... ბატონის ცხენზედ შეჯდომაზედ უმალ შესხდებოდნენ და ჯარს შესხდომას დაუძახებდნენ“. ჯარჩი სარდალსაც იახლებოდა. მას ეძლეოდა ჯამაგირიც და სურსათიც („დასტურლამა“ 106 გვ.).

ს. ხახანაშვილი

სპარსული «ვის ო რამინ»

და

ქართული „ვისრამიანი"

I

სპარსეთის გავლენა საქართველოზედ ეჭვს გარეშეა ყველასთვის, ვინც კი დაახლოებით უკვირდება ჩვენს ენას, პოეზიას და საერთოდ კულტურას. თუ ქართულს ლექსიკონს აიღებთ ხელში, იქ შეხვდებით მრავალს სპარსულს ან არაბულს სიტყვებს სპარსეთში გადაქმნილს, რომელთაც დაჰფარეს ძველი ჩვენი ტერმინოლოგია. მიუბრუნდებით სალიტერატურო ნაშთებს, თქვენს ყურადღებას იქცევს საპატიო რიცხვი სპარსულ ნაწერთა ქართულად გადმოღებულთა. მოინდომებთ ერის ზნეჩვეულების და სარწმუნოებრივი წარმოდგენის შესწავლას, აქაც ვერ ასცდებით სპარსეთის ზედგავლენას, ჩვენს დრომდის თვალსაჩინოდ გატარებულს და დარჩენილს ერის ცხოვრებაში. მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ჩვენნი წინაპარნი ითვისებდნენ უცხო ტომის კულტურას გარეგანის მხრივ, მექანიკურად. რამდენადაც მეტს დააკვირდებით ჩვენი მეზობლებისგან შემოტანილს საქართველოში გონებითს და ზნეობით განძს, იმდენად მეტად დარწმუნდებით, რომ ლექსიკონიც, პოეზიაც და ზნეჩვეულებაც ქართველს ერს გარდუქმნია, თვის ნაციონალურ გემოზედ მოუწყვია, განკერძოებითი ბეჭედი დაუსვამს და ადგილობრივი სამჭედლოს ქარცეცხლში გაუტარებია,—ერთის სიტყვით, აუცილებელი და სხვა-და-სხვა ტოტიდან მოდენილი წყარო ერთფეროვნების ღარში მოუქცევია, შეუგნია და შეუხორცებია გარეშე ერთა გავლენა იმდენად, რომ ახლა ჩვენთვის საძნელო გამხდარა, რა ვაკუ-

თნოთ თვით ქართველი ერის შემოქმედებითი ძალას და რა მივაწეროთ მითვისებულ განძს. მაგალითები გნებავთ? აი ბატონო! ორჯელ ვისმარე სიტყვა «განძი», იქნება ვერც კი გრძნობთ—იმდენად შეთვისებული გაქვთ,—რომ ეს ტერმინი სპარსული ენიდან: «განჯ» ნასესხები გვაქვს, საიდანაც წარმოსდგა სპარსულად «განჯინ» და ქართულად «განჯინა». პირველს შემთხვევაში შემოვიტანეთ სახეშეცვლილად და მეორე სიტყვას კი დაუცვამს სრულიად სპარსული ფორმა. სპარსულმა სიტყვამ «ქამარი» დაჭივარა ნამდვილი ქართული ტერმინი სარტყელი, სპარსულმა ხურდ—«ხურდა» შეჭამა ქართული «წვრილი», სპარსულმა «სებებ»—საბაბი დაიჭირა ადგილი ქართულს «მიზეზ»-თან. ჩვენ არ გამოვუდგებით სხვა მაგალითების მოყვანას,—ეს საკითხავი ღირსია ვრძო გამოკვლევისაც,—საკმარისად მიგვაჩნია ნათქომიც ჩვენი აზრის შესამაგრებლად. მაგრამ ერთი-ორი სიტყვაც უნდა მოვახსენოთ ზნე-ჩვეულების ხასიათზედ, რომ შემდეგ გადავიდეთ ამ წერილის პირდაპირ საგნის განხილვაზედ. საქართველოში აქამდის დარჩენილია წარმოდგენა ჯოჯოხეთზედ, ეშმაკზედ, ბეწვის ხიდზედ, ცეცხლის პატივისცემაზედ. დიდ წყევლად მიაჩნიათ, თუ ეტყვით ვისმე: კერა კი გაგიქრესო, ან თუ ბუხარში შეაფურთხებთ. ჩვენი «ეშმაკი» სპარსელების ეშმაა, რომელიც ემსახურებოდა არიმანს, ღმერთს მოწინააღმდეგეს ახურამაზდისას (ჩვენი არმაზი). ბეწვის ხიდი, რომელზედაც გაატარებენ ცხონებულს და წაწყმენდილის სულს, გადმოტანილია. საქართველოში ზენდავესტის მოძღვრებიდან. ყველას ამას, როცა დაუკვირდებით, შეიმცნებთ ქართველი ერის გონებითსა და ზნეობით მდგომარეობას, არკვევთ მის კულტურაში მეტად რთულს კვანძს, გადასლართულს ადგილობრივ და უცხო ტომის ზედგავლენის ნიშნებს. საბერძნეთის დაწყებითი კულტურაც ახლა ირკვევა ეგვიპტის და ბაბილონ-ასსურეთის ზედმოქმედებით. მაგრამ საბერძნეთის ერმა ამ შემოტანილს წყაროს თავის ბეჭედი დაასვა და განსპეტაკებული გადასცა მთელს კაცობრიობას. ჩვენშიც სწორედ ამნაირი პროცესი მოხდა. ქართველებმა სპარსეთის და ბიზანტიის კულტურა შეიტანეს კავკასიის ერთა ცხოვრებაში იმ სახით, როგორც ჩვენმა ხალხმა იგი შეიგნო და შეითვისა. ამით აიხსნება, რომ ოსებმა, ჩერქეზებმა, ყუმიკებმა და სხვ.

ქრისტიანობრივი სახელწოდებანი, საეკლესიო მოწყობილებანი, საერო პოეზიის მოტივები მიიღეს იმ სახით, როგორც მათ გადასცა საქართველოს გავლენამ. ამ საგანზედ ბევრი საყურადღებო ცნობანი მოიპოვება въ Матеріалахъ по археологіи Кавказа, вып. I и II. და ამ მოკლე ხანში გამოსულ ტომში Записки Кавказ. Отд. Рус. Геогр. Общ., кн. XVIII, ნახე წერილი ივ. პანტიუხოვისა „О Кумыкахъ. Антропологическій очеркъ“.

სპარსეთის ისტორია და ლიტერატურა, რომელიც ასე მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენს წარსულთან სამწუხაროდ აქამდის საკმარისად არ არის შესწავლილი. ქართული სიტყვიერების ნაშთთა შემსწავლელი, მეტადრე იმ ნაწარმოებთა, რომელნიც სპარსულით ნათარგმნებად ცნობილნი არიან, დიდს გაჭირვებაში ებმის, როცა საქმე მოინდომებს შედარებით გამოკვლევას, წყაროს აღნიშნვას, ანუ მასთან განსხვავების მოძებნას. რას იზამს ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი, როცა ქართულად გადმოღებულს «ლეილა და მაჯნუნის» ნიზამის ნაწერთან შედარებას განიზრახავს? როგორ გაითვალისწინოს სპარსეთის სიტყვიერება, როცა საუკეთესო წყაროდ მის გასაცნობლად სპეციალისტებისაგან აღიარებულია სპარსული ხელნაწერების კატალოგი ბრიტანიის მუზეუმისა? (Catalogue of the persian manuscripts in the British Museum. By Charles Rien, ph. D. 1881) მართალია, ეს კატალოგი სამს დიდს წიგნად არის გამოცემული, მაგრამ მაინც ხელნაწერების აღწერის მეტს თითქმის ვერას იპოვით! არის ერთი კიდევ წყარო სპარსეთის ლიტერატურის შესასწავლად, ეს გახლავთ Geschichte der schönen Redekünste Persiens mit einer Blüttenlese aus zweihundert persichen Dichtern. Von Joseph von Hammer. Wien 1818. მაგრამ აქ მოყვანილი ნაწყვეტები არ არის საკმარისი, რომ ქართველმა მეძიებელმა მათზე დაამყაროს გამოკვლევის შედეგი და წარმოსთქვას გარდაწყვეტილი აზრი. ეს დამკელებული წიგნი კიდევ მაინც საუკეთესო სახელმძღვანელოდ ჩაითვლება, ვიდრე პატარა წიგნაკები: Herm. Ethé. Die höfische und romantische Poesie der Perser. Hamburg. 1887 ანუ Barbie be Meynard. La poésie en Perse. Paris 1877. ამგვარივე ნაწყვეტი ხასიათის წიგნაკია J. Darmesteter. Les origines de la poésie persane. Paris. 1877. ეპიკურ თხზულებათა შესასწავლად რიგიანი გამოკვლევაა მოლისა წი-

ნასიტყვაობაში შაჰნამის თარგმანისა Le loire des rois par Abdoul Kasim Firdousi, frad. par J. Mohl. Paris. 1876. Preface I—CXII. აქ, ამ წინასიტყვაობაში აღნიშნულნი არიან ის ნაწარმოებნი, რომელთაც კავშირი აქვთ ფირდოუსის გმირებთან, შეადგენენ შაჰნამეს გაგრძელებას ან იქ მოყვანილი ამბების განვითარებას და გაზვიადებას.

ასეთი მდგომარეობა სპარსული ლიტერატურის ისტორიისა იმით აიხსნება, რომ აქამდის მომატებული ნაწილი სპარსული ხელნაწერებისა არ არიან აღბეჭდილნი. ჩვენთვის დიდს დამაბრკოლებელს გარემოებას შეადგენს მონოგრაფიული გამოკვლევის უქონლობაც. რომელიმე ერის ისტორიის შემსწავლელი ვერ იტვირთებს ერთს და იმავე დროს გამოიკვლიოს შეუმუშავებელი მასალა იმ ტომთა ნაშთებისაც, რომელთაც ჰქონია გავლენა აღძრული საკითხავის ბედიღბალზედ. ამიტომაც ქართული სიტყვიერების ისტორია, —იმ ნაწილში მაინც, რომელსაც სპარსეთის ზედმოქმედება ეტყობა,—დარჩება წყვდიადით მოცული, ვიდრე ევროპელთა მეცნიერნი არ მოგვაწოდებენ სპარსეთის ლიტერატურის ისტორიას.

თითო-ოროლა ჩვენი ლიტერატურის განძიდან შეიძლება შევადაროთ სპარსულს დედანს, რადგანაც დრო-გამოშვებით იბეჭდებიან აქაიქა სპარსული სიტყვიერების ნაშთთა შესახებ გამოკვლევანი. იმ რომანზედ (პოემაზედ?), რომელზედაც ჩვენ განვიზრახეთ ბაასი, არსებობს ამ ჟამად გერმანიულად წერილი კრაფისა*) (Zeitschriff d. Morgenl. geselschaff, B. XXIII) და რუსულად ბარონ შტაკელბერგის (Восточ. Древ. т. II. в. I). ამ ორ გამოკვლევით ვისარგებლებთ ჩვენი წერილის მასალად და როცა საჭირო იქნება მივმართავთ თვით სპარსულს დედანს.

«ვისრამიანზედ» ჩვენს მწერლობაში სამი აზრი ტრიალებს: ერთნი ჰფიქრობენ, რომ იგი ორიგინალურია და დაუწერია თამარმეფის დროს სარგის თმოგველს, მეორენი იმ აზრს ადგანან, რომ «ვისრამიანი» გადმოთარგმნილია სპარსულით და მესამენი—რომ ქართველ მთარგმნელს მხოლოდ გაუგონია «ვისის და რამინის» ამბავი და თავისით დაუწერია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულს «ვის-

*) ამ მწერლის აზრით გურგანს „ვისრამიანი“ ლექსად გადუკეთებია 1042—1055 წწ. განმავლობაში.

რამიანს» წყაროდ «ფალაური» დედანი ჰქონია და თავისებურად შეუმუშავებია. ამ აზრის განსამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ სპარსული «ვისრამიანის» შინაარსს, როგორც იგი დაუცვავს პოეტს გურგანს მე-XI საუკუნეში. რადგანაც ქართულად ეს მოთხრობა ყველას წაკითხული აქვს, აღარ ამოვუყვებით გვერდით ქართულ «ვისრამიანის» შინაარსის გადაცემას მეტადრე იმიტომ, რომ ამ მხრივ განსხვავება მეტად უმნიშვნელოა შედარებისთვის.

II

სატახტო ქალაქს,*) მერვს, ცხოვრობდა მეფე მობედი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი ქვეყანა. მობედის წინ თავს იხრიდნენ არამც თუ ჩინეთის და რომის იმპერატორნი,—თვით ცის მანათობელნიც მასთან ამხანაგობით ამაყობდნენ. ერთხელ, სამეფო ნადიმზედ მობედმა შენიშნა გათქმული სილამაზით ქალი შეხრუ და მოისურვა მისი ცოლად შერთვა. შეხრუმ უარი განაცხადა და მოახსენა შაჰს, რომ იგი უკვე გათხოვილია, კეთილად ცხოვრობს კარენთან და ჰყავს რამდენიმე მამაცი ვაჟიშვილი. რაკი შეხრუსთან დაქორწილება შეუძლებელი აღმოჩნდა, მობედმა სთხოვა, რომ ქალიშვილი მაინც, თუ ოდესმე ბედნიერს ცოლქმარს დაებადებათ, მიათხოვონ მას, მერვის შაჰს. შახრუ დასთანხმდა და პირობით შეეკრა მეფეს ჯერ დაუბადებელი ქალი მისთვის მიეთხოვებინა. აქედან იწყება მობედის უბედურება. გავიდა რამდენიმე წელიწადი და შეხრუს დაებადა «მზეთ უნახავი» ქალი ვისა. შეხრუს დაავიწყდება მიცემული შაჰისათვის სიტყვა და მიათხოვებს თავის ასულს, თვისსავე ძმას ვიროუს. მაგრამ ქორწილის დღეს, ნადიმის დროს, გაჩნდება ზერდი, ძმა მობედისა, რომელიც დაუყოვნებლივ ითხოვს დანიშნულის წაყვანას მერვში. ვისა ცივს უარზედ არის, მოხუცის შერთვა არ იამება—და რაკი შეიტყობს ამ ამბავს მობედი, წამოვა

*) სპარსული „ვის ო რამინ“ გამოიცა 1865 წ. კალკუტაში: Wis o Ramin, a Romance of ancient Persia, transl. from the Pahlavi and rendered into verse by Fakhr Al-Din Asad Al-Astarabadi, Ad-Fakhri, Al-Gurgani. Edited by Captain W. N. Lees and Munshi Ahmad-Ali.

აუარებელი ჯარით შესამუსრავად კარენისა, ვისას მამისა. თუმცა ომში დამარცხდება მობედი, მაგრამ საჩუქრებით მოულბობს შესრუს გულს და მას შეაპარებენ სასახლეში, საიდანაც ძალდატანებით წაიყვანს საწყალს ვისას მერვში. გზაში ქარმა აათრიალა ჩარდახი კუბოსი, სადაც ჩააბმანეს ვისა და ყველასათვის გულწამტაცი ქალი გამობრწყინდა რამინის, მობედის ძმის, წინაშე. რამინი მთლად აენთება სიყვარულით სარძლოსადმი. როცა ვისა მოიყვანეს მერვში, ვერაფრით ვერ დააშოშმინეს და დაამშვიდეს სასოწარკვეთილებამდის მისული ქალი, თუმცა თან გამოყოლილი მოახლე ცდილობდა ცბიერებით დაერწმუნებინა თვისი გაზდილი, რა დიდი ბედნიერება მოელის მას მობედის სასახლეში. რამინიც, დამწვარი ვნებათა ღელვით, მიჰმართავს ამავე ცბიერ მოახლეს და დაითანხმებს შუამავლობა გაუწიოს ვისასთან. პირველხანში ვისა უარზედ არის, მაგრამ როცა იგი ნახავს რამინს, მისს გულში გაიღვიძებს სიყვარულის ნაპერწკალი. თუმცა ვისი ცდილობს ჩააქროს ანთებული გრძნობა, მაგრამ «შეუბრალებელი სიყვარულის მაცდური დასცემს სულში გასისხლიანებულს კლანჭს» და რა ჩაუკლავს ერთგულების და მოვალეობის სხივს, «ვნებათა ღელვა დაუბრმავებს გონების თვალთახილვას». შემდეგ, როცა მობედს გარედ დაიგულებენ, ვისა მიიღებს თავისს ოთახში რამინს და აქ მიეცემიან აღგზნებულს ნეტარებას. ასე გაატარებს რამინი ორს თვეს სატრფოსთან სიყვარულის მორევში ჩათანთქმული, ვიდრე არ მოუვა მობედისაგან მიწვევის წერილი სანადიროდ მიდიაში. შაჰის ბრძანებით თან წაიყვანს ვისასაც თავის მოახლით. ერთს დილას მოახლე გააღვიძებს ვისას და მოახსენებს გამოეთხოვოს რამინს, რომელიც ემზადება შორს სამგზავროდ და სომხეთში სანადიროდ. მობედი ახელს თვალებს და სასტიკად გაუწყრება ქალბატონსაც და მის მოახლესაც. ქმარი ჯერ კიდევ თვალახვეულია, არ იცის კავშირი ვისას და რამინს შორის, თუმცა ქალი უკვე გამოუტყდა ვიროის, თვისს ძმას და წინანდელს საქმროს. მაგრამ არ არს-რა დაფარულ, რაც არა გამომჟღავნდეს! ერთხელ, როცა მობედი მერვის სასახლეში უჯდა გვერდით «ვერცხლებრივ თეთრს ჰულიანს ვისას» და უმტკიცებდა მეუღლეს, რა ბედნიერება ხვდა მას წილად, ვისამ ვეღარ დაფარა აღელვებული გრძნობა და გამოუცხადა

ქმარს, რომ იგი მასთან ყოფნას ბედნიერებად არ სთვლის, რადგან გული განუყოფელად დაუსაკუთრა რამინს. განრისხებული შაჰი გაგზავნის უკან ვისას მახაბადში და აქ ჭმუნვარებით აღვსილი ქალი «დღე და ღამ გაჰყურებს ხორასნის გზას».

რამინიც თუმცა ფიცს აძლევს მობედს დაივიწყოს ვისა, ვერაფრით დამშვიდებულა: ნადირობის და საცოლოს ძიების მაგივრად კუხისტანიდან რამინი მიეშურება მიდიაში და აქ შვიდს თვეს გაატარებს ვისასთან დამათრობელს ალერსში. გაიგებს მობედი რამინისაგან ფიცის შელახვას და აღიჭურვება ჯარით მის დასასჯელად, მხოლოდ დედის ჩაგონებით შაჰი თვისს ძმის მოდრეკის მაგივრად, გაცეცხლებული აღიძვრის უდანაშაულო ვირუს წინააღმდეგ, მაგრამ რაკი დარწმუნდება, რომ ვირუს, ძმას და ვისის უბედურს საქმროს ცოდო არაფერში არ მიუძღვის, მობედი დაწყნარდება, აპატიებს მოღალატე ძმას და ორგულს ცოლს და სამივენი დაბრუნდებიან მერვში, სადაც რამდენიმე ხანს მშვიდობით სცხოვრობენ.

თუმცა მობედი გარეგნობით შეურიგდება ცოლს და ძმას, მაგრამ ეჭვი მის გულში ისევ მოქმედობს. ამიტომ მოითხოვს ვისასგან, რომ მან ერთგულობაზედ დაიფიცოს ცეცხლით მოგვების წინაშე. ვისა რა დაინახავს აღგზნებული ცეცხლის ალს, ცამდის ასულს, შეშინდა, შაჰმა დაწვაც არ განიზრახოსო და ამიტომ სთხოვს რამინს გააპაროს იგი მერვიდან. შეყვარებულნი გაიქცევიან და შეეფარებიან ქალაქს რეიში ბეხრუზას, შერუაშვილის, სახლში. მწუხარე და გულ-მოკლული მობედი დიდ ხანს და უნაყოფოდ ეძებს თავისს ახალგაზდა ცოლს. ვისას დედა გაიგებს ამ ამბავს და ურჩევს მობედს შურის ძიებაზედ უარი სთქვას და იგი უპოვის გაქცეულს დედოფალს. მობედი დასთანხმდება და ვისა რამინითურთ ისევ დაბრუნდებიან მერვში: შეყვარებულთა მისვლა-მოსვლა, რასაკვირველია, არ ისპობა და მათი გაბედულობა იქამდის მიაღწევს, რომ ერთს ღამეს ვისა დააწვენინებს გამდელს თავისს ადგილს ქმრის სარეცელზედ და თითონ გაიპარება რამინთან. აქაც მოტყუებული ქმრის დაშოშმინება ადვილად მოახერხა უკეთურმა ვისამ: როცა მობედმა დაიწყო ყვირილი, ვისამ მოირბინა და დაარწმუნა შაჰი, რომ მისს

ეჭვიანობას საფუძველი აკლია და აიხსნება იგი მხოლოდ მობედის ძალზედ შეზარხოშებით. საწყალი ქმარი გაჩუმდება.

გავიდა რამდენიმე ხანი. შაჰი მოემზადა რომის იმპერატორთან საომრად და ვისას ყურისგდებს ჩააბარა ზერდას, თავისს ძმას. ჯარში წაერია რამინიც, მაგრამ გურგანში გზიდანვე დააბრუნა შაჰმა თავის ავად გამხდარი ძმა. რამინი გამოეშურა მერვში და რაკი გაიგო, რომ ვისა მიუდგომელ ციხეში შეუფარებიათ, გასწია სატრფოს სანახავად. ნიშნიან შვილდისარს ესვრის ციხეს და გააგებინებს ვისას, რომ იგი დაბრუნდა და ეძებს საშუალებას მასთან შეიპაროს. ვისა და მოახლე მოხერხებით შეაპარებენ რამინს და აქ დაჰყოფს იგი ათს თვეს საყვარლის გვერდით. მობრუნდება მობედი და შეიტყობს თვის მეუღლის ურცხვობას და პირველად განურისხდება ზერდს, რომელსაც ჩააბარა ვისას თავდაცულება. რამინი კი თუმცა გაიპარება ოთახიდან, მაგრამ შაჰი იპოვის თოკს, რომელზედაც ჩაუშვებს ციხიდან ქალბატონი მოახლის დახმარებით. ამ საქციელისთვის მობედი გალახავს ცოლს და მის მოახლეს-გამზრდელს.

მობედი დაბრუნდება მერვში და აქ სუსტის ხასიათის წყალობით მოინანიებს, მოაყვაინებს ვისას, აპატიებს რამინს და იქამდის მოლბება, რომ ცბიერს მოახლეს გადასცემს სასახლის გასაღებს, ვიდრე თვით დაჰყოფს ქაბულს. მოახლე ახლა კი გაჭირვეულდება და არ უშვებს ვისასთან რამინს, რომელიც ხეტიალის შემდეგ მოიძინებს მობედის ბაღში. ვისა მაშინ გაეხვევა ჩადრში და გაიპარება რამინთან. ამ დროს მობედიც ეჭვიანობით აღძრული გაჩნდება მერვში. რამინი კიდევ გაუძვრება ბაღიდან და განრისხებული შაჰი მოიწადინებს ვისას მოკვლას. მაგრამ ზერდის ჩარევა და მფარველობა გადაარჩენს ვისას.

ეს შეტაკებაც გათავდება მობედის და ვისას შერიგებით, თუმცა იგი გასტანს მეტად მოკლე ხანს. ერთს მშვენიერ ზაფხულის საღამოს მგოსანი «ქუსანი» მობედის თანდასწრებით ლექსად აქებდა ვისას და რამინის სიყვარულს. ამ ლექსში გამომჟღავნდება სამარცხვინო მდგომარეობა შაჰის, მოხდება ჯერ ლანძღვა და შემდეგ კრივიც მობედსა და რამინს შორის. ამას შემდეგ რამინი დაანებებს თავს მერვს და დაინიშნება შაჰისგან გამგედ რეის, გურგანის და კუხის-

ტანისა. ერთს მაზრაში, გურაბს, რამინი ნადირობის დროს შეხვდება ლამაზ ქალს გულას, რომლის შერთვასაც მოიწადინებს. გულა დასთანხმდება იმ პირობით, რომ რამინმა დაივიწყოს ვისა. რამინი ნიშნად ახალი სატრფოს ერთგულებისა მისწერს წერილს ვისას და გამოუცხადებს, რომ ამიერიდან ყოველი კავშირი მათ შორის მოსპობილია. გულშემოყრილი ამ მწუხარებით ვისა გაუგზავნის რამინს გამზდელს, მაგრამ ამ უკანასკნელს ლანძღვით გამოისტუმრებს უკან. მაშინ ვისა დააწერინებს მუშკინს რამინთან ბარათს, რომლითაც ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული სიყვარული. *)

საბედნიეროდ, რამინს და გულას შორის ჩამოვარდა უთანხმოება, გულგრილობა დაეტყოთ ორთავეს და რამინი განიძრახავს ისევ ვისასთან დაახლოებას. რამინი მოელაპარაკება გულას მამას და გასწევს მერვისკენ. გზაში აზინი გადასცემს ვისასაგან წერილს და აუვსებს რამინს გულს სიხარულით. მერვში გამწყრალი მოტრფიალენი შერიგდებიან, თუმცა ვისა პირმოთნეობით შეუბრალებელი არ უშვებს სასახლეში რამინს, რომელიც იძულებულია ყინვაში და ბუქში გაატაროს ეს დრო. მოთმინებიდან გამოსული რამინი აპირობს უკან წასვლას და მხოლოდ ახლა მისცემს ვისა მას ხელს და ერთს თვეს გაატარებინებს სასახლეში. ერთს ღამეს რამინი გავა მერვიდან და პირველი სადგურიდან სატასტო ქალაქიდან დიდის ზეიმით დაბრუნდება მერვს. მობედი გახარებული ძმის ნახვით გაიწევს სანადიროდ გურგანისკენ. მოახლის რჩევით რამინი ახლა კი გაბედავს ძალდატანება ისმაროს. ღამე გამოიპარება მეფის ბანაკიდან ორმოცი თანამხლებელითურთ ქალის ტანისამოსიანი და გაჰყვება ვისას, რომელიც ამ დროს ბრუნდება საზორავიდან, სადაც მან შესწირა სამადლობელი მსხვერპლი. დადგა ღამე და შეთქმულები დაეცნენ კარის მცველებს და თვით რამინი მოჰკლავს ზერდს, თვის ძმას. რა დაიჭერს მთელს სასახლეს და მიითვისებს სამეფო განძს, რამინი გასწევს დეილემ და გილანისკენ.

---

*) „ვისის და რამინის“ მიწერ-მოწერამ განსვენებულს პროფ. დ. ჩუბინაშვილს მისცა საბუთი ეს რომანი შეედარებინა ჟანჟაკ-რუსოს „ელოიზასთვის“. ჩვენ სხვა ადგილს შევნიშნეთ, რომ ეს შედარება მხოლოდ გარეგანს ფორმას შეეხება და არა შინაარსს.

მოსყიდულნი გულუხვი საჩუქრებით, დეილემის და გილანის მცხოვრებთა მოთავენი გადუდგებიან მობედს და მიემხრობიან რამინს. შაჰი რაკი შეიტყობს ძმის აჯანყებას, დაბანაკდება ქალაქ ამულას ახლოს. შემთხვევით ომი არ მოხდება ძმათა შორის: მოულოდნელად ბანაკში გაჩნდება ეშვი, რომელიც დაჰფლეთს მობედს და მასს ცხენს. შაჰის სიკვდილის შემდეგ რამინი, ვითარცა კანონიერი მემკვიდრე, აღიარებულ იქმნა მერვის მეფედ. დიდ ხანს იმეფა კეთილად და უხვი წყალობის გაცემით მოიპოვა ერის პატივისცემა. როცა ვისამ განუტევა სული, რამინმა უარჰყო მსოფლიო არარაობა, გაუნაწილა სახელმწიფო თვისს ორს შვილს და თვითონ შეეფარა ცეცხლის თაყვანის მცემელთა ტაძარს, სადაც გაატარა უკანასკნელი დღენი ლოცვით და ვედრებით. ამით თავდება სპარსული პოემა. *)

III

როგორც ხედავთ დასასრული ამ მოთხრობისა არ ეთანხმება ჩვეულებრივ წარმოდგენას ტრაგიკული ვნების და მის გამოხსნის შესახებ. მართალია, მოუდრეკელი ვისას სიყვარული იწვევს ჩვენს თანაგრძნობას, მაგრამ ვერვინ იტყვის, რომ დათრგუნვა შეყვარებულთა-მიერ მათი განმაშორებელ გარემოებისა არის შედეგი ვისას და რამინის ზნეობითი ღირსების უპირატესობისა დანარჩენ პირთა წინაშე. მეტად ანჩხლი და ამასთანავე სუსტი მობედი ვერ ჰბადავს მკითხველში სიმპატიას და თუმცა პოეტი გვაუწყებს, რომ მობედმა ჯერ დაუბადებელი ქალის დანიშვნით გამოიწვია ღვთის განგების რისხვა, იგი ასურათებს მას უფრო სასაცილოდ და სამარცხვინოდ, ვიდრე აუცილებელ და ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩაყენებულ გმირს. აგრეთვე ვისა და რამანიც არ არიან წმინდა წყლის გმირები: ცბიერებით და მოხერხებით აღჭურვილნი, ხშირად ისეთს საშუალებას მიჰმართავენ, რომელიც ასუსტებს ჩვენს თანაგრძნობას. მშვენივრად

---

*) ვისაზედ და რამინზედ ნახე კიდევ Ethé Hermann. Essays und studien (Берлинъ, 1872), რომელიც ადარებს ამ რომანს ტრისტანის და ისელდას თავგადასავალს კელტურს მოთხრობაში გერმანიელი პოეტის ჰოტფრიდ სტრასბურგელის-მიერ.

არის დასურათებული ვისას გამძლელი; თანამოზიარე და თანაშემწე შეყვარებულ მეგობართა. იგია საუკეთესო წარმომადგენელი იმ არამზადა ხასიათისა, რომლითაც სავსეა სპარსეთის ისტორია. ყველაზედ პატიოსანი და თანამგრძნობის ღირსი არის ზერდი, ძმა მობედისა. იგი ზნეობით და ძმის ერთგულობით დასაჩუქრებულია პოეტისგან, თუმცა რომანში უჭირავს მეორე ხარისხოვანი ადგილი.

რასაკვირველია, მე-XI საუკ. პოემას არ მოეთხოება ჩვენის დროის მასალის ყალიბით ჩამოსხმა. გულუბრყვად და გულწრფელად ნაამბობი გაიძვერაობა გურგანის გმირებისა შეადგენს ერთს უძვირფასეს მხარეს ამ პოემისას.

გურგანის პოემის უმთავრეს ღირსებად მიაჩნიათ ის მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს ძველი სპარსეთის კულტურის ისტორიისათვის. «შაჰნამე»—რომელსაც ქართულად უსაფუძვლოდ (მთელს პოემას) უწოდებენ «როსტომიანად»,—გვაცნობებს მხოლოდ გარეგან მხარეს სპარსეთის ცხოვრებისას. «ვისრამიანში» ომებს და პოლიტიკურ საქმეებს დათმობილი აქვს მეტად მცირე ადგილი, რადგან რომანტიული ინტერესი შეადგენს დედაძარღვს მთელის პოემისას. «შაჰნამეში» ქალები შედარებით კაცებთან ჩრდილში არიან დაყენებულნი, «ვისრამიანში» კი ქალი წინ არის წამოყენებული, მის გულის მოძრაობას პოეტი უძღვნის საუკეთესო სტრიქონებს და თვით მალღონეს. ამ განსხვავებასთან «შაჰნამეს» და «ვისრამიანს» აქვთ ბევრი საერთო მხარეც, დაკავშირებულნი არიან დროთა ვითარების გავლენით. ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ფიქრი და გრძნობა მომქმედ პირთა ორსავე პოემაში ერთგვარი, ერთფერი და ერთგემოვანია. ირანის გმირები თავისუფალს დროს ატარებენ ნადირობაში ანუ ქეიფში, ჰცურავენ სიყვარულის მორევში და სტკბებიან მგოსანთ-ჩანგთა ხმებით. რამინი საუკეთესო წარმომადგენელია მაშინდელ მოქეიფე დიდკაცისა: უშიშარი მონადირე, თაყვანისმცემელი ღვინის, ქალის და მუსიკისა იპყრობს ვისას გულს და შემდეგ იმორჩილებს ახალს სატრფოს. თითონ მშვენივრად უკრავს ჩანგზედ და ქართული ტექსტის მიხედვით, ეს სამუსიკო იარაღი იმის მოგონილია, *) სწერს ლექსებს და გურგანის პოემაში ხშირად მო-

*) პირველი ჩანგი მან მოიგონა. (ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ი, გვ. 452, ტფილისი 1884).

ყვანილია ნაყოფი მისი აღმაფრენისა (307, 12), «განუწყვეტლივ» მთვრალია და ჰყიდდის ღვინის გულისთვის საკუთარს ტანსაცმელს.

სარწმუნოებრივი წარმოდგენა «ვისრამიანში» იგივეა, რაც «შაჰნამეში». პოეტი ასურათებს ზნეობის და ჩვეულების მხრივ სასანიდების ხანას სპარსეთის ისტორიაში. თუმცა შესავალში გურგანი ადიდებს მაჰმადიან მეფეს და ასვამს ისლამის ბეჭედს, მაინც პოემა სავსეა ზარატუშტრის შეხედულებით. ამ სწავლის სიმტკიცით აიხსნება ის გარემოება, რომ ვისას მიათხოვებენ მისსავე ძმას ვიროს, რადგან «ავესტას» მოძღვრებით ასეთი ქორწინება აკრძალული კი არა, ნაბძანები და სასურველი იყო. ზეციურ მანათობელთა გავლენა კაცის ბედიღბალზედ გატარებულია გურგანის ქმნილებაში. მზე, მთვარე და ვარსკვლავნი მობედის ვეზირებად ირიცხებოდნენ, მერკური მეფის შიკრიკი და მის ბძანების დამტარებელი იყო.

«ავესტაში», სადაც მოთხრობილია ზარატუშტრას მოძღვრება, უკვე აღნიშნულია კვალი ზეციურ მნათობთა თაყვანის-ცემისა. ამ მოძღვრებაზედ აგებულს, «ვისრამიანშიც», აქა-იქა გვხვდება ასტროლაბთა რჩევანი და ვარსკვლავთა გავლენა კაცის ცხოვრებაზედ. ამავე ძველი სპარსეთის სწავლის კვალს უჩვენებს ცეცხლის თაყვანისცემა და მითი განწმენდა. მობედი ფიცს ართმევს ვისას ერთგულებაზედ და ამ ფიცს უკანასკნელი აღიარებს ცეცხლითა:*) «აწ მე დიდსა ცეცხლსა დავაგზებ, ალვასა და მუშკსა დავაკუამლებ; ამა ყოველთა დიდებულთა და ლაშქართა წინა შემომფიცე ცეცხლითა, მას შუა გამოიარე, რომელ მასვე წამსა რა შემომფიცო, შეცოდებისაგან სულითა წმიდა იქმნე». (გვ. 148). პოემის დასასრულში კიდევ ვკითხულობთ ისეთს ადგილს, რომელიც მოწმობს ირანის რელიგიის ზედგავლენას: «ვისი ჩამოვიდა და ჯიმშედის აგებულსა საცეცხლესა მოვიდა ლოცვად» (გვ. 438).

თვალის კვრა და ჯადოქრობა სპარსულს ლიტერატურაში იშვიათს მოვლენას არ შეადგენს. «ვისრამიანში» ამგვარ ცნობას ვპოულობთ იქ, სადაც ვისას ძიძა შეუკრავს მოაბადს კაცობას: «მე-

---

*) შაჰნამეში მეფე ქეიქაუზი თავისს შვილს სიავუშს ატარებს აღზნებულს ცეცხლში. ვ ე ლ ე რ ს ი ს გამოცემა, II, 549, 494—95.

ძამან სპილენძი და ძვალი მოიღო და გრძნებითა რათმე ტილისმა შექნა: ორი მოაბადის სახე და ერთი ვისისი; შეულოცა რამე რკინითა ერთმანერთს ზედა მაგრად შეაჭედნა. ძიძა მაგალითად გრძნეული იყო და ეს ორი ჩასხიში ასრე ვითამე შექნილი იყო, რომე ვირემცა ერთგან დაჭედილი იყუნე, მოაბად ვისსა ზედა შეკრული იყოს და თუ ვინ გახსნიდა, მასვე წამსა გაიხსნებოდა». (გვ. 65) ძველს სარწმუნოებრივს წარმოდგენაში ცეცხლი და რკინა დაკავშირებულნი იყვნენ მითოლოგიასთან, ჰქონდათ უზენაესად მინიჭებული ძალა.

გურგანის პოემაში მოხსენებულნი არიან სპარსეთის განთქმულნი გმირები: ალექსანდრე დიდი, მეშვილდისრე არიში, ბრძენი ხოსროი და სხვანი. ქართულში ამათ მაგივრად გვხვდება ამირანი: «ადრე აოხრდების ქალაქი, რომე ორნი ამირანი დგენ» (გვ. 388)... «შენი ძმა ვირო გიშველის,—ეუბნება გულდათუთქული რამინი ვისას,—სხვად ყველა ამირანი და ხელმწიფენი თქვენისა სამსახურისათვის მსახურისაებრ სარტყელსა შეირტყმენ» (გვ. 425). საყურადღებოა კიდევ ერთი ადგილი, სადაც ვკითხულობთ სახელებს «სოლომონ და ბალავ», რომელსაც ავტორი ადარებს მობედს. ბალავ შეიძლება «ბალავარი» იყოს, რომელიც უკვე ცნობილია ქართულად («სიბრძნე ბალავარის») მე-XI საუკ.

ზარატუშტრის მოძღვრებას ეკუთვნის აგრეთვე მოხსენებული ქართულს «ვისრამიანში» ეშმა (გვ. 88), როგორც ხმარობს შოთა რუსთაველიც მოკვეცილი ფორმით ახლანდელი ეშმაკის მაგივრად. ეშმა იყო არიმანის მსახური და, როგორც მოგეხსენებათ, ეს არიმანი ირიცხებოდა ახურამაზდის (ჩვენი «არმაზის»)—კეთილის ღმერთისა—მოწინააღმდეგედ. ამ ძველ სარწმუნოებრივ წარმოდგენასთან «ვისრამიანში», როგორც გადააკეთა გურგანმა, მოსჩანს კვალი მაჭმადიანთ და არაბთა გავლენისა. რასაკვირველია, რომ «მუსულმანობა» (გვ. 1) «ფალაურს» ტექსტში არ მოიძებნებოდა. აქ უნდა მკითხველს გავუზიაროთ ისტორია ამ პოემისა.

როგორც თვით გურგანიც, მე-XI საუკ. მწერალი, მოგვითხრობს და ჩვენს ვისრამიანში ვკითხულობთ, ეს რომანი პირველად დაწერილი იყო ფალაურს («ფეჰლეურს») ენაზედ. ვახფურ მოუთხრობს

სულტანს ტუღლურბეგს ვისის და რამინის ამბავს, რომ მან იცის ამ უკანასკნელთ შესახებ: «კარგი ამო ამბავი, მეცნიერთაგან თქმული და შეწყობილი ფალაურითა ენითა. და ფალაური ენა თუ დიდად არვინ იცის, ვერვინ თარგმნის. აწ თუ შენ მიბრძანო, მე გამოვაცხადო მათი და ვთარგმნო სპარსულად». (გვ. 3) *). ეს მეელი ფალაური ანუ ფეჰლევური წყარო ვისის და რამინის რომანისა აქამდის არ არის აღმოჩენილი და სარწმუნოდ მიგვაჩნია ის აზრი, რომ ჩვენი «ვისრამიანი» გადმოღებულია ქართულად პირდაპირ ამ ფალაურის მოთხრობიდან და არა იმ პოემიდან, რომელიც მე-XI საუკ. ლექსად შექმნა გურგანმა სპარსულს ენაზედ ამავე ფალაური წყაროს ხელმძღვანელობით. **) «გურგანის» პოემით რომ ესარგებლა ქართველს მთარგმნელს ლექსებს მაინც ჩაურთავდა, გურგანის მიბაძვით, მეტადრე თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენს წინაპრებს მეტად უყვარდათ ლექსწყობითი მოთხრობა იმისთანა საგნებისაც, სადაც პროზა უფრო შესაფერი იყო. გარდა ამისა სხვა სპარსული ნათარგმნი მოთხრობანი ყოველთვის ლექსებით შემკობილნი არიან, ან ლექსად დაწერილნი, როგორც კი დედანი უჩვენებდა.

«ვისრამიანის» ქართულად გადმოღების უძველესს დროს ამტკიცებს თვით ენა მოთხრობისა. მართალია, ჩვენ არ გვაქვს შემუშავებული «ისტორიული გრამმატიკა ქართულის ენისა», რომლის მიხედვით შეგვეძლოს ეს თუ ის ნაწერი განსაზღვრულ პერიოდს მივაკედლოთ, მაგრამ დაახლოვებით მაინც შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ზმნათა ანუ სახელთა ფორმანი იმგვარად არიან ნახმარნი, რომელთაც დაჰკარგეს თავიანთი სახე შემდეგ ხანებში. მაგალითად, ჩვენი ტექსტი იძლევა ფორმას «წაე», «მოე» (გვ. 131, 271), «ქუე ზი, ზე ადგე» (431), რომელთაც უახლოესს დროს ვეღარ ვხედავთ: საყურადღებოა, პირველი ნაწილი სიტყვისა «ზი» და «ზე ადგე»,

*) ერთხელ კიდევ შეგვხვდება ცნობა, რომ უწინდელი ტექსტი „ვისრამიანისა“ დაწერილი იყო ფ ა ლ ა უ რ ა დ: ხუარასანი ფალაურითა ენითა ამოსა და მომცემსა ქვეყანასა ჰქვიან (გვ. 128).

**) გურგანიც წინასიტყვაობაში ამბობს, რომ „ფალაური ენით არის დაწერილი ქება „ვისრამინისა“, სუყველას არ ესმის ეს ენა და კიდეც რომ კითხულობდეს კაცი, მაინც მისს შინაარსს ვერ გაიგებს სუყველა.

ახლანდელ ფორმის მაგიერ «ზისარ» და «ზეზე», ესე იგი ძველად ისმარება ორკეცი—ზმანა და თანდებული*) და შემდეგ კი მის ნასევარი. ამ შემთხვევაში ქართულს თანდებულს გამოუვლია იგივე პროცესი, რომელიც აღნიშნულია საერთოდ ენათა მეცნიერებაში; რთული ფორმიდან იბადება მოკლე ფორმა, გრძელს სიტყვას ეკვეცება რომელიმე ნაწილი. ამ საერთო კანონიდან გამოკლებას შეადგენს ქართული «ეშმაკი», რომელიც «ვისრამიანში» და «ვეფხისტყაოსანში» ისმარება იმ ფორმით, როგორც ზარატუშტრას მოძღვრებაშია: «ეშმა». აქედან ორ ნაირი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: ან უძველესს ფორმას «ეშმა»-ს შემდეგ დაერთო ნაწევარი «კი» ან «ეშმას» გვერდით ძველადანვე ისმარებოდა «ეშმაკი»-ც, რომელიც დარჩა ჩვენს დრომდის.

როგორც ჩვენს ყველა ძველს ნაშთებში, «ჳ» ისმარება ყოველთვის, როცა მას მოსდევს ხმოვანი ასო: გჳარი, თჳალი, გჳისხნა, თქჳენ. ახლანდელს რბილს «თ» უდრის უძველესად მაგარი «ტ»: «ტილისმა» (გვ. 65), ახლანდელი «თილისმის» მაგიერ. «რ» არ მოვარდნია სიტყვას ერთმანერთს (შეადარე ახლა ერთმანეთს ერთმან+ეთს მაგივრად ერთმან+ერთისა). სიტყვა «პილო» «ვისრამიანში» ისმარება ისე, როგორც სპარსულში—«პილო», ესე იგი არ ებმის თავში ს, როგორც მობმული აქვს სიტყვას «სპარსი» (შეადარე რუსული персъ და სხვ. ენებში). კითხვითი ნიშნისთვის ისმარება ხმოვანი «ა»: ჰპოვეა («ვისრამიანი» გვ. 240).

ჩვენა ვთქვით, რომ ქართულად «ვისრამიანი» არ არის გადმოღებული «გურგანის» პოემიდან, არამედ იგი გადმოკეთებულია «ფალაური» წყაროდან, რომლითაც ისარგებლა თვით გურგანმაც. გარდა იმისა, რომ გურგანმა ლექსად მოაწყო «ვისის და რამინის» რომანი და ქართული კი პროზად დაგვრჩენია, გადმოკეთება «ფალაური» ტექსტიდან კიდევ მოსჩანს სხვა-და-სხვა ადგილებიდან: ქალაქი მერვი, ქართულად «მარვად» არის დასახელებული, «მობედი» გურგანისა ჩვენ «მოაბადედ» გვხვდება ქართულს მოთხრობაში, «შეხრუ»—«შარუდ». ერთს ადგილას ჩვენ შეგვხვდება ქართული გეო-

*) ერთი თანდებულია კიდევ შესანიშნავი სიტყვაში გურგანიდაღმა (აღმა) გვ. 486.

გრაფიული ტერმინიც: მტკვარი: «მინდორთა შიგან მტკუარი ადი-ნო» (გვ. 77).

«ვისრამიანის» გადმოკეთება ქართულად უფრო სარწმუნო იქნება მკითხველისთვის, თუ მოვაგონებთ იმ მოთხრობების გადმოღებას ჩვენს ენაზედ, რომელთაც დარჩენია აქამდის სპარსული დედანიც და არ დაკარგულა «ფალა-ური» «ვის ო რამინისა»-ვით. შაჰნამეს, («როსტომიანი») «ლეილა და «მაჯნუნს» თუ შევადარებთ ფირდოუსის და ნიზამის ქმნილებას, ადვილად მივხვდებით, რომ ჩვენნი წინაპარნი მეტად თავისუფლად ეკიდებოდნენ სათარგმნელ ნაშთს. «როსტომიანი» და «ლეილა» ნათარგმნი კი არ არიან, არამედ სპარსული მოთხრობა ლექსად ნაამბობია ქართველი პოეტისაგან ისე თავისებურად, რომ იშვიათად იპოვით სიტყვა-სიტყვით გადმოღებულს რომელიმე ტაეპს*). აი ამ სარწმუნო შედარების მიხედვით ჩვენ უფრო უეჭველად მიგვაჩნია, რომ არც «ვის ო რამინის» მთარგმნელი გაჰყვებოდა ბრმად თვის დედანს, თავისებურად შეიმუშავებდა და ადგილობრივი გემოვნების ბეჭედს დაასვამდა.

ა. ხახანაშვილი

---

*) ნახე ჩემი მოხსენება „აღმოსავლეთს კომისიაში“—„Ростоміани, груз. переводъ Шахъ-Намэ“ და შეადარე ქართულს „ლეილა და მაჯნუნს“, თუ გნებავთ, ინგლისურად ნათარგმნი: Laili and Majnun, a poem from the original persian of Nisami by James Atkinson. London. 1836.

1894 წ.

საერო პოეზია

შექმნა და დარღვევა საერო პოეზიისა.—მისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა.

I

სიტყვიერება საერთოდ ეწოდება მთელს რომელსამე ერის სიტყვითი ნაწარმოებს. იგი შეიცავს ყოველგვარ მეცნიერულ ნაწერს ქვეყნიერების შექმნა-მოწყობილებასა, კაცის ყოფა ცხოვრებასა და კანონმდებლობა—ადმინისტრაციაზედ. სიტყვიერებასვე ეკუთვნის უხელოვნო საერო ნაწარმოები ვიდრე ხელოვნურ ქმნილებამდე დრამის, ლირიკის და ეპოსისა. სიტყვიერებას კერძოდ ვუწოდებთ ლიტერატურას, ბელეტრისტიკას (ფრანგულად belles lettres) ანუ ნაწერებს პოეზიის და ენამეტყველებისას. მაშასადამე ისტორია ლიტერატურისა წარმოგვიდგენს ისტორიას საზოგადოების აზროვნებისას, რამდენადაც იგი გამოიხატა პოეტურ თხზულებებში. ამიტომ სიტყვიერების ისტორიის დანიშნულება ის არის, რომ შემუშავებულ იქმნას თანდათანობითი განვითარება რომელისამე ერის ლიტერატურისა ერთად მის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებასთან. მოგეხსენებათ, რომ ლიტერატურა და ცხოვრება გადაბმულნი არიან მტკიცე კავშირით, დაახლოებულნი არიან ურთიერთის ზედგავლენით. რამდენადაც სისწრაფით, სრულიად, მარჯვედ მიდის წინ საზოგადოებრივი ცხოვრება, იმდენად სავსეა და მდიდარი მახვილ-გონივრულ შინაარსით სალიტერატურო ქმნილებაც. წინსვლა ცხოვრებისა წინ სწევს ლიტერატურასაც, აძლევს ახალს მასალას დასასურათებლად, აფართოებს მის სარბიელს. აგრეთვე სიტყვიერებაც თავისს

შინაარსით ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას: იგიავრცელებს საზოგადოებაში ახალს სამეცნიერო ცოდნას, უნერგავს ბრწყინვალე იდეებს გამოჩენილ მოაზრეთა, უკეთესს იდეალებს ანუ სურვილს ბუნებით დაჯილდოებულ პოეტთა. ამისთვის ლიტერატურა არის ძლიერი და სასწაულმოქმედი იარაღი ერის განათლებისა და განვითარებისითვის. იგივე ლიტერატურა არის უტყუარი სარკე საზოგადოების კულტურულის მდგომარეობისა, რომლის სურვილნი, ვნებანი, მიდრეკილებანი გამოიხატება სავსედ და ცოცხლად. მაშასადამე ისტორია ლიტერატურისა აშუქებს ერის სულს და გულს, ანუ ერის ფსიხოლოგიას. ჯერ არ არსებობდა წერა-კითხვა, როცა ერი თავის ბედს და უბედობას, აზრსა და გრძნობას აფრქვევდა ლექსად და არაკებად, მოწიწებით გადასცემდა ზეპირად შემდეგს თაობას, სახსოვრად და დასაცველად. აი ეს ჩვენამდის მოწეული მთელის ხალხის ზეპირი ნაწარმოები არის დასაბამი ერის ისტორიისა და მის ლიტერატურულ განვითარებისა. საერო სიტყვიერება დროთა განმავლობით იცვლებოდა და ხასიათი ამ ცვლილებისა შეთანხმებულია საზოგადოების განვითარებასთან. ერის განვითარებაში და მაშასადამე მის სიტყვიერებაშიაც შენიშნულია სამი ხანა ანუ პერიოდი: მითიური, გმირული და ისტორიული.

მითიური პერიოდი არის უძველესი ეპოქა ერის ცხოვრებისა, როდესაც იბადება მითები ანუ ამბები ქვეყნის, ღმერთების და ხალხის გაჩენის შესახებ. მითები გვიხსნიან, ერის შეხედულებით, ღმერთების ხასიათს და მოქმედებას და მათს დამოკიდებულებას ქვეყნიერებასთან. კრება ამგვარის ამბისა შეადგენს მითოლოგიას, რომელშიაც დაცულია ერის რელიგიური რწმენა, კოსმოგონია ანუ მსოფლიოს შექმნა, მისი ცოდნა და ფილოსოფია. მითოლოგიაში აღნიშნულია ორი ეპოქა—სტიქიური, როდესაც ხალხი სტიქიურ ძალას სთვლის მაღალ არსებად, აპიროვნებს მას ღვთის სახით, უმორჩილებს ყოველსავე ბუნებაში და თავის საკუთარ ცხოვრებაში. მეორე ეპოქა—ანტროპომორფიზმი, როცა ერის ფანტაზია ღმერთების მოქმედებას და ცხოვრებას სახავს კაცურის ფორმით და თვისებით. სტიქიურ მხარეს ავსებს ზნეობითი ხარისხი ღვთაებისა, ღმერთები ჰხდებიან სხვა-და-სხვა ზნეობრივ თვისებათა განპიროვნე-

ბულ არსებათ: ერის ფანტაზია ჰქმნის ღმერთებს ცოდნისას, მართლ-მსაჯულებისას, პოეზიისას და სხვ. ზესთა ბუნებითი ელემენტი შეადგენს ხალხის ცხოვრების მითიურ პერიოდის განმასხვავებელ ხასიათს. ის ქართული არაკები, რომელნიც მოგვითხრობენ ცის მნათობების, ქვეყნიერების გაქვავების და გველეშაპების შესახებ ეკუთვნიან ნაწყვეტთა ქართველთა მითოლოგიისას.

გმირული პერიოდი არის პირველი ნაბიჯი ყოველის ერის ისტორიაში, როცა საზოგადოება, განცალკევებულს თემებად დაყოფილი, შეუსვენებლივ ებრძვის თვის ქვეყნის ბუნებას და ნელ-ნელა, დიდის წვალებით, იმორჩილებს მას მოთხოვნილებისამებრ, ებრძვის მეზობელ თემებს, რათა გააფართოოს თვისი მამული ანუ დაიცვას უკვე ოფლით შეძენილი ავლადიდება. ერის ფანტაზია იმ პირთ, რომელნიც იღებენ გამოჩენილ მონაწილეობას ამ არსებისთვის ბრძოლაში, ხდის გმირებად, ზესთა ბუნებით არსებად, ნახევარ ღმერთებად. ამ გმირების სურათით ერი გვიხატავს თვის იდეალებს სილამაზის, ღონის და მამაცობისას, ხერხიანობისა და სიმარჯვისას, ანუ მოკლედ იდეალს ფიზიკურის და ზნეობრივის ძალისას, ერი იცავს მადლობით მოგონებას ამ გმირებისას, გარდასცემს შემდეგს თაობას მათ სურათს, გაზვიადებულ და ღთაებრივის შუქით ამაღლებულს. ამ გვარ გმირულ ლექსებიდან ხანდახან შესდგება ხოლმე დიდი პოემა ანუ პოეზია, როგორც ილიადა და ოდისეა, ლექსები როლანდზედ ანუ ნიბელუნგებზედ. გმირულ პოეზიის ნიმუშად ჩვენში შეიძლება დავასახელოთ ლექსები ამირანის, როსტომის, აბესალომ და ეთერის შესახებ.

ისტორიული პერიოდი ხალხის ცხოვრებაში იწყება იმ დროიდან, როცა ერი სტოვებს თემურ მდგომარეობას, ითვისებს მოქალაქურ ცხოვრებას და ადგენს საზოგადოებას სახელმწიფო მოწყობილობის ფორმით. როცა ხალხი დიდის ხნის გამოცდილების შემდეგ გაიცნობს და დაუახლოვდება ბუნებას, მაშინ რწმენა «საკვირველისადმი» სუსტდება, ბუნების მოვლენანი ჰკარგვენ ღვთაებრივ პიროვნებას და წარმოუდგებიან თვისის ნამდვილის სახით: ნელ-ნელა მითი და ეპოპეა უთმობს ადგილს ისტორიას. ეს სამი პერიოდი გაიარა ყოველმა ერმა. მითიურ და გმირულ შინაარსის მო-

თხრობანი შეიცვალნენ ისტორიულ ლექსებად. საქართველოში აქამ-
დის მღერიან ერეკლე და არჩილ მეფეზედ, მოგვითხრობენ ამბებს
თამარის და ლევანის შესახებ, ახსოვთ ამილახვარი, ზურაბ არაგვის
ერისთავი, შიოლა ღუდუშაური და სხვ. მითიურს და გმირულს
პოეზიას ამ ათი-ხუთმეტის წლის წინად გადამეტებულ მნიშვ-
ნელობას აძლევდნენ გერმანელნი და რუსეთის მსწავლულნი. პოე-
ზიის და რელიგიის საერო ხასიათზედ ამყარებდნენ ნათესაობას
სხვა-და-სხვა ერთა შორის. მართალია შედარებით შესწავლამ ინდო-
ევროპულ ხალხთა გამოარკვია, რომ ოჯახობრივისა და თემობრი-
ვის მდგომარეობის დასაწყისი, პოეტური და რელიგიური გარდმო-
ცემათა საფუძველი ეკუთვნის არა სლავიანებს, გერმანელებს ანუ
კლასიკურ ხალხებს, არამედ შეადგენს არიულ ხალხთა საერო კუ-
თვნილებას იმ დროიდან, როცა იგინი ერთად სცხოვრობდნენ შუა
აზიაში, მაგრამ ამასთანავე შესწავლამ სხვა ტომთა რელიგიისა და
პოეზიისამ აღმოაჩინა მრავალგვარი ერთნაირი მხარე ოჯახობისა,
რწმენისა და მითოლოგიისა არიულ და არა-არიულ ხალხთა შორის.
ამიტომ ესლა მკვლევს რელიგიას და პოეზიას აღარ უთვისებენ ისეთ
დიდ ხარისხოვან მნიშვნელობას ტომთა ნათესაობის დასამყარებლად,
როგორც ლინგვისტიკას და ანტროპოლოგიას. ერთგვარი ხასიათი
პოეზიისა და რელიგიისა სხვა-და-სხვა უნათესავო ერთა შორის ამ
ჟამად იხსნება საერთო ფსიხოლოგიური თვისებით და შინაარსის გარ-
დაცემით ერთის ერისგან მეორე მოსაზღვრე ხალხისადმი. მაშასადამე,
ყველა ის არაკები, რომელნიც ტრიალებენ ამა თუ იმ საზოგადოე-
ბაში, არ ეკუთვნის განსაკუთრებით მის შემოქმედებითს ძალას,—ზო-
გიერთი მათგანი შეადგენენ საერთო განძს სრულიად განცალკევებულ
ერთა, ან დამყარებულნი არიან ესრედ წოდებულ მოსიარულე სიუ-
ჟეტზედ, როგორც ჩვენი «კატის ომი».

II

ხალხის სიტყვიერების ქმნილებას ეკუთვნიან: 1, ზღაპრები,
საგები და ლეგენდები; 2, გამოცანები; 3, იგავები და არაკები; 4,
შელოცვანი; 5, გარდაცემანი და 6, ლექსები. პირველი ჯგუფი გვი-

ხსნის ერის ფანტაზიას, მეორე—მის მახვილ გონიერებას, მესამე—ცხოვრების დაკვირვებას, მეოთხე—რწმენას, მეხუთე—მეხსიერებას და მეექვსე—უმთავრესად გრძნობას.

საერო ლექსებს ვუწოდებთ მხოლოდ იმგვარ ლექსებს, რომელთაც ერთპიროვანი ავტორი არასოდეს არ ჰყოლიათ,—მისი სახელის დარქმევა არ შეგვიძლიან. პოეზია ბუნებრივი თვისებაა კაცის არსებობისა და პოეტური გრძნობა და მის გამომეტყველება შეთანხმებულია საზოგადოების კულტურულ მდგომარეობასთან. რამდენადაც ერი ნაკლებ გასცილებია განათლების პირველს ნაბიჯს, იმდენად მასში ნაკლებია მნიშვნელობა კერძო პირისა, უსილავია კერძო ზნეობრივ თვისებათა გამოაშკარავება და ძლიერია ერთგრძნობა, ერთცნება და ერთზნეობა მთელის საზოგადოებისა. ამ პირვანდელ მდგომარეობაში პოეზიას არ აზის ბეჭედი პიროვნულის ქმნილებისა; პოეტური ზეგარდმო შთაგონების ნაყოფი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩასახული არ იწერება დასაცველად, როგორც ერთის პირის საკუთრება, მწერლობა ჯერ კიდევ არ ემსახურება კერძო აზრების გამოხატვას და მათს საზოგადოებაში გავრცელებას. პოეტური ნაწყვეტი, შექმნილი უცნობის პირისგან, გადადის ანუ გადაეცემის მეორეს, მესამეს და ამ უკანასკნელთა პოეტურ აგებულების გავლენით იცვლება პირვანდელი ხასიათი ლექსისა, ემატება ახალი შედარება, აკლდება ერთი-ორი თვისება. ერთის ნათქვამს მეორე ითვისებს, როგორც საკუთარ ქმნილებას, თავის გულიდან აღმოცემულს და ამიტომაც დაუბრკოლებლივ, გაუგებრად უმატებს სხვისგან შემქნილს ლექსს და ამბავს თვისს საკუთარ სულის მოძრაობას, ასვამს ახალს ბეჭედს გარემოცულ საზოგადოების და ბუნების შთაბეჭდილებათა თანხმად. ამგვარად ჩასახულნი ლექსნი, დამატებულნი, გაშალაშინებულნი იზრდებიან და შეეჯახებიან სხვა ადგილას გამოთქმულ ლექსებს, ერთდებიან და მთელდებიან. ერთი ლექსი გადებმის მეორეს, ერთი არაკის ნაწილი ჩაერთვის მეორე ამბის შინაარსს და ამგვარად ითხზება გრძელი ლექსები და ზღაპრები გარეგანის შეხედულებით ერთის შინაარსისა და დაბოლოებისა. ასეთი ხასიათისაა სახალხო ზღაპრები და ლექსები ტარიელზედ, სადაც თვალ-საჩინოდ მოსჩანს სხვა-და-სხვა ტოტიდან შემოკრება ლექსთა და არაკთა ნა-

წყვეტებისა უმთავრესის გმირის გარშემო. თუმცა ხელოვნურად გადაბმულს ლექსებს ეტყობათ სიმტკიცე და შეურყევლობა, მაინც ხალხში ტრიალის დროს პირადის გარდაცემის გავლენით მათ არ აკლდებათ შესწორება, დამატება და გამოკლება—და ამ ცვლილებათა მიზეზით ირღვევიან კიდეც სრულებით და უტოვებენ თავიანთ ელემენტებს ახალ ლექსების და არაკების შესადგენად. რაკი ერთხელ გამორკვეული იქმნა ხასიათი ზღაპრისა და ლექსობისა, მაშინ საჭიროა მხოლოდ ერის ფანტაზიამ გადააბას ერთმანეთს ნაწყვეტები, რომელიც მის მეხსიერებაში დაცულნი არიან. ამითი აიხსნება, რომ პროცესი ლექსების და არაკების შექმნისა აქამდის სწარმოებს იმავე სახით, როგორც უძველეს დროს.

ლექსი უძველესი ფორმაა ერის ქმნილებისა. ლექსად უნდა ყოფილიყვნენ ჩვენშიც ის ლოცვები, რომლსაც წარმართი ქართველი მიმართავდა თვის ღვთაებას (დააკვირდით ჩვენს შელოცვებს). ლექსად ერი აფრქვევს მას, რაც სულს და გულს უგვნესებს, ლექსს სთხზავს იმიტომ, რომ აღელვებული გრძნობისთვის შესაფერი გზა მოეძებნოს,—და მისი გრძნობიერება ხომ გამოწვეულია ცხოვრების და ბუნების მოვლენით. ეს სიახლოვე ლექსისა ერის გულის-ცემასთან არის მიზეზი ლექსის შეცვლისა, რათა ამ შეცვლით შეეფარდოს ახალს საზოგადოებაში დატრიალებულს ძლიერს გრძნობას. მაშასადამე მიზეზი ლექსის ვარიანტებად დაყოფისა მის არსებაშია დაფარული, მაგრამ რაკი ხალხის ცხოვრება, მიუხედავად კერძო განსხვავებულ მოვლენათა, საზოგადოდ ერთი და იგივეა, ამიტომ საერო პოეზიაც იცავს უმთავრესი თვისებით ერის სახიერებას. ლექსები წინათობისა, გადაცემულნი შემდეგ თაობათა განცალკევებულ ვარიანტებად, იტოვებენ შეუცვლელად ჩვეულებრივ ხასიათს და ძალას შინაარსისას. ძირითადი შეცვლა საერო პოეზიისა მაშინ სწარმოებს, როცა ირღვევა ჩვეულებრივი მიმდინარეობა ერის ცხოვრებისა. მაგრამ ახალ ვითარებად გამოწვეულ ლექსებს და ლეგენდებშიაც შეიძლება გამოირკვეს წინანდელთ ლექსთა ნაწყვეტები, ძველი პოეტური სურათები, ხელოვნური ელფერი და ხან მთელი მოთხრობაც, რომელიც თვისის ხასიათით არ ეთანხმება თანამედროვე ცხოვრების ნიშნებს. რამდენადაც კულტურული მდგომარეობა შემდეგ

თაობათა უცვლელია, იმდენად ახალ ლექსების მოტივები უბრუნდება ძველს შინაარსს. რამდენადაც ხალხის ცხოვრებას ეცვლება მიმდინარეობა, იმდენად ლექსთ-თხზვა ძლიერდება და სხვაფერდება.

საერო ქმნილება—ლექსია თუ არაკი—შეთხზული სამშობლოს ერთს კუთხეში გადადის მეორე, მესამეში გარეგანის ცვლილებით. თუ სხვა-და-სხვა ნაწილთა შორის რომელიმე ქვეყნისა მტკიცდება განუწყვეტელი მუდმივი მისვლა-მოსვლა, მეზობლობა, მაშინ საერო ქმნილებაც ინახება დაახლოვებულ ვარიანტებად, როგორც მაგალითად როსტომის ლექსები თუშ-ფშავ-ხევსურეთში. პირიქით, სისუსტე მისვლა-მოსვლისა იწვევს განსხვავებულ ვარიანტებს ერთისა და იმავე ლექსისას, ხანდახან იმდენად დაშორებულებს, რომ პირველი შეხედვით გაცალკევებულ ქმნილებას ემსგავსებიან.

III

შესანიშნავ ცვლილებას ერის ცხოვრებაში აჩენს წერა-კითხვის გავრცელება, რომელიც სხვაგვარ მიმართულებით ატრიალებს პოეტურ ქმნილებას. წერა-კითხვის მცოდნე პოეტი თვის ზეგარდმოაღმაფრენის ნაყოფს იცავს წერილით, აძლევს შემუშავებულ სივრცეს და სიგანეს, მალას და ღონეს, ჰფიქრობს და სჯის განცალკევებული და ამიტომაც ნაყოფი მწიფდება დამთავრებით, ხელოვნურ ფორმით, რომელსაც არცა-რა მოემატება-რა და არცა-რა დააკლდება-რა სხვის სურვილისამებრ,—ჰხდება იგი სულიერ კუთვნილებად ერთის პირისა. თუ მკითხველმა მოიწონა და გაიმეორა კიდეც ამ გვარი ქმნილება, მაინც კარგად იცის, რომ იგი მას არ ეკუთვნის და მის შესწორების უფლება არა აქვს. ვიცით სახელი პოეტისა, თუ არა—სულ ერთია: მის ნამუშავარს აზის ღრმა ბეჭედი ერთ-პიროვანის ავტორისა. იქნება დიდის ხნის პირადად გადაცემის წყალობით პოეტის ლექსს აღმოუჩნდეს ვარიანტები, მაგრამ ეს ვარიანტები იქნება მეტნაკლებობით დამახინჯება ორიგინალისა და არ ჩაითვლება ნორმალურ ფორმად, როგორც ვარიანტები საერო ქმნილებისა. წერის საშუალებით ეძლევა პოეტის ნაწერს სამუდამო მისგან მოწონებული ნორმა. შეუცვლელობა ფორმისა, მიცემა შეთავსებული სახი-

სა ერთის მწერლის კალმით, კუთვნილება ერთის ავტორისა—აი უმთავრესნი განსხვავებანი ლიტერატურულ თხზულებათა საერო ქმნილებათაგან, რადგანაც კუთვნილება მთელის ხალხისა და აუცილებელი, უსამზღვრო ვარიაცია შეადგენს საერო პოეზიის ნამდვილს ნიშნებს.

წერა-კითხვის გავრცელება სცვლის ენას, ხასიათს, აზრის გამოხატვას, ეპიტეტებს და მთლად საერო პოეზიის მიმართულებას. განსხვავება განათლებულთა ენისა სახალხო ენისაგან არის საერთო მოვლენა და დამოკიდებულია მასზედ, რომ განათლებულთა რიცხვი ნაკლებია დანარჩენს, უმეცრებაში შთანთქმულს ერზედ. მრავალგვარი ცოდნა, გაფართოებული შეხედულება, უცხო ენათა შესწავლა ჰბადავს ახალს სიტყვებს აზრის გამოსახატავად, ახალს კონსტრუქციას წინადადებათა შესაკავშირებლად (ზედ-დართულნი წინადადებანი, პერიოდები), რომელსაც უარჰყოფს ხალხური ენა. ამგვარად ჩნდება კერძო პირთა თხზულებათაგან მდიდარი სიტყვიერება, რომელიც თვისის შინაარსით და ხელოვნობით საგრძნობლად განირჩევა საერო პოეზიისაგან.

განათლების გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ერი ითვისებს წერითი პოეზიის ხასიათს. ჰბაძავს განათლებულთ ენით და ლექსით, რომელსაც ცდილობს შეადგინოს ლიტერატურულის კილოთი. თუმცა კერძო პირების ნაწერები ვრცელდებიან ხალხში, მაინც პირადი სიტყვიერება არ ისპობა, შექმნა ლექსებისა სწარმოებს ძველის მეთოდით, რომელსაც გავლენის ბეჭედს ასვამს ხელოვნური ლიტერატურა. რაკი ლიტერატურის გავლენა დაეტყობა საერო პოეზიას, ეს უკანასკნელი ნელ-ნელა მახინჯდება და დროთა განმავლობით ისპობა. მდაბიო კაცს, რომელსაც არ მიუღია პირველ-დასაწყისი განათლებაც, შეუთვისებია ცოტა რამ განათლებულთაგან; ჰსურს მიემხროს და დაუახლოვდეს გარეგნობით მაინც სასურველ ცხოვრებას, იწუნებს ძველს თავის ლექსებს, რადგანაც იგინი აღარ ეთანხმებიან ახალს იდეალს, ითვისებს ლიტერატურულ ხელოვნურ პოეზიას, მაგრამ შეუგნებლივ ასწორებს, ამახინჯებს ღრმა აზრებისა და გრძნობის გაუგებრობის გამო. ამავე დროს მდაბიო კაცს ჯერ ვერ გაუწყვეტია ძველს ცხოვრებასთან კავშირი და ამიტომ ლიტე-

რატურულ ლექსებთან მღერის თვის გულიდან ამონაკვესს ლექსებს, შეცვლილებს კულტურულ დასის ზედ-გავლენით. მივარდნილ კუთხეებში, როგორც სვანეთში და მთაში, საერო პოეზია ნაკლებად ემორჩილება განათლებულთა გავლენას.

დასავლეთ ევროპაში ლიტერატურული გავლენა დიდი ხანია შეეჯახა საერო პოეზიას. ჩვენში ამ პოეზიას თუმცა სიცოცხლის მაჯა მაგრად უცემს, მაგრამ წერა-კითხვა და დაახლოება განათლებულ წრესთან შესცვლის ხალხის შეხედულებას და პოეზიის ხასიათს. განათლება უსათუოდ ინაცვალებს საერო პოეზიას, დაავიწყებს ხალხს და მოგვისპობს უსაჭიროეს მასალას ჩვენის ისტორიისას. ამიტომ სასურველია დავეშუროთ საერო ნაწარმოებთა შეკრებას, რომელნიც საყურადღებონი არიან, როგორც ჩვენთვის, ისე საერთოდ მეცნიერებისათვის.

IV

ლიტერატურის ისტორია სწავლობს თვით ცხოვრებას კი არა, არამედ მის სურათებს, ილიუსტრაციას მრავალგვარ თხზულებათა შემწეობით. ამიტომ ლიტერატურის ისტორიის საგანი არის საერთოდ იდეები, ანუ დედა-აზრი, რომელიც შეეხება კაცის შეხედულებას ქვეყნიერებასა და მორალზედ. ეს იდეები სხვა-და-სხვა ხარისხზედ ცხოვრების დროს არ წაავგავნან ერთმანეთს: რამდენადაც კაცი მიდიოდა წინ, იმდენად იცვლებოდა მისი შეხედულებაც ზნეობასა და ბუნებაზედ. ამ პროგრესიულ იდეების ანუ წინამსვლელობის ისტორიას პირვანდელ დროს, როცა წერილი ლიტერატურა არ არსებობდა, წარმოგვიდგენს საერო პოეზია, რომელიც ცნობილია პირველ ნაბიჯად კულტურული კიბისა ერის განვითარებაში. გერმანულის მსწავლულის ჰერდერის აზრით, საერო პოეზია საცავია მეცნიერებისა, რელიგიისა, კოსმოგონიისა და თეოლოგიისა, არქივია წინაპართა საქმეებისა და სარკეა ერის შინაურ ცხოვრებისა.

საერო პოეზია გვიხატავს კულტურის სათავეს, ავსებს იმ ნაკლს ჩვენის ისტორიულ მასალებისას, რომელნიც ნაკლებად მოგვითხრობენ ერის სულიერ და შინაურ ცხოვრების წვლილსა და

კნინს. ამ შემთხვევაში შეგვიძლიან მივენდოთ საერო ნათქვამს, რადგანაც ხალხი თვის ცხოვრების და გრძნობის აღსაბეჭდად არ მოსტყუვდებოდა, ცრუ გზას არ დაადგებოდა. საერო პოეზია აშუქებს წარსულს ზნეს, ჩვეულებას, რელიგიას, რომლითაც ბევრი აიხსნება ძველს ისტორიულ ნაწერებში. რაც შემატიანეს არ ჩაურთავს ისტორიაში სხვა-და-სხვა მიზეზით, ის შეიძლება წავიკითხოთ ერთს გულის ამონათქვამში, რომელიც დაკავშირებულია წარსულ ავთან და კარგთან. ახალი ცხოვრება უცბად ვერ სცვლის ძველს მიმდინარეობას: ახალ მოთხოვნილებასა და აზრებთან ჩაწნულია ძველი ჩვეულებრივი წარმოდგენა, რომლის გამორკვევა დაგვიხატავს წინა-კულტურულ პერიოდს. ამირანის მოთხრობაში მაგალითად სამგვარი ხანაა დაცული: წარმართული, ებრაული და ქრისტიანული.

ქრისტიანობის გავრცელებამ შესცვალა ნელ-ნელა საერო პოეზიის მიმართულება. ქრისტიანობამ წამოაყენა «სასულიერო ლექსები», რომელთა გმირნიც ებრძვიან ბოროტ ძალას, ქაჯებს და ეშმაკებს. საერთოდ ქრისტიანობამ პირველადვე ვერ შესცვალა ხალხის შეხედულება. ძველი ღმერთები ისევ არსებობდნენ, მხოლოდ გადაიქცნენ ხალხის მავნებელ ძალად, ქრისტიანობის მტრებად, ქრისტიანობამ მოჰფინა სინათლე და შეიტანა ხალხში ახალი იდეები. ხალხს ეს იდეები უნდა შეემუშავებინა, შეეთანასწორებინა და შეეთანხმებინა შეთვისებულ გარდმოცემასთან, რელიგიურ რწმენასთან, მორალურ შეხედულებასთან: უნდა მომხდარიყო ბრძოლა ახალს და ძველს იდეებს შორის. წარმართულნი შეხედულებანი თითქმის შეუცვლელნი დარჩნენ, მხოლოდ მიიღეს ახალი ფორმა, შეიმოსეს ქრისტიანობრივი ელფერი. როდესაც ცხოვრებამ წამოაყენა წარმართულ და ქრისტიანებრივ იდეალების შერიგების საჭიროება, მაშინ შესდგა «სასულიერო პოეზია». ეს პოეზია არის ძვირფასი საუნჯე ერის კულტურის გამოსაკვლევად. სასულიერო ლექსებში აღნიშნულია ზნეობრივი მდგომარეობა და გონებრივი განვითარება ერისა. ამ პოეზიის შემწეობით შეგვიძლიან ვადევნოთ თვალი, როგორ ვრცელდება ერში ქრისტიანებრივი სწავლა. ლექსნი ნოეზედ, იობზედ, აბრამზედ, ქრისტეზედ და იოანნე ნათლის-მცემელზედ, რომელნიც დარჩენილნი არიან ჩვენში, მშვენიერად ასურათებენ, რომელ მხარეს

სასარების სწავლისას მიუპყრია ყურადღება ერისა. ამ ლექსებში გამოთქმულ აზროვნობით ერი ჰხსნის საკითხავებს ქვეყნის შექმნა-გაჩენისა და თვისის მოვალეობისას. ლოგიკური აზროვნობით ყველას ვერ მისვდება კაცი და შესაძლებელია, ამბობს პროფ. კლიაუჩევსკი, რომ ამ გვარ აზროვნობით ვიგებთ სრულიად მცირე ნაწილს მიუწვდომელისას; ამ შემთხვევაში დიდად საყურადღებოა შესწავლა სასულიერო პოეზიისა, რომელსაც შეუძლიან აგვიხსნას სალიტერატურო ისტორიის საკითხავები და აღნიშნოს ერის კულტურის მდგომარეობა.

ისტორიკოსისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერო პოემას ანუ ეპოპეას. ეპოპეაში დაცულია ის ისტორიული ამბავი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა მთელი ერი. ამ გვარი შემთხვევა მოქმედობს ერის ფანტაზიაზედ, ღრმად იდგამს ფესვებს მის გულში და ეს ძლიერი შთაბეჭდილება არის ის ისტორიული მარცვალი, რომლის გარშემო იკრიბება ერის ფანტაზიის ნაყოფი. დროთა ვითარებით ამ პირველს ნაყოფს ემატება კიდევ «საკვირველი» ანუ «განსაცვიფრებელი» თვისება, ზეციდან ჩამოდიან მოქმედების ასპარეზზედ მითოლოგიური პირნი. ბუნების სიმბოლიური ძალნი ჩაერთვიან პოემას კაცის სახით და მიწიერი არსებანი ხდებიან ნახევარ ღმერთებად და გმირებად. პატარ-პატარა ლექსები შექმნილნი ბრძოლის ველზედ სასიმღეროდ ანუ სუფრაზედ შესაქცევრად იხმარებიან, უკვე გაზდილნი, გავრცელებულნი და თავ-მოყრილნი ერთის შესანიშნავის გარემოების გარს, რომელიც იპყრობს ერის ყურადღებას, დაახლოებულია წარსულ ცხოვრებასთან, ნაცადს ავთან და კარგთან. ამ დროს ერთის ნიჭიერის პოეტის გავლენით ეპოპეა ითვისებს სრულიად დაბოლოებულ ხელოვნურ ქმნილების სახეს.

რომ პირველად დაწყობილ ლექსებიდან შესდგეს ეპოპეა, საჭიროა: 1, რომ ლექსები არ იყვნენ ჩაწერილნი, თორემ მომავალ ეპოპეისთვის მათი შეცვლა შეუძლებელი შეიქმნება 2, ლექსნი უნდა

იყვნენ დაწყობილნი იმ დროს, როცა ხალხს ბრძოლა აქვს მეზობელ ერთან, როცა ჯარის-კაცი და მისი წინამძღვარი ერთი რწმენით, სურვილით და გრძნობით არიან გამსჭვალულნი; წინააღმდეგ, ლექსნი მუშაკის გრძნობის დასატკბობად ვერ შეიმოსებოდნენ გმირულის ფერადებით. ვ, ამ გვარი ლექსნი უნდა შემოიკრიფნენ შესანიშნავის ამბავის გარს, უამისოდ ჩქარა მიეცემოდნენ დავიწყებას და ვერ შეივსებოდნენ ფანტაზიის მიერ გამოგონილი სურათებით. ისტორიული ლექსები ყველგან წყარო იყო საერო ეპოპეისა, ამ გვარ პატარა ლექსებიდან შესდგა ჰომიროსის პოემები «ილიადა» და «ოდისეა». ნიადაგი, რომელზედაც აშენდა პოემა, არის ისტორიული ამბავი, ის დრო, როდესაც ნაწილი ბერძენთა გადასახლდა მცირე აზიაში და იქ მოუხდა ბრძოლა იქაურ ხალხებთან. «ახილეიდას»—შუაგულს და თავდაპირველს პოემის ნაწილს—მიემატა სხვა გმირთა ამბებიც და ბოლოს შეერთდა ჰომიროსის გენიოსობით ერთს პოემად. «ილიადა» და «ოდისეა» წარმოადგენს საუკეთესო წყაროს ბერძენთა ცხოვრების შესასწავლად მეცხრე და მერვე საუკუნეში ქრისტეს წინად, შესასწავლად, როგორც მათის რელიგიისა, აგრედვე პოლიტიკურის და სოციალურის მდგომარეობისა.

მართალი უნდა ვთქვათ, საერო პოეზია ღარიბი წყაროა პოლიტიკურის და სოციალურის წესწყობილების შესასწავლად. უძველეს დროის გამოსაკვლევად, სხვა მასალების უქონლობის გამო, საერო პოეზია რჩება, რასაკვირველია, უმთავრეს წყაროდ. ხალხურ პოეზიას ბევრიც არა მოეთხოვება-რა. ნუ დავივიწყებთ, რომ ლექსი ეკუთვნის მდაბიო კაცს, რომელსაც შეუძლიან დაგვიხატოს თვისი საკუთარი ცხოვრება, მატერიალური მდგომარეობა, გონებრივი და ზნეობრივი შეხედულება. ისტორიკოსის მოთხოვნილებას სრულიად ვერ აკმაყოფილებს საერო პოეზია, მაგრამ, სადაც კი საქმე შეეხება ერის გრძნობას, ლექსები დაუფასებელი და შეუდარებელი წყაროა. ეს მეფობა გრძნობისა საერო ლექსებში აიხსნება ამ უკანასკნელთა სიახლოვით ხალხის გულის ცემასთან და საერთოდ ცხოვრებასთან. გრძნობა არის ღვთაებრივი ძალა აზრის აღმაფრენისა, გრძნობა არის ის შეურყეველი ნიადაგი, რომელზედაც ჰყვავდება ზნეობრივი მიმართულება. ამიტომაც ლექსები ძვირფასი განძია ჩვენის ერის

კულტურის შესასწავლად. პატივისცემა ქალისა და მოხუცისა, ერთგულება მამულისა და მეგობრისა, სიყვარული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სიმტკიცე—აი დედა აზრი ყველა ჩვენის საერო ლექსებისა, რომელნიც შეკრებილნი არიან მთაშიც და ბარშიც. ბევრს ჩვენგანს უსარგებლია ამ განძით ერის რელიგიისა და ჩვეულების შესასწავლად. საქართველოში სიმღერა შეადგენს ერთს აუცილებელ თვისებათაგანს. ქართველს ამღერებს მხიარულებაც და მწუხარებაც. სიმღერაში გამოსთქვამს მას, რაც აღელვებს მის სულს და სჩაგრავს მის გულს. დედა აკვანში მწოლარე ბავშვს უმღერს ტკბილს ნანას; ნანაში გამოთქმულია სიყვარული ყმაწვილისადმი, და მერე დასურათებულია ცხოვრების იდეალი, რომელიც მოზარდმა უნდა იქონიოს სახეში, რომ გამოვიდეს კეთილი, მამაცი, მოწყალე, სასარგებლო ქვეყნისა და დედ-მამისათვის. სტუმრები რომ სადილად დასხდებიან, იტყვიან «სუფრულს», რომელშიაც მასპინძელს გულუხვობისათვის ქებას უძღვნიან; შემდეგ მოიჩივლებენ ამ სოფლის ამაოებაზედ და ბოლოს მივლენ იმ დასკვნამდინ, რომ კაცის ჩაგრულის, ყოველთვის უკმაყოფილო გულის გამხნევება-განკურნება შეუძლიან მხოლოდ ღვინოს, რომელსაც არავინ არ უნდა მოერიდოს; მაყრები რომ გვირგვინოსან მეფე დედოფლითურთ ვაჟის სახლისკენ გაემგზავრებიან გადაჰხვევენ ერთმანეთს ხელს, გაუძღვებიან წინ «გვრიტებსა» და ახოვანის ხმით დაიწყებენ მხიარულს «მაყრულს»:

„მოვდივართ, მოგვიხარიან,
თან მოგვყავს წყვილი ხოხობი“...

ამას დაუმატეთ სიმღერა შობის წინა-ღამეს «ალილო», ბზობის კვირაში «ჭონა», სხვა-და-სხვა ფერხულის სიმღერები, ურმული, სიმღერა ვენახის შემუშავებისა, ყურძნის დაწურვისა, ხვნისა, ფარცხვისა, ლეწვისა და სხვა-და-სხვა, რომ საკმარისად დარწმუნდეთ, რამდენ ნაირად ჩაწნულა სიმღერა და ღიღინი ერის ცხოვრებაში, რა ძვირფასს მასალას იძლევა ეს პოეზია ერის გონებრივისა და ზნეობრივის საზრდოს შესასწავლად.

VI

არაკებიდან უნდა გამოიკრიბოს ის ამბები, რასაც ბერძნები მითებს უწოდებდნენ. მითი, ამბობს ცნობილი ლინგვისტი ჰოტფრიდ მიულლერი, წარმოადგენს ან იმას, რაც მოხდა, ან რაზედაც ხალხი ფიქრობდა. ხანდახან ეს ორივე ელემენტი—რეალური და იდეალური—მითიურ ამბავში ერთად არის მოქცეული. მითი, აუცილებელი საზრდო ერის გონების მოძრაობისა, შესდგა ცხოვრების მოთხოვნილებით, გარეშე ერის ცნობიერებისა. მითი გვიხსნის ერის რელიგიურს წარმოდგენას, გვიხატავს ისტორიულის ფორმით რომელსამე მის იდეას. მითისაგან განირჩევა საგა, რომელშიაც დაფარულია ნამდვილი ისტორიული ამბავი. ეს საგა ანუ საერო პოლიტიკური გარდმოცემა, შვეგლერის აზრით, მიუძღვის რომის ისტორიას. ნიბური ხომ რომის ისტორიის დასაწყისად სთვლიდა საერო პოეზიას. საქართველოს ისტორიაში ამ პოეზიის გავლენა საკმარისად მოსჩანს. ჩვენს წერილებში «ძველი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში» ვცდილობდით აღგვენიშნა ის ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაფარული ხალხის გადმოცემა, რომელიც ჩვენს მემატიანეს ჩაუწერია. ჩვენ აღვნიშნეთ მაშინ ეტიოლოგიური მითები, ესე იგი ის მითები, რომელნიც ცდილობდნენ აეხსნათ მიზეზი რომელისამე წესისა, სახელწოდება ადგილისა, მოტივი ზნე-ჩვეულებისა. ხალხმა იცის მაგალითად, რომელიმე გეოგრაფიული ადგილი და იმისს გამჩენ დამბადებელს თვითონ ჰპოულობს. ჩვენმა ერმა იცის სახელი «ქართლი» და წარმოდგენილი აქვს, რომ «ქართლის» დამაარსებელი იყო სუფიერი არსება «ქართლოსი». აი როგორ გაჩნდა ქართლოსი! ქართლოსმა კი არ უწოდა თვისი სახელი ქართლს; არა, «ქართლმა» გამოიწვია ეპონიმის, იმის აღმშენებლის არსებობა. რომულმა კი არ დაარქვა თვისი სახელი რომს, არამედ ამ უგასნასვნელის არსებობამ ხალხის მოაზრებაში დაჰბადა რომული, რომელმაც გააშენა ვითომ «საუკუნო ქალაქი». შემდეგ კიდევ, ერმა იცოდა უხსოვართა დროთაგან არსებობა ბარდავის ქალაქისა. იმის ფანტაზიამ მისცა ამ ქალაქს თვისი აღმშენებელი, სახელად ბარდოს.

ერის ცნობის-მოყვარეობა ეძებდა ქალაქთა დამაარსებელთ სახელებს. სოფელზედ ადვილი ახსნა ის იყო, რომ ამშენებელმა თვისი სახელი აშენებულს ქალაქს და მხარეს უწოდა: ჭერეთმა გააშენა ჭერეთი, ეგროსმა—ეგრისი, ლეკოსმა უწოდა თვისი სახელი ლეკეთს. ხალხმა გააპიროვნა ქალაქების აღმშენებელნი, იმისმა წარმოდგენამ დაბადა ლეკოს, ეგროს, ჭეროს და სხვ. ამ გვარმა ახსნამ იქონია გავლენა მატიანეს დამწერზედ და ამ უკანასკნელმა შეიტანა ხალხის ახსნა ქალაქების დაარსებისა «ქართლის ცხოვრებაში»

მივმართოთ კვალს სიმბოლიურის მითისას. მატიანე გვაუწყებს, ავრიდონმა «შეკრა ჯაჭვითა ბევრასპ, გველთა უფალიო და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ-შეუვალიო». ბევრასპი ჩვენი ამირანი გახლავთ, სახელ-შეცვლილი შაჰნამეს გავლენით, როგორც იგივე ამირან გადაქცეულია პრომეთეოსად ბერძენთა ლეგენდაში. საპოლიტიკო მითიც დარჩენილია ჩვენს მატიანეში: იგია ბრძოლა ნებროთ გმირთან და განთავისუფლება უცხო ბრძანებლისაგან. დასაწყისი «ქართ. ცხოვრებისა» მოგვითხრობს ჩვენ წინაპართა ისტორიას, როგორც გმირების და გოლიათების ამბავს. იმათი მოქმედება გვაგონებს საარაკო ვაჟკაცების ხასიათს: «ხოლო ჭაოს უმეტესი გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგე ვითარი არასოდეს ყოფილიყო წყლის რღვნის წინად, არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმხნით... ჭაოს უდგა ზურგად გმირთა, ძალ სცემდა, ნუგეშნის ცემად ხმითა საზარელითა, რომელ მსგავსი იყო მეხის-ტეხისა». ეს განდიადება გმირისა მოგვაგონებს ჩვენის არაკების მოქმედი პირების აღწერას. ზღაპრულმა ხასიათმა იმოქმედა მემატიანეზედ, რომელმაც დაასურათა თვისებანი უძველესს მოგონილ წინაპართა საარაკო ელფერით.

საერო პოეზია, ამბობს ტენი, მუდამ შეგვიძლიან აღმოვაჩინოთ ძველი ისტორიკოსების ნაწერებში: ლივი და ჰეროდოტე უხვად სარგებლობენ ამ განძით. რადგანაც ერს უძველეს დროის ამბები არა აქვს დაცული წერილის ნაშთებით, ამისთვის პირველი ისტორია ხალხისა არის საერო გარდმოცემა, შემდეგ შეტანილი მატიანეში. ამ გვარი გარდმოცემაა რომის პირველ მეფეების მეფობა. აგრეთვე რუსეთში ნესტორის მატიანეში (როგორც უწოდებენ უკა-

ნონოდ ამ კომპილიატურ თხზულებას) დაცულია საერო ლექსები, რომლითაც ავსებდა მატიანე ბერძნულ ხრონოგრაფის გარდმოცემას აღმოსავლეთ სლავიანების შესახებ.

—

მოკლედ განვიმეოროთ საერო პოეზიის მნიშვნელობა: იგი გვიხატავს ერის შინაურ ცხოვრებას, მის გონებრივსა და ზნეობრივს მდგომარეობას. ეს კულტურული მნიშვნელობა აძლევს ისტორიკოსს ღონისძიებას გაითვალისწინოს შინაური ცხოვრება ერისა და ეს დიდი საქმეა, რადგანაც მატიანე გართული ომების აღწერით, არ გვაძლევს საკმარისს მასალას ზემოხსენებულის საგნის შესასწავლადა და გამოსარკვევად. გარდა ამისა, შედარებითის შესწავლით სხვა ერთა პოეზიასთან პირადი გარდმონაცემი უჩვენებს გზას ხალხთა დამოკიდებულებისას, მისვლა-მოსვლისას. ჰერდერი ამბობს, რომ საერო პოეზიის შინაარსით, კილოთი, იდეებით კოსმოგონიის შესახებ, წინაპართა საქმეთა წარმოდგენით შეიძლება ბევრი მართალი ითქვას ერის ჩამომავლობასა, დასახლებასა და სხვა ერთან მისვლა-მოსვლაზედაო. საერო პოეზიას ერთი დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ ისტორიისთვის: ფაქტორი, ანუ გარემოება, რომელმაც შექმნა საერო პოეზია, არ მოსტყუვდებოდა ისტორიულ მოვლენათა ახსნაში. ამიტომ შლეგელი საერო ქმნილებას ეძახის «ისტორიულ გამოცხადებას». ზნეობრავს დასასიათებაში ლექსების მოქმედ პირთა, ბუსლაევის აზრით, ვერც ერთი პრაგმატიული ისტორია ვერ გაუწევს მეტოქობას საერო ზეპირ-სიტყვაობას.

საერო ლექსები ისტორიულის შინაარსით ხალხისთვის არის უკეთესი ისტორიული სახელმძღვანელო და ამიტომაც იგი არის უსაჭიროესი საშუალება ნაციონალურ გრძნობის გასამტკიცებლად. ისტორიის ცოდნით იწონება საზოგადოების განათლება და ამ ცოდნასთან წარსულის ბედისა შეკავშირებულია სურვილი მომავალის გაუმჯობესობისა და გონივრულად აღნიშვნა ნაციონალურის იდეალისა.

«საუკეთესო მეგლი ერის ცხოვრებისა,—ამბობს ერთი პატივცემული რუსული ჟურნალი,—მისის განვითარებისა, თვით ელემენ-

ტი ხალხოსნობისა არის საერო პოეზია. იგი არის ისტორიული სურათი ერის თავ-გადასავალისა უტყუარ გულის სიმართლით გათვალისწინებული. ყოველი მისი მიდრეკილება ანუ სიმპატია და ანტიპატია, ტანჯვა და სიხარული ჩაწნულია ერის პოეზიაში. საერო პოეზია მოჭორებულს არას იტყვის: იგი ცხოვრობს თვით ხალხთან და რამდენასამე საუკუნის განმავლობაში იცავს ერთს შინაარსს და ერთს მიმართულებას. საერო პოეზია არის განხორციელებული მთელის ერის სული, და ხალხური ლექსი, ანუ ღიღინი არის საფუძველი ნაციონალურის მუსიკისა».

ალ. ხახანაშვილი

ქართველთ მეფეთა ტიტული, კურთხევა და რეგალიები

ჩვენთა მეფეთა სრული ტიტული ნაყოფია ჯერ იმ ფიქრისა, რომ ვითომ საქართველოს სამეფო გვარი იყო შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა და მერე ბიზანტია-სპარსეთის გავლენისა. აი ამიტომაც ჩვენთა მეფეთაგან ხელმოწერილ ნაშთებში მეფენი მოხსენებულნი არიან კურაპალატად და «მეფეთ მეფედ», როგორც სპარსეთში ირანის მფლობელს უწოდებდნენ შაჰინ-შაჰს. მესამე საყურადღებო გარემოება მეფის ტიტულში არის სიტყვა «პატრონი», რომელიც უდრის მნიშვნელობით მფარველს, მცველს. პატრონი შემდეგ შეიცვალა ბატონად [1]) და აქედან წარმოსდგა სიტყვა «ბატონიშვილი», «ბატონის რძალი». «პატრონი» ქართულს ენაში შემოღებული უნდა იყოს ლათინურ ენიდან და ვგონებთ მცირე აზიით უნდა მოსულიყოს ჯვაროსანთა ლაშქრობის დროს, როცა ქართველნი და დასავლეთის ფეოდალნი ერთმანეთს შეხვდნენ სირიაში იერუსალიმის ასაღებად. ამ დროსვე ეკუთვნის, მაგალ., სომხურს ენაში დამკვიდრებული სიტყვა *Պարոն* (პარონ). ეს სიტყვა წარმომდგარია სიტყვიდან «ბარონ» და ჰნიშნავს ბატონს. დედოფალიც როგორც მეფე იწოდებოდა პატრონად და დედოფალთ დედოფლად. აი ნიმუშად, თუ გნებავთ, დასაწყისი წილკნის გუჯრისა:

«ჩვენ ღვთივ აღმატებულმან, ღვთივ დამყარებულმან იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრატოანმან ძემან ცხებულის საქართველოს მეფის თეიმურაზისამან და კახეთის არაგვის მპყრობელ მქონებელმან ერეკლემ, თანამეცხედრემან ჩვენმან ქრისტეს მოყვარემან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანნამ»... პატრონად იწოდებო-

[1]) ნახე ჩემი „გუჯრები", ქუთაისი, 1891; გვ. 129, 137, 145.

ღნენ აგრეთვე გურიელი, დადიანი და შემდეგ საერთოდ ყმების ბატონები. [2]) მაგრამ მარტო ბატონს მეფეს ეკუთვნოდა ტიტული «ცხებული», «გვირგვინოსანი» და «იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრატოანი».[3]) ცხებული მეფე, როგორც რუსეთში миропомазанный", საქართველოში გავრცელდა ქრისტიანის ხელმწიფეთა და ბიზანტიის იმპერატორთა ბაძვით. ეს ტიტული უფრო გაზვიადებულია ბაგრატის გუჯარში: „სკიპტრა პორფირის და გვირგვინის მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფობისამან, რანთა, კახთა და სომეხთა განგემ და ყოველისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა ორისავე ტახტისა... მეფეთა მეფემან დიდმან ბაგრატ»[4]) (ჩემი «გუჯრები», 126). ჩვენს გვირგვინოსანს და ღვთივ აღმატებულს უდრის ფრანკთა coronatus და divina dispensante gratia, სკიპტრას კი Scepter (accipe sceptrum regiae potestatis insigne). გვირგვინი და სკიპტრა სამეფო რეგალიებია. კარლინგების დროს პირველად აღინიშნება მირონცხება მეფეთა; ეს ჩვეულება ქრისტიანში იქმნა პირველად შემოღებული: საულმა მირონ სცხო დავით და აკურთხა მეფედ. არც დასავლეთ ევროპაში და არც საქართველოში გამეფება არ იყო აუცილებლად დამოკიდებული საეკლესიო მირონცხებისა და დაგვირგვინების აქტზედ. ჩვენთა მეფეთა შორის ბევრი არ იყო დაგვირგვინებულ-მირონცხებული, თუმცა ეს გარემოება არ აბრკოლებდა მეფედ წოდებულიყო და ასულიყო ტახტზედ. საქართველოში ისეთი მაგალითიც ბევრჯელ ყოფილა, მეფეს სიცოცხლეშივე დაუგვირ-

---

[2]) ჩვენი ბატონი უდრის რუსეთში осподарь, государь-ს სიტყვიდან оспода, господа, რომელიც აღნიშნავს ცალკე ოჯახს თავის ავლა-დიდებით. აქედან осподарь, государь, ნიშნავს უფლებით აღჭურვილს კაცს—ოჯახის უფროსს, რომელსაც ემორჩილებიან სახლის წევრნი. შეადარე Романовичъ-Славатинскiй— Рус. госуд. право I, 139.

[3]) ჩემი „გუჯრები" გვ. 30, „გვირგვინოსანი მეფე პატრონი როსტომ"; გვ. 99 „ცხებული მეფე" თეიმურაზ; შეადარე ჩემი „Двор. акты" (М., 1893) стр. 12, Ираклiй сынъ помазннаго царя Теймураза. ნახე აქვე გვ. 15 (коронованный) გვ. 19, 39 და სხვ.; „გუჯრები" გვ. 108.

[4]) შეადარე ტიტული ფრანკთა მეფისა: Serenissimus augustus a Deo coronatus magnus imperator... qui et per misericordiam Dei rex Francorum et Langobardorum. Ludwig I, Brunner. Deutsche Rechtsgeschirhte, II, 14.

გვინებია თვისი მემკვიდრე, რათა ამ გზით მოესპო მოსალოდნელი შფოთი და უსიამოვნება სამეფოში თვისის გარდაცვალების შემდეგ. თამარ მეფე გიორგიმ აკურთხა და დასვა «მეფად» 1171 წ. „ფიცითა და აღთქმითა სამეფოისათა“.[5]) ფიცი უძველესადვე აუცილებელი საჭიროება იყო მეფეთა წინაშე ერთგულების დასამტკიცებლად. თვით მეფე გიორგი ახლად დაგვირგვინებულს თამარს ფიცით აღუთქვამს ერთგულებას.

«ქართლის ცხოვრებაში» საყურადღებო აღწერილებაა ამ ცერემონიისა: «განზრახვითა და გამორჩევითა მისითა (მამისა) და უფროსღა განგებითა ზენისა მის ყოველთა შარავანდედთა მინიჭებითა, შვილი მათი თამარ ნათელი და ბრწყინვალებაჲ თუალთა მათთა და გვირგვინი და მანიაკი ყოველთა მეფეთა და კელმწიფეთა: მეფე ჰყო თანადგომითა პატრიარქთა და ყოველთა ეპისკოპოსთათა, დიდებულთა იმერთა და ამერთა, ვაზირთა, სპასპეტთა და სპასალართათა და დასვა მარჯვენით თვისსა მეფე და დედოფალი შემკული და შემოსილი პირადპირადად ფესკვედითა ოქროვანითა, ბისონითა და ზეზითა, რომელსა ჰხადა მთად ღვთისად და დაადგა თავსა მისსა გვირგვინი ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთთა და სამარაგდოთა მიერ და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა და თვით მეფემან, მფიცებელმან ერთგულობისა და ერთსულობისა მისისათვის, შეჰვედრა იგი ღმერთსა».[6])

დაგვირგვინების შესახებ «ქარ. ცხ.» მეორე ადგილას გადმოგვცემს, რომ «შესხმასა და გალობასა შინა, ვინათგან ლიხთ-იმერთაგან იყო დადგმად გვირგვინისა თავსა სამეფოსა, აწვიეს მონაზონი, მადლით შემოსილი, მთავარ-ეპისკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირისძე მიღებად გვირგვინისა, და, სრულყვეს რა კურთხევაჲ, დალოცეს მაშინ კახაბერ კვირიკეს ძე, ერისთავი რაჭისა და თაკვერისა და სრულ ჰყვეს მოკლეთა სვანთა და დიდებულთა ქარდანის ძეთა საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღებად და დადებად[7]) ხმლისა. ამას შე-

---

[5]) ვახუშტი—ისტორია, 196.

[6]) ქართ.-ცხოვ. I, 274.

[7]) ქართ.-ცხოვ. I, 278. თამარ მეფის ტახტზედ ასვლის შესახებ ნახე Варданъ, Исторія (пер. Эмина) გვ. 162.

ნა ჰკრეს სპილენძ-ჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო ზარი და ზეიმი ქალაქსა შინა, სიხარული და მხიარულება, შვება და გამოსვენება და იმედი უიმედო ქმნილთა და თაყვანის სცეს, დალოცეს სპათა შვიდთავე სამეფოისათა და დაიპყრო თვითეულმან თვისი ადგილი».

მეფის კურთხევის ამბავს დაწვრილებით მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანი. მის დროს აკურთხა მეფედ თეიმურაზი მცხეთაში და აი სწორედ ამ კურთხევის გარემოებას აღგვიწერს პაპუნა. ამ კურთხევას დაესწრო პატარა კახი ერეკლე ძე მისი, ანნა დედოფალი, დიდებულნი და წარჩინებულნი სამღვდელონი. ამ აღწერილობაში ჩვენთვის საინტერესოა ის ადგილი, სადაც მოხსენებულია, რა სამეფო ნიშნება იხმარებოდა ძველს საქართველოში მეფის კურთხევის დროს. ეკლესიაში მეფე მიიყვანეს აღსავლის კარის ქვემო ალაგას. გარეშემო ესვივნენ იქ მყოფნი ეპისკოპოსნი. აქ პატრიარქმა მეფეს ჯერ ჰკითხა სარწმუნოება და შემდეგ თვით წაუკითხა აღთქმის ეპისტოლე. ეკლესიის შუაგულ იყო გამართული დიდი ტახტი, რომელზედაც იდგა ორი სელი. როდესაც პატრიარქმა დაასრულა აღთქმის ეპისტოლეს კითხვა, მაშინვე მეფე ავიდა ტახტზედ და ერთ სელზედ დაბძანდა. გვერდით პატრიარქი მოუჯდა. მეფე შეჭმოსეს მარტვილის ბისონით, შემდეგ სარდალმა ქაიხოსრომ და მუხრან-ბატონმა მიიყვანეს იგი აღსავლის კართან. აქ მიეგებნენ მთავარ-ეპისკოპოზნი და ალავერდელი, რომელთაც შეიყვანეს საკურთხეველად და სცხეს საცხებელი ჯვარის სახედ, შუბლზედ, ბეჭზედ და გულზედ. რა გაათავეს ყველა ეს, ბისონზედ ჩააცვეს დიადიმა, წამოასხეს პორფირი, სამეფო გვირგვინი დაადგეს, სკიპტრა მისცეს მარჯვენა ხელში და მარცხენაში კი ჰქონდა ქვეყნის სფეროი. როცა გათავდა ამის წირვა, ცხებული მეფე დაბძანდა სამეფო ტახტზედ და ამის სპასალარმა ქაიხოსრო ორბელიანმა მიართვა ხმალი, რომელიც დალოცვის უმალ შემოარტყეს მეფეს.[8])

---

[8]) ქართ.-ცხოვ. II, 382—386. შეადარე წერილი ილ. გარსევანიშვილისა „ივერია" 1888, № 59. საინტერესო ცნობანი თურქთა დაგვირგვინების შესახებ ნახე Древній обрядъ коронованія у тюркскихъ народовъ, Н. Засѣдателева. (Изв. археол., ист. и этногр. при Казанск. унив., т. XII, вып. 4).

ოთხი დროშა იღებდა მონაწილეობას ამ ცერემონიაში. თუ შევადარებთ გუჯრებსა და სიგელებში მოხსენებულს ჩვენთა მეფეთა ტიტულს თამარისა და თეიმურაზის კურთხევის აღწერილობას—ამ ორის მაგალითით შეიძლება დაკმაყოფილდეს კაცი—მაშინ თვალსაჩინოდ გავითვალისწინებთ საქართველოში ტახტზედ ასვლის ისტორიას. მეფის ტახტზედ ასვლას ამტკიცებდა მისი დაგვირგვინება და მირონცხება. ყველგან ახალის მეფის ტახტზედ ასვლა სადღესასწაულო ცერემონიით სწარმოებდა. ამ ცერემონიას ჰქონდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა, როგორც ურიასტანში, აგრედვე საბერძნეთში, დასავლეთ ევროპაში და რუსეთშიაც. დედოფლის დაგვირგვინება რუსეთში შემოღებულ იქმნა პეტრე პირველის დროს; ჩვენში თამარ-დედოფალი დაგვირგვინებულ იქმნა, როგორც მეფე და არა როგორც მეუღლე მეფისა. დასაგვირგვინებლად არ იყო არც ჩვენში და არც სხვაგან გადაწყვეტილ-აღნიშნული წლოვანობა სამეფო კაცისა. ადგილად, სადაც მეფის კურთხევა სწარმოებდა, მხოლოდ დროთა განმავლობით, გახდა მცხეთა, როგორც საფრანგეთში რეიმსი, პრუსიაში—კენიგსბერგი, პოლონიაში—კრაკოვი, რუსეთში—მოსკოვი. კურთხევის დროს პირველი იყო კათალიკოზი, რომელსაც თან ახლდა უმაღლესი სამღვდელოება. კურთხევა და მირონცხება იმის ნიშანი იყო, რომ მეფე არის ქვეყნიური მოადგილე უფლისა და მისი თანამდებობა ღვთიურის ჩამომავლობისაა. ამ აქტით მტკიცდება კავშირი მეფესა და ერს შორის, ქვეყნის გამგებელი ყოვლის დამბადებელის მადლით აღიჭურვებოდა და თვისთა ქვეშევრდომთა ბატონად ისახებოდა, რასაც ჰმოწმობდა ტახტი, გვირგვინი, პორფირა, სკიპტრა და ქვეყნის სფერო. სახელმწიფო რეგალიები, სხვათა შორის, აღნიშნულია საქართველოს გერბზედაც.

პატრიარქი,[9]) ვიდრე აკურთხებდა მეფეს, ათქმევინებდა სიმბოლოს სარწმუნოებისას; ამით მეფეს უნდა ეღიარებინა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიის შვილი არის. შემდეგ სწარმოებდა დაგვირგვინება. რუსეთში თვით მეფე იღებს ხელში სკიპტრას და ქვეყნის

[9]) Романовичъ-Славатинскій – Система рус. госуд. права I, 125 (Кіевъ 1886).

სკვეროს, თვით იდგამს გვირგვინს და ამით აღნიშნავს თვით-მპყრობელობას.[10]) ჩვენში მეფეს აძლევენ ხელში სკიპტრას და სკვეროს, წამოასხამენ პორფირს, დაადგამენ გვირგვინს. ასეთი მოქმედება ჩვენის მეფისა გვისატავს მის შემოზღუდულს უფლებას. დიდებულთა მონაწილეობა დაგვირგვინების დროს და მათი დახმარება სკიპტრა-სკვეროს მოღებაში ახასიათებს საპოლიტიკო წესწყობილებას. ამგვარად რელიგია და პოლიტიკა ერთად არის ჩაქსოვილი მეფის კურთხევა-დაგვირგვინების ცერემონიაში.

წყარო, საიდანაც მომდინარეობდა მეფის უფლება, დაცულია თვით ტიტულში; იგი იწყება სიტყვებით: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა“ [11]) ანუ „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან. [12]) ეს ტიტული უდრის ევროპელთა Dei gratiae, par la grace de Dieu, Von gottes Gnaden, bythe grace of God. დასავლეთ ევროპაში ნაპოლეონ მესამის წაბაძვით იტალიამ, ბოლგარიამ და სხვ. შემოიღეს ტიტული par la grace de Dieu et la volonté du peuple, ესე იგი: «მადლითა ღვთისათა და სურვილითა ერისათა»... მეფე, როგორც ღვთისგან ნაკურთხი, მსგავსად კათალიკოსისა, ხელშეუხებელი იყო. ამიტომ მეფე ვახტანგი თავის კანონებში არ აწესებს სასჯელს მეფისა და პატრიარქის შეურაცხყოფისათვის, თუმცა აღიარებს მათის სიწმიდის (Sacro-Sanctus რომში) არ მოსჩანს ჩვენს რჯულდებაში. ვახტანგი პირდაპირ ამბობს: «მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერია, ორისავე სწორი არის; ამიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა, კურთხევა და პატივიც ღვთისაგან და კაცისაგანცა სწორე აქვსთ».[13]) მართლაც,

[10]) მეფეს წინად აკურთხებდა ეპისკოპოსი, შემდეგ კათალიკოზობის დადგისა—კათალიკოზი; ბაგრატიონთა დროს გვირგვინს „დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთაისის ტახტისათვის“. ვახუშტის ისტორია გვ. 11.

[11]) ნახე ჩემი «გუჯრები» გვ. 2. „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ დედოფალმან პატრონმან მარიამ“... შეადარე ჩემი „Двор. акты“ გვ. 18, Волею и помощью Божьей мы коронованный.

[12]) იქვე გვ. 30. „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან ხელმწიფემან პატრონმან როსტომ“.

[13]) ვახტანგის კანონები § 25.

კათალიკოზიც თავის ტიტულში ჰხმარობს აგრეთვე სიტყვებს: «ნებითა და შეწევნითა ღვთისათა»...

ჩვენთა მეფეთა რეგალიები ანუ სიმბოლიური კუთვნილება მათის ღირსებისა იყო: 1, გვირგვინი—სიმბოლო დიდებისა; 2, სკიპტრა—სიმბოლო მართლმსაჯულებისა, სიბრძნისა და მადლისა (პირვანდელი მისი სახე მწყემსის კვერთხია); 3, ქვეყნის სფერო —სიმბოლო ქვეყნის პყრობისა (ბურთი ღედამიწის სახით—globus—ჯერ რომში იხმარებოდა და იქიდან გავრცელდა ევროპაში); 4, ტახტი სიმბოლო ხელმწიფების ღვთიურის ჩამომავლობისა, რადგანაც უფალი განაგებს ქვეყანას ზეციურის ტახტიდან; 5, პორფირი და ბისონი ეკლესიის მსახურთა მსგავსად მითვისებული მეფისაგან; 6, სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო ხმალი. პირველი მოხსენებულია თეიმურაზ მეფის კურთხევის დროს, მეორე თამარ მეფისა და სხვა მეფეთა დაგვირგვინების აღწერაში. შავთელი ასე აწერს თამარის რეგალიებს:

კვერთხი მეფეთა დიდ ხელმწიფეთა თვით გაქვს გებალით სხვამც რად-
ეკვეთოს,
ჯაჭვ საჭურველნი, ძნელ სასურველნი, მით სარკინოზნი მყის დაეკვეთოს.
ხრმალი ლესული, მაზედ მხნე სული, ბარბაროსთ მსრველად, მყის წარ-
გემართოს.
მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლიერნი, რისხვით მათზედა რომ მოგემარ-
შესამოსელი, შესამკობელნი, გმოსიან ტანსა, ოქრო ნემსულნი, [თოს.
გვირგვინ სკიპტრანი, ბისონ მიტრანი, ძოწეულითა თანა შექსულნი.
გაქვსლა პორფირთა, შთაცმა პოდირთა, სამარაგდონი ერთგან ექსულნი.
დიადიმითა, დიადიმითა, ზეგარდამო გაქვს წმიდად ექსულნი. [14]

«ტახტ-გვირგვინ-სკიპტრა-პორფირი»—სახელმწიფო რეგალიებად ცნობილია აგრეთვე რუსუდანიანსა [15]) და ვეფხის-ტყაოსანში: «დასვა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა. მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა (ტაეპი 14).

ჩვენი მეფეების წყალობის გუჯრები და სახელმწიფო განკარგულებანი იწყება სიტყვებით: «ნებითა და შეწევნითა ღვთისათა»...[16])

---

[14]) «თამარ მეფის შესხმა», აბდულ მესია შ ა ვ თ ე ლ ი ს ა, სტ. 37 და 38.

[15]) „რუსუდანიანი“, ხელნაწერი წერა-კითხვის საზოგ. გვ. 116.

[16]) ჩემი «გუჯრები», ს ი ო ნ ი ს ა 1666 წ. გვ. 3, შეადარე გვ. 2 და ჩემი Двор. акты გვ. 10.

ანუ» სახელითა სასიერისა არსებისა დაუსაბამოჲსა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა და შუამდგომლობითა ყოვლად უბიწოჲსა წმიდისა სიონთა მღვთისმშობლისათა»[17] .. ეს დასაწყისი—«შეწევნითა ღვთისათა» ,ანუ, როგორც რუსულად ითარგმნება, [18] „волей и помощію Божіей мы Богомъ вознесенный, Богомъ утвержденный и Богомъ коронованный“ აღნიშნავს სამეფო უფლების წყაროს, ღვთისგან დაწესებულს უფლებას, ზეცის ქვეყნიურ მოადგილეს. ამგვარი აზრი დამკვიდრდა ბიზანტიაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ და იქიდან შეითვისა ყველა მართლ-მადიდებელმა მებატონე-მფლობელმა. აი, მაგალითად, აქამდის დარჩენილი ტიტული ეთიოპიის მფლობელისა: Благовѣрный царь эфіопскій Менеликъ II, изъ колѣна Іуды, великому царю царей Эфіопіи, царствующему Волею Божіей“. «მეფეთა მეფედ» წოდება პატარა ეთიოპიის ქრისტიანე ბატონისა, რასაკვირველია, გაზვიადებულია; მაგრამ აქაც წყაროდ უფლებისა მიღებულია ღვთაებრივი ჩამომავლობა.

გარდა წყაროსი ჩვენთა მეფეთა ტიტულში აღნიშნულია დედა აზრი სამეფო წესდებისა. თამარ მეფეს აბდულ-მესია შავთელის პოემის სათაურში ეწოდება თვით-მპყრობელთ: «პოემა ანუ შვენიერსიტყვაობითითა ხელოვნებითა შეწყობილნი სტიხნი საქებრად სახელოვანისა და ძლევით განთქმულისა ხელმწიფისა თამარ პირველისა გიორგი მეფისა ბაგრატოვანისა ასულისა სრულიად ზემოჲსა და ქვემოჲსა ივერიისა და სხვათა თვით-მპყრობელისა და მრავალთა მტერთა მძლეველისა ქმნილი გელათის მონასტერსა შინა და მუნითვე მორთმეული აბდულ მესია შავთელისაგან პირველ ყოფილისა მდივნად ღირს სახსოვარისა მის მეფისა და შემდგომად მონაზონობის მიღებისა მას მონასტერსა შინა იოანნედ წოდებულისა». თვით-მპყრობელი წარმოადგენს ქართულად ნათარგმნს ტერმინს αὐτοκράτωρ, რუსულად самодержецъ. ეს დამატება ქართულს ტიტულში შევხვდა მხოლოდ ამ პოემის დასაწყისს და თუ იგი ეკუთვნის ჩვენი დროის გადამწერს, მაშინ საეჭვოდ მიგვაჩნია [19].

---

17) ib. стр. 5 Двор. акты, 38.

18) ადრესი პეტერბურგის გეოგრაფიულ საზოგადოებისა ნევუსის მიმართ. მენელიკი აქ მოხსენებულია იუდას ჩამომავლად, რადგანაც დამფუძნებელი მისი დინასტიისა ტრადაციით აღვიარებულია შვილად სოლომონისა და სავის დედოფლისა. შეადარე ჩვენი—იესეან-დავითიანი, სოლომონიან-პანკრატოანი...

19) კატალოგი დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ხელნაწერებისა № 79.

ტიტულშივე დაცულია კვალი მესამე გარემოებისაცა, რომელსაც აქვს სატერიტორიო მნიშვნელობა: აქ აღნიშნულია სამზღვრები სამფლობელო მამულისა, რომელიც ეკუთვნის მეფეს. კიწარის წმ. სამების გუჯარი მაგალითია ამ სატერიტორიო სამზღვრების აღნიშვნისა: «ჩვენ ირაკლი მეორემან მეფემან ქართლისა, კახეთისა და ყოვლისა საქართველოჲსამან»... ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ მეფის ტიტულში თუ არა, სამეფო განკარგულებაში მაინც მკვიდრდება ახალი ტერმინი, რომელსაც ჰხმარობს ბატონიშვილი გიორგი: «ჩვენ ორსავე საქართველოს უფლისწული» [20] ვამტკიცებთ... ხანდახან შესამოკლებლად მოხსენებულია მხოლოდ ქართლ-კახეთი ირაკლის ტიტულში და შემდეგ დამატებულია სიტყვა და სხვათა, რომელიც რუსულად ითარგმნება „и прочихъ" და უდრის რუსულს წინად „иныхъ" და ახლა „и прочая и прочая и прочая".

ამგვარად ჩვენთა მეფეთა ტიტულში მოთავსებულია ტრადიციული აზრი მათის ჩამომავლობისა იესიან-დავითიან-სოლომონიანის თესლისაგან, აღნიშნულია წყარო საიდანაც მომდინარეობს მეფის უფლება და განმარტებულია სამზღვრები მათის სამფლობელოსი. მაგრამ ვიდრე ეს ტიტული განმტკიცდებოდა, ჩვენი მეფენი იწოდებოდნენ სხვა-და-სხვა დროს მთავრებად, ერისთავთ ერისთავებად, მამფლებად, ქორიკოზებად. «ქართლის ცხოვრება» აშოტის შვილის გვარამის დროიდან (883) ტაო-კლარჯეთის მფლობელთ უწოდებს მამფლებად, როგორც კახეთის მფლობელთ—ქორიკოზებად. ლექსი მამფალი უდრის შემდეგის საუკუნოების მთავარს და იხმარება მხოლოდ მე-X საუკუნის გასვლამდე, როდესაც მამფლები ერთმპყრობელობის დაარსების გამო საქართველოში გაჰქრნენ.[21] ამავე ლექსს ჰხმარობს, როდესაც ტაო-კლარჯეთის მპყრობელთ შეეხება მეათე საუკუნეში ბიზანტიის მწერალი კონსტანტინე პორფიროგენი; ეს-

---

[20]) ჩემი გუჯრები 367. შეადარე ზემორე ხსენებული ბაგრატის გუჯარი და რუსულად დაბეჭდილი ტიტული ირაკლი მეორესი: М. Б. мы... помазаннаго царя Теймураза сынъ, царь Карталинскій, Кахетинскій и обладатель Эриванскій, бамбакскій и Казахъ-борчалинскій Ираклій II... (Двор. акты 42.)

[21]) Бакрадзе—Статьи по исторіи и древностямъ Грузіи, стр. 27 (СПБ. 1887). სვანურ კრებულში ავტორი წმ. აბოს ცხოვრებისა მამფალად უწოდებს ეპისკოპოსთ მტბევარს, იოანნესა და კათალ. სამოელს.

ეს სიტყვაა მოხსენებული აგრეთვე ამ დროისათვის მეთერთმეტე საუკუნის მემატიანე სტეფანოზ ასოღიკის ნაწერებში და სხვა-და-სხვა ქართულ მანუსკრიპტებსა და გუჯრებში. საკვირველია, რომ ლექსი მამფალი ტაო-კლარჯეთის საზღვრებს თითქმის არ გასცილებია და ამასთანავე მე-XI საუკუნიდან არც მატიანებში და არც სხვა ძველს მწერლობაში აღარ აღმოიკითხვის.

სახელწოდება ქორიკოზი,[22]) რომელიც კახეთის მფლობელთ ეკუთვნის, იხმარება მე VIII საუკუნიდან ვიდრე მე-XI საუკუნემდე, როდესაც ბაგრატ IV-მ კახეთის მთავრობა გააუქმა. ვიდრე ქორიკოზს დაირქმევდნენ კახეთის მფლობელნი პირველად გრიგოლის დროს (787—827), იგინი იწოდებოდნენ ჯუანშერის სიკვდილამდის ერისთავთ ერისთავებად, რომლის მსგავსებად შემდეგ მეფენი, განდიდებულნი ძალით, ხან კი მხოლოდ ტრადიციულად, გახდნენ მეფეთა მეფედ. ტაო-კლარჯეთშიც იმ დროს, როცა უფროსი მფლობელი მამფალად იწოდებოდა, მპყრობელნი დანარჩენ საუფლისწულო მამულებისა იხსენებიან ერისთავთ ერისთავებად: მაგალითად, ადარნასე (†898), დავით, გურგენ, სუმბატ და სხვანი. გარდა ამ ადგილობრივის ტიტულისა სხვა-და-სხვა დროს ჩვენი მეფენი იღებდნენ უცხო ერის მიერ მინიჭებულ წოდებას. ბიზანტიის იმპერატორები აჯილდოებდნენ საქართველოს მფლობელთ კუროპალატის, ნობილისიმის და სევასტის ხარისხით. ბაგრატ მეოთხე (1028—82) ამ სამივე ტიტულის მატარებელი იყო. შვილმა ამ ბაგრატისამ გიორგი II მიიღო ტიტული ბიზანტიის კეისრისა. პირველად კუროპალატობა მიიღო გუარამმა (575—600) ჯილდოდ იმ შემწეობისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა იუსტინე მეორეს, ბიზანტიის იმპერატორს სპარსეთის მეფე ხოსროსთან ბრძოლაში. ამის შვილიშვილი დაინიშნა ანტიპატრიკად კეისრის მიერ; პირველი პატრიკი იყო აზო (ანუ აზონი), თუმცა იმას მხოლოდ «ქარ.-ცხოვრება» უწოდებს პატრიკად, ვახუშტი კი იხსენიებს მთავრად;[23]) სუმბატ მამფალი წოდებულიყო

[22]) ქორიკოზი —ქართ.-ცხოვ. (ქორეპისკოპოზი) I, 189, 192, 195, 197, 202, 210, 241.

[23]) ქართ.-ცხოვ. I, 27. ვახუშტი, ისტორია, 35; იბერიის მთავრებში პატრიკად ცნობილია აშოტ კისკასი, ძმა ადარნასე მეფისა.

ანტვიპატად (анөипатъ), როგორც ისსენიებს კონსტანტინე პორფიროგენი. როგორც ბიზანტიის მწერლები ჰმოწმობენ, ჩვენს მეფეებს ეძლეოდა კიდევ ორი ტიტული—მაგისტროსი [24]) და ვესტარხი; ზოგიერთს მკვლევარს ჰგონია, რომ ეს უკანასკნელი წოდება სომხურის ანუ ქართულის ჩამომავლობისაა, რადგანაც ამ სახელით ისსენიებდნენ ხშირად ჯვარის წინამძღვრებს სომხეთში ანუ საქართველოში. [25]) იერარქიულად რომ გავსინჯოთ, აღმოჩნდება, რომ უმაღლესი უცხო ტიტული არის კესარისა, შემდეგ სევასტის, ნობელისიმისა, კუროპალატისა, მაგისტრისა, ვესტარხისა და ანტვიპატისა. ბიზანტიის იმპერიაში მე-XI საუკუნიდან ზემოხსენებული სხვა-და-სხვა წოდება ისეთი ხარისხია, რომელიც ებოძებოდათ სასახლესთან დაახლოვებულებს. პირველად ეს ხარისხი მიეთვისებოდათ მხოლოდ ბიზანტიაში დამკვიდრებულ მოხელეთა, შემდეგ კი უცხო ქვეყნის მეფეებს და გამოჩენილ მოღვაწეებსაც ურიგდებოდათ. საქართველოში, მაგალითად, კუროპალატობა ებოძათ არამც თუ მეფეებს: დავითს, გიორგის და ბაგრატს, არამედ «თავადს ლიპარტსაც», [26]) როგორც ჰმოწმობენ ბიზანტიის მწერლები. ტიტული კეისარი „caesar“, საიდანაც წარმოსდგა სიტყვა „царь“, სებასტი (სევასტი), ნობელისიმი და კუროპალატი უდრის ესლანდელს ტიტულს—უმაღლესობას (высочество), იმ განსხვავებით კი, რომ ამ ჩვენის დროის ტიტულს ბიზანტიაში ოთხი ხარისხი ჰქონდა, რომელთა შორის კუროპალატობა იყო უმდაბლესი საფეხური. [27]) მაგისტროსი ძველთა რომაელთა ხარისხია; იგი აღნიშნავდა საერო ანუ სამოქალაქო მოხელეობას: magister equitum, magister peditum, magister officiorum

---

[24]) ისტორია კ ე დ რ ი ნ ი ს ა, II, 503. მაგისტროსად იყო დიმიტრი, ძე გიორგისი (1125—1154).

[25]) ამ აზრისაა სენმარტენი. Memoires sur l' Armenie II 202—3, რომელსაც მოჰყავს ჩამჩიანის სიტყვები.

[26]) ნახე B r o s s e t—C h r o n i q u e a r m é n i e n n e, 55 le couropalate Liparit possedait enpleine proprieté lepays den haut.

[27]) С к а б а л а н о в и ч ъ—Византійское государство и церковь въ XI в. Спб. 1884, გვ. 152.

(კანცლერი), magister larum (praepositi Sacri cubiculi). აგრეთვე სევასტი (σεβαστός) წარმოადგენს თარგმანს რომაელთა იმპერატორის ოქტავიანის ტიტულისას augustus (სამღვთო, ღირსი თაყვანისცემისა). ნობელისიმი ბერძნულად ἰλλύστριος, ლათინურად nobilissimus იყო ტიტული, რომელიც ეძლეოდა ბატონიშვილებს (принцы крови).[28] და კუროპალატობა კი მხოლოდ გვირგვინოსან მეფეთა საკუთრებას შეადგენდა და ივერიის დინასტიაში ეს ღირსება იყო მემკვიდრეობითი (შეადარე სასპატიო მარშალი გრაფი შამპანისა და პალატინი რეინისა). გარდა კუროპალატის მე სტეფანოსი ვერ ჰბედავს მეფედ წოდებას ბერძენთა და სპარსთა შიშით და იწოდება მთავრად, როგორც ჰმოწმობენ წარწერანი ჩვენამდის მოღწეულის ფულისა.[29] შემდეგ მთავრებად იწოდებოდნენ ჩამომავალნი დიდის თავადებისა. ასე ჰმოწმობს ბატონიშვილი ვახუშტი[30]. გარდა მთავრის ტიტულისა, ისეთნი, ვინც მეფის მაგიერად ინიშნებოდნენ, იწოდებოდნენ მმართველად: მეფე გიორგი შაჰნავაზის სპარსეთში მყოფობის დროს, ვახტანგ-კანონმდებელი აღიარებული იყო მეფის მაგიერად ანუ ინიშნებოდნენ გამგებელად, როგორც ამბობს «ქართლის ცხოვრება».

მარზპანის, პიტიახშის და ათაბეგის მნიშვნელობაზედ გვექნება ბაასი თავად-აზნაურთა წოდების ისტორიის განხილვის დროს. ახლა კი ორიოდე სიტყვა იმ ტიტულზედაც, რომელიც ეძლეოდათ ჩვენს მეფეებს სპარსეთისაგან. იგინი იღებდნენ ღირსებას ხანისა, შაჰისა, მდივანბეგისა, სარდარ-სპასალარისა და ბეგლარბეგისას; როგორც ხელქვეითი შაჰისა, ჩვენი მეფენი იწოდებოდნენ ვალიებად. ვახტანგ მეხუთე წოდებული იყო შაჰნავაზად, ლევანი, მამა ვახტანგ

---

28) რუსეთში „Царская высокость" შემოდის პეტრე დიდის დროს благородство-ს მაგივრად ბატონიშვილებისთვის, რადგანაც კეთილშობილობით დაიწყეს მოხსენება აზნაურების (шляхтичи). Куплевскій—Рус. госуд. право, I, 178 (Харьковъ, 1894).

29) Баратаевъ—Нумизматическіе факты გვ. 10, 70, 71. შეადარე ბერძენთა მოწმობა ἄρχων. Lebeau, XI, 134.

30) ვახუშტი—ისტორია, გვ. 13 (გამოცემა ბაქრაძისა) შეადარე Баратаевъ ор. сб. 73—6.

მეექვსესი—შაჰყულიხანად, მდივანბეგად; გიორგი—ერანელთა სპადარ სპასალარად და ამილბარ-სპასპეტად, როსტომ მეფე—როსტომ ხანად, სვიმონ მეფე—სვიმონ ხანად. 31) ნაზარ ალიხანს ანუ ერეკლე პირველს შაჰი სულტან ჰუსეინი უწოდებს ვალიად. აგრეთვე მეფე დავით და თეიმურაზი ვალიებად იწოდებიან (ვალი გენერალ-გუბერნატორს უდრის). ჩვენთა მეფეთა სპარსეთის შაჰის ვალიებად გადაქცევა იმ დროს ეკუთვნის, როდესაც, ვახტანგის სიტყვით, მეფენი ქართლისა «ყამთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ» და «ხელმწიფის ყმანის» 32) ნება დართვით ადიოდნენ ტახტზედ. რუსეთთან შეერთების დროს საქართველოში უკანასკნელად ინიშნება ცოტას ხნით ბატონიშვილი დავით მმართველად, მაგრამ გენერალი კნორრინგი ცდილობს რაც შეიძლება მალე მოსპოს მისი გავლენა და გამგეობას აწესებს 8 ქართლ-კახეთის მდივანბეგებისაგან გენერალ ლაზარევის თავმჯდომარეობით33). ამ გამგეობაში წევრნი სამეფო სახლისანი არავითარს მონაწილეობას არ იღებენ. ამით თავდება საქართველოს მეფეთა ტიტულის ისტორია.

P. S. «წერა-კითხვის საზოგადოებაში» ვნახეთ ერთი პატარა ხელთნაწერი, სადაც მოყვანილია «წესი და განგება მეფეთა კურთხევისა». მოვიყვანთ რამდენსამე ადგილს ამ ხელნაწერიდან.

«ეკკლესიაში შესვლის დროს მეფეს წინ მიუძღვის ჯვარის მტვირთველი, ამირსპასალარი ხმალშემორტყმული მარჯვენით ჭყვებოდეს და სამეფო ხმალი ორთავე ხელთა ზედა ეტვირთოს; ამილახორი და მოლარეთ უხუცესი ხმალშემორტყმულივე ამირსპასალარის კერძო ვიდოდენ. ჭყონდიდელი და ათაბაგი მარცხენით მეფისა ვიდოდენ, ეზოთ-უხუცესი მეფეს უკანა უდგეს. ეკკლესიასთან

---

31) Пурцеладзе—Груз. грам. 88; ნახე ნაზარ ალი ხან. ჩემი Двор. акты 17.

32) ვახტანგის კანონები § 2.

33) Бутковъ—Матеріалы для исторіи Кавказа, II, 474.

მეფეს მიეგებებიან შემოსილი სამღვდელოება და კათოლიკოზი ეტყვის: «კურთხეულ არს მოსვლა თქვენი და დამკვიდრება მეფეთა მეფედ სამეფოსა ამასა თქვენსა». კათოლიკოზი მოჰკიდებს მეფეს ხელს მარჯვნივ და დააყენებს ეკკლესიაში სამეფო ადგილსა.

«მღვდელ-მთავარმან მოიღოს ნელსაცხებელი და თავსა და მხართა სცხოს ხუთჯერ და თქვას სამგზის: ეცხების ნელსაცხებელი ღვთივ გვირგვინოსანსა მეფესა ჩვენსა. შემოსონ სამოსელი, შეარტყან სარტყელნი და ხმალი, მოიღოს კათოლიკოზმან პორფირი და გვირგვინი და დაადგას თავზედ. (ამ ცერემონიის დროს იკითხება დანიშნული ფსალმუნები)... რა ჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეპისკოპოზნი ამ წესით დასხდნენ: კათოლიკოზი ქართლისა დაჯდეს მარჯვნივ და ჭყონდიდელი მარცხნივ ტახტსა ზედა ნატითა და ბალიშითა».

ა. ხახანაშვილი

894.63.09
b 341